

ნ. ბარათაშვილის

ლექსები

და

წერილები

დ. კარიჭაშვილის—მგონის ბიოგრაფიით.
ილია ჭავჭავაძის—კრიტიკული წერილით.
ივ. ზომარათელის მიერ—ნიკოლოზ ბარათაშვილის
პიროვნების და პოეზიის დახასიათებით.

გამოცემა მეშვიდე



ტფილში.

საგამბა ჯუტრენბერგის.

1910 წ.

6. ბარათაშვილის ბიოგრაფია.

ნ. ბარათაშვილი, შინაურობაში ტატოდ წოდებული, დაიბადა 1816 წ. 22 გიორგობისთვის. მისი მამა მელიტონ ბარათაშვილი იყო ძველებურად გაზდილი თავადიშვილი, ბუნებით მკაცრი და ფიცხი, ხოლო მეტის-მეტად ხელგაშლილი და სტუმართ-მოყვარე. ნაჰსახური იყო ჯერ თარჯიმნად, შემდეგ ტფილისის მაზრის მარშლად. უკანასკნელს თანამდებობაში ხელგაშლილის ცხოვრებას გამო იმან დალუბა მთელი თავისი საცხოვრებელი, დავალიანდა და ბოლოს გაქირებაში ჩავარდა. ნიკოლოზის დედა ეფემია—თავისის გულკეთილობით შესანიშნავი ქალი, იყო ასული თ. დიმიტრი ორბელიანისა და დაი პოეტის გრიგოლ ორბელიანისა. ისიც შინაურულად იყო აზრდილი. შვიდის წლისა რომ შეაქნა ბარათაშვილი, დედა დააწყებინა ქართული წერა-კითხვა. შემდეგ მიაბარეს კალოუზნის სამრევლო სასწავლებელში. აქედგან გადაიყვენეს ენკენისთვის 1827 წ. კეთილშობილთ სასწავლებელში, რომელიც 1830 წ. გადაკეთებულ იქნა გიმნაზიად. ბარათაშვილმა გიმნაზია დაასრულა 1835 წ.

ბარათაშვილი ბუნებით იყო ნიჭიერი, მხიარულის გულისა, ცელქი და ოხუნჯი, თუმცა ანჩხლი და ნერვებიანი. როგორც მოსწავლე, სწავლით იყო სამგალითო, ერთი პირველთაგანი, ხოლო ყოფა-ქცევით კი უკანასკნელი, თავისის ცელქობისა და ოხუნჯობის გამო. თავისის სიანცისა გამო 1832 წ. ბარათაშვილი გადმოვარდა კიბითგან და ორივე ფეხი საშუდამოდ დაიშავა. სასწავლებელში ყოფნის დროსვე დაიწყო ბარათაშვილმა ლექსების წერა. ამას გარდა გიმნა-

ზიაში იღებდა მონაწილეობას რუსულს ხელთნაწერს ჟურნალში (ЦВѢТОКЪ ГИМНАЗИИ), რომელსაც მოსწავლეები სწერდენ. სკოლაში ყოფნის დროს ბარათაშვილის სანატრელი ის იყო, რომ შესულიყო სამხედრო სამსახურში. კურსი რომ გაათავა და მშობლებს გამოუცხადა თავისი სურვილი ჯარში შესვლისა, მათ უარი უთხრეს: კოჭლი ხარ და არ გამოდგებიო. როცა ეს ოცნება გაუცრუვდა, მაშინ ბარათაშვილმა მოინდომა უნივერსიტეტში შესვლა, მაგრამ ამაზედაც უარი უთხრეს მშობლებმა, რადგან ისინი ძალიან გაკირებულები იყვნენ ნივთიერად და მხოლოდ მისგან-ღა გამოელოდენ დახმარებას და შეველას. ამნაირად ბარათაშვილი იძულებული შეიქნა სამოქალაქო სამსახურში შესულიყო და იმანაც აირჩია უზენაესს საქართველოს მართველობის სამოსამართლო განყოფილება (Экспедиція суда и расправы Верховнаго грузинскаго правительства).

ბარათაშვილის დრო ისეთი უფერული და უნუგეზო დრო იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში და კერძოდ ტფილისში არ იყო არავითარი იმისთანა დაწესებულება, რომელშიც შესაძლებელი ყოფილიყო კაცს გამოეჩინა უმაღლესის ბუნების თვისებანი, არ იყო არც ჟურნალ-გაზეთობა, არც თეატრი, არც რამე საზოგადო დაწესებულება ან საქმე. საზოგადო აზრი და საზრუნავი მაშინ საზოგადოებას არაფერი ჰქონდა-რა. სმა-ქამა, საერთო ქეიფი, ქალებთან არშიყობა, მითქმა-მოთქმა და ქორები იყვენ ჩვეულებრივი დროს გასატარებელი საშუალებანი მაშინდელის საზოგადოებისა. მხოლოდ რავდენსამე პირს ამ უფერულს ცხოვრებაში არ დავიწყებოდა თავიანთ ქვეყანა, მისი მწვერლობა, ისტორია და მომავალი ბედი. ეს პირნი შეხვდებოდენ ხოლმე ერთმანერთს ან სახლებში სადილ-ვახშამზე ან ქალაქს გარედ ბაღებში ქეიფ-სეირნობის დროს და მართავენ ლაპარაკს საქართველოს ძველს დროზე. ბარათაშვილი ამ პირთა შორის ერთი პირველთაგანი იყო, მას ყველაზედ მეტად უცემდა გული სამშობლოს სიყვარულათ, ყველაზე მეტად უყვარდა ქართუ-

ლი მწერლობა და ყველაზედ მეტად უკენსოდა გული საქართველოს დავარდნილობისა და საზოგადოების უფერულის ცხოვრების გამო. მართალია, ბარათაშვილი ძალა-უნებურად ემორჩილებოდა მაშინდელს ცხოვრებას და მის ტალღებში ჩათრეული ისიც ისე ატარებდა დროს, როგორც სხვები; ქეიფი, ცეკვა-თამაში, მითქმა-მოთქმა, არშიყობა და ჭორიანობა მისთვისაც ჩვეულებრივი დროს გატარება იყო; მაგრამ როდესაც მის მგრძობიარე და ფაქიზს ბუნებას იმნაირი უაზრო ცხოვრება მოსწყინდებოდა, როდესაც მისი გონება და აზრი გამოფხიზლდებოდა და დაინახავდა მის ცხოვრების სრულს სიფუტეს და არარაობას, იგი მიეცემოდა ხოლმე მწუხარებას, რომელიც გამოუხატავს მას თავისს ლექსებსა და წერილებში.

იმ ლექსებს გარდა, რომლებსაც ჩვენამდის მოუწევიათ, ბარათაშვილს დაუწერია ბევრი სხვა, რომლებიც თითონვე დაუხვევია, რადგან არ მოსწონებაა შემდეგში. სხვათა შორის ცნობილია, რომ მას ჰქონია დაწერილი დიდი პოემა სახელად «იგრაეღნი», რომელშიც აწერილი ყოფილა საქართველოს ისტორიული ამბები X, XI და XII საუკუნოებისა, და უთარგმნია ლეიზევიცის ტრაგედია «იუდიუს ტარენტელი», რომელსაც თვით პოეტი იხსენიებს. ამ მიზეზის გარდა ბარათაშვილის ნაწერების სიცოტავე აიხსნება იმით, რომ ჯერ ერთი ძალიან ადრე გადაიცვალა (29 წლისა) და არ დასცალდა დაეწერა, რის დაწერაც შეეძლო, მეორედ მაშინდელს დროს, როდესაც ლიტერატურულს შრომას დიდი ფასი არ ჰქონდა, არაფერი იწვევდა პოეტს შემოქმედებისათვის შინაგანის პოეტურის ბუნებასა და საკუთარის შთაგონების მეტი. თუმცა ცოტაა ბარათაშვილის ნაწერი, მაგრამ იგი ძალიან დიდის ღირსებისა და მნიშვნელობისაა, რაიცა ჩვენს პოეტს უპირველესს ხარისხზედ აყენებს ჩვენს მწერლობაში.

სამსახურში ბარათაშვილი ძალიან გულმოდგინე იყო. 1842 წ., როდესაც სამხედრო მინისტრმა რევიზია უყო ტფილისის სამოქალაქო დაწესებულებათა, მთავარმართებელმა პოზენმა ისე მოიწონა ბარათაშვილის საქმის წარმოება, რომ

ბრძანება გამოსცა ქართველებს უპირატესობა მისცემოდათ სამსახურში*). მაგრამ ბარათაშვილი არ იყო კმაყოფილი თავის ადგილისა სამსახურში. მას სწყუროდა უფრო დიდს ადგილზე მოღვაწეობა, რომ ესახელებინა თავისი თავი და სარგებლობაც მოეტანა ქვეყნისათვის, მაგრამ ბედმა არ გაუღიშა და მომეტებული დრო თავისის სამსახურისა სტოლისუფროსობაში გაატარა. მხოლოდ 1844 წ. გიორგობისთვეში განწესებულ იქნა მაზრის უფროსის თანაშემწედ ნახჩევანში, რაღა თქმა უნდა, რომ არც ეს სამსახური დააკმაყოფილებდა მას, მეტადრე იმისთანა მიყრუებულს და შორეულს ადგილში, როგორც იყო ნახჩევანი. რავდენისამე თავის შემდეგ 1845 წ. ბარათაშვილი დაბრუნდა ნახჩევნიდან და დაიწყო მეცადინეობა, რომ გადაეყვანათ იმავე თანამდებობაზე თელავში, მაგრამ მის მოულოდნელად იგი გადაიყვანეს განჯაში იმავე თანამდებობაზე. აქ ბარათაშვილმა იცოცხლა რავედენიმე თვე და გადაიკვალა 1845 წ. 9 ღვინობისთვეს, ოცდაცხრა წლისა, ნიქითა, გრძნობითა და სიცოცხლით სავსე. ბარათაშვილი დამარხულ იქნა განჯაშივე საყდრის გალავანში. მხოლოდ ორმოცდა-რვა წლის შემდეგ, 1893 წ. 25 აპრილს, მისი ნაშთი გადმოსვენებულ იქნა ტფილისში და დამარხულ იქნა დიდის ამბით და პატივით დიდუბის საყდრის ეზოში.

ბარათაშვილის გადაცვალება დიდად სამწუხაროდ დარჩათ მის ნათესაებს და მეგობრებს, რომლებიც კარგათ იცნობდენ მას და დიდადაც აფასებდენ. ამ მწუხარების წარმოსადგენად ჩვენ მოვიყვანთ ადგილებს ორის წერლითგან, რომლებშიც იხსენება მისი გადაცვალება. ერთში პოეტის ბიძა თ. ილია ორბელიანი სწერს თავის ძმას გრიგოლს ტფილისითგან 29 გიორგობისთვეს 1845 წ.: „ამ საწყლების მელიტონის და იმის ცოლშვილის ყურებისთვის ველარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება, ვგიჟდები და აღარა მესმის-რა; ჩვე-

*) ეს ამბავი ბ-ნს მეუნარგიას გაუგონია თ. ლევ. მელიქიშვილისაგან.

ნი სიცოცხლე ტატო კარდაიჭვალა განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება. ნეტავი შენა, რომ მელიტონს და ეფემიას არა ხედავ! შენი ჭირიმე გრიგოლჯან! ესე ამბავი ქრისტიანებრივის მოთმინებით მიიღე და ნუ შეიწუხებ მაგ ავათმყოფობაში თავსა“.

მეორე წერილში პოეტის მეგობარი და ნაამხანაგარი თავ. ლევან მელიქიშვილი სწერს ისევ გრიგოლ ორბელიანს ტფილისითგან 19 იანვარს 1846 წ.

„ძმაო გრიგოლ, არ ვიცი რანაირად აგიწერო ის საშინელი გრძნობა, რომლითაც აივსო ჩემი გული საწყალის ბართაშვილს სიკვდილის გამო; იმაში დავკარგე არა მხოლოდ სკოლის ამხანაგი, არამედ მეგობარიც, რომელსაც ბავშვობიდანვე ვუხსნიდი ჩემის გულის ყოველს კუნჭულს და რომლის მეგობრულის ურთიერთობით ვსარგებლობდი. სამძიმოა, ჩემო გრიგოლ, სამძიმოა დაკარგვა კაცისა, რომელიც თავისის გამოზარის სულით და გულით გვაზავებდა ადამიანებთან, ამ უძლურს და ბოროტს ქმნილებებთან. სამძიმოა სულით დაობლება! მართო მე არ დამიკარგავს ეს დასაკარგი, საქართველომ დაჰკარგა იმაში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოეტურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავისის მოვალეობაზე მაღლა აყენებდა, ახალგაზდა კაცი, სავსე მშვენიერის და ბრწყინვალე ნიჭით, რომლისაგანაც გამოეყოლა მეტს, ვიდრე რომლისამე სხვა ახლანდელის თავის ახალგაზდა შვილისაგან. მშობლებმა დაჰკარგეს იმაში თავიანთ მოხუცებულობის და მთელის ოჯახის ბურჯი, ნათესავებმა კეთილი ნათესავი, ქართველებმა ერთი საუკეთესო თანამეამულეთაგანი. — იქნება ვცოდავდე, მაგრამ არ შემძლიან არა ვთქვა: სად არის ის ზენაარი სამართალი, რომელზედაც ყოველდღე გველაპარაკებთან, რატომ წაერთვა ასე უღროოდ ადამიანებს მეგობარი, სამშობლოს მისი ნიჭით სავსე მოსიყვარულე შვილი, მშობლებს სიცოცხლით აღსავსე ძე და უკანასკნელი ბურჯი? აბა მითხარ, სადა ჩანს აქ სამართალი?

„ახლა გავახარებ მით, რომ შეგატყობინებ რა ნაირად პატივი სცეს მას და მის ნიქს ყველა მისმა ნაცნობებმა.—14 იანვარს (ნინოს დღეობას*) რავდენიმე ახალგაზდა ქართველი ესაღილობდით რევაზ ანდრონიკაშვილთან, ჩვენ შორის იყო ყაფლანი, რომელსაც ვთხოვეთ ექლერა სულა ბორბოტო, მაგრამ შეგიძლიან წარმოიდგინო, რომ არც მას, არც არავის ჩვენგანს არამც თუ არ ახსოვდა ზებირად ეს ლექსი, არამედ არც ჰქონდა გადაწერილი თავისთვის ეს მშვენიერი ლექსი. ყველანი გულით ნანობდენ, რომ განსვენებულის მშვენიერი ნაწარმოებნი იკარგებოდენ. მაშინ გადაწყვეტილ იქნა, რომ დაბეჭდილიყო განსვენებულის ყველა ლექსი ჩვენის ხარჯით. მეორე დღეს გავმართეთ ხელის მოწერა მის ნათესავთა და ნაცნობთა შორის ფულას შესაგროვებლად, რომ დაბეჭდილიყო როგორც იმისი საკუთარი ნაწერები ისე თარგმანები იმ აზრით, რომ შენახულიყო ჩამომავლობისთვის განსვენებულის ნაწერები და გაყიდულის წიგნების შემოსავლის ერთის ნაწილით დადგმულიყო მისი ძეგლი, ხოლო მეორე ნაწილი გადადებულიყო მის ოჯახის სასარგებლოდ. ხუთს დღეში 17 კაცმა გამოიღო 1000 მანეთი. აქედგან შეგიძლიან დაინახო რა ძლიერი ყოფილა მისდამი სიყვარული მის ნაცნობთა.—ახლა ვკრებთ განსვენებულის ყველა ნაწერს, ისინი დაიბეჭდებიან ერთს წიგნად, რომელსაც თან დაჰყვება მისი პორტრეტი.

„შენთან კი აი რა სათხოვარი გვაქვს: 1) უნდა დაწერო, რასაკვირველია, ქართულად და, თუ შეიძლება, ლექსად წინასიტყვაობა, განსვენებულის ბიოგრაფია და ძეგლისთვის ეპიტაფია, და 2) უნდა გამოგზავნო, თუ გაქვს რომელიმე მისი ლექსი ან წერილი, რომელიც გამოდგებოდეს დასაბეჭდად, და აგრეთვე 80 მანეთი, რომელიც შენმა ძმამ ზაქარიამ მოა-

*) არ ვიცი—იცი თუ არა, პირველი საყვარელი საწყლისა იყო ნინო. არც ის ვიცი—იცი თუ არა, რომელი ნინო იყო (შენიშვნა ლ. მელიქიშვილისა).

წერა შენ მაგიერ.*)—არ ვიცი, ბედი ქართლისა როგორ უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ზოგიერთი ალაგი ძალიან თავისუფალი არი; თუ გასწორდება, კარგათ იცი, ბევრს დაჰკარგავს მთელი პოემა მაგრამ ამის ამბავსაც შეგატყობანებ რასაც ვარჩევთ“.

სამწუხაროდ, მეგობრების სურვილი ვერ განხორციელდა, შეგროვილს ფულს სხვა დანიშნულება მიეცა და მხოლოდ ოცდაათის წლის შემდეგ, 1875 წ., ელირსა ბარათაშვილის ლექსებს ერთს წიგნად გამოცემა. მანამდის კი მისი ლექსები ვრცელდებოდა ხალხში ხელონაწერებით და იბეჭდებოდა ცალკე სხვა-და-სხვა ქართულს ჟურნალებში.

დ. კარიჭაშვილი.



*) აქამდის ეს წერილი დაწერილია რუსულად, ამის შემდეგ კი, ისე როგორც ზემოდ მოყვანილი შენიშვნა, ქართულად.

ნიკოლოზ ბართაშვილი.

გრ. ორბელიანის თანამედროვე იყო ნ. ბართაშვილი, რომელმაც თავისი პოეტური მოღვაწეობა დაიწყო ოც-დაათიან წლებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გაათავა 1845 წ. ესეც უგალობდა სიყვარულს და ტრფილებას, როგორც ალ. ქავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფილობის საგნად, ვიდრე ხორცისას, და ამიტომაც ამბობს იგი:

თვით უკვდავება მშვენიერს სულში მდგომარებს და მარტო მშვენიერთ სულთა კავშირი ჰქმობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსაო.

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა ესთ სანუკველი,

რომ მის უკტბილეს არც თუ არის სასუფეველი;

მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება

და უკვდავებით აგვირგვინებს ქეშმარიტება.

გარდა ამისა, რომ ნ. ბართაშვილმა განაწმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თავყანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ქავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულის თქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ქირნი და მწუხარებანი უფრო საყოფელთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა. ჰხედავს ცას და შეჰკენესის უღონობის სიმწვავეთა:

ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი აქამდისა მაქვს გულს დაჩნეული,

აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მო-
ისწრაფიან,

მაგრამ შენამდე ვერ მოახწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

განა მარტო მისნი ფიქრნი? მთელის კაცობრიობისა,
რომლისათვისაც ცა ჯერ კიდევ საიღუმლოთა საიღუმლოა-
მე შენსა მკვრეტელს მაკიწყდების საწუთროება,
გულის თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაჰშთოს აქ ამაოება,
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

ნუ თუ აქ გამოთქმული სურვილი ძიებისა მთელის კა-
ცობრიობის სურვილად არ უნდა ჩაითვალოს და უღო-
ნობა ამ სურვილის მიუწვდენელობისა მთელის კაცობრიო-
ბის უღონობად? ამისთანა სურვილი, ამისთანა საქმეში უღო-
ნობა ერთის ცალკე ადამიანის სურვილი და უღონობა არ
არის.

ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველ-
თაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო . თავის
გულში კი არა, მთელის კაცობრიობის გულში.

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთის სოფელი, ჰკითხუ-
ლობს იგი:

თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღევსოს,

და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

ყურს უგდებს ჩონგურს და იქაც-კი ერთობ ადამიანის
გულის ჩივილი ესმის და არა თავისი:

მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი.

ჰხედავს მტკვარს და იპასაც საყოველთაო საკითხის პასუხ-
სა სთხოვს:

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვიო.

მრავალ დროებრს მოწამე ხარო, მაგრამ ხარ უტყვი და
არას მცუჰნებიო, და განაგრძობს:

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება

რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?

ფიქრმა ცხოვრებას ამაოებისამ აღრე აიჩინა ბინა იმის
გულში და, გამოვედი თუ არა ყმაწვილობის ასაკიდანაო, მას
აქედ რაღაც „იღუმელი ხმა“

თან სდევს ყოველთა ჩემთა ზრახვათა და საწადელთაო.

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, თუ მაცდური ეშმაკიო, შესძახის იმ „იღუმალ ხმას“.

ბოლოს, როცა ეს „ხმა იღუმალი“, პირველში სუსტი, თანდათან გაუძლიერდა და ყურთა სმენა მისი სრულიად დაიმორჩილა, აკი გაიგო, რომ იგი ხმა მისი მფარველი ანგელოზი-კი არ არის, არამედ „ბოროტი სულია“, რომელმაც ატურია წრფელნი ზრახვანი და „მოუკლა ყმაწვილას ბრმა სარწმუნოება“. ამისთანა „იღუმალი ხმა“ ხვედრია მარტო მისი, „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზედ ამბობს.

მისი ფრთა-ასხმული ფიქრი შორსა ჰქრის და სცილობს მაშინაც-კი, როცა მყუდროებაშია და დაწყნარებულა, ცა განსკვრიტოს გონების თვალითა და შეიტყოს,—რა არის იქ და ამბობს: „ჰე ცაო, კაო“...

აწცა რა თვალნი ლაევარდს გიხილვენ,

მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,

მაგრამ შენამდე ვერ მოახწევენ

და ჰაერშივე განიბნევიან.

განა შეტყობა იმისა თუ,—რა არის ცაში, ან ცა'ი იქით,—მუდამის წყურავით შესატყობაჩი არ არის ერთოჯ ადამიანისათვის? განა ამის ვერ მიხწევის უღონობა ზოგად-კაცობრიული ჩივილი არ არის უძლურებასა? განა ამებში ტრიალი გონებასა არ არის ზოგად-კაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც ჰო და არც არა?

მისი მშვენიერი „სული ბოროტო“ სხვა არა არის-რა გარდა ყოველ იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახვრალი“ ექვისა, რომელსაც ექვ ქვეშ „მოჰკდომია ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, რომელსაც „ველარც ღელვანი ვნებათანი უკვლენ წყურვალსა“ და რომელსაც ბედი უქაღდა თავი! უფლებას ამ სოფლად და უბტყუნა და რომელიც დარჩენილა „უსაგნოდ მარტო, ქკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“.

სწორედ ამისთანა ყოფას მოსდევს ის საშინელი კვი-
ლი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება, ის თავგანწირუ-
ლი გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უკლოდ კლდეებსა
და ღრეებზედ, რომელიც მან თავის „მერანში“ გამოსთქვა-
განა არა, მინამ „მერანს“ იტყოდა, მისი კკუა-გონება თა-
ვის მყუდროების სადგურიდამ უკვე დაძრული იყო და სას-
ვენს ბინას ვეღარ. ჰპოულობდა დედაშიწაზედ და ცას ეუბ-
ნება:

გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურსაო, რად-
განაც ქვეყანაზედ ბინა აღარსად ვგულებოჯა, რომ კკუა-გო-
ნებისათვის ეთქვა: „აჰა, დასდექ და შეისვენეო“. ერთს
დროს ეგონა, რომ იქნება სიყვარულმა, ტრფიალობამ მაინც
შემიხიზნოს და დამიწყნაროს დუღილი სულისაო, და ამბობა:

ვბოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, და მწი-
რი სოფლისა, დამაშვრალი მისითა დეღვით, მუნ ვეძიებდი
განსვენებასაო. გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის
ბრუნვით ღამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივითაო,
მაგრამ განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს, და სი-
ყვარულის ნეტარების მაგიერ, სევდამ და წყვილიდმა დაისა-
დგურა ჩემს გულშიო.

ვერღა აღმოვა სიყვარულმა კვალად ტაძარი!
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

აქაც ვერ იპოვა საგანი თავის გულისა და გულის წყუ-
რვილისა. მერე მიჰმართა სარწმუნოებას, იქნება ამან მაინც
შემიკედლოს და დამინთქას საღმობანი გულისა სენთაო, და
ვევდრება ღმერთს, დამიურვეო, შემიტკბე, როგორც მამამ
შემცოდე შეილიო.

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა;
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

მაგრამ ვერც აქ იპოვა იგი სადგური მყუდროებისა,
რომელსაც ეძებდა, და იმედ-დაკარგულს მიესია „შავად მღე-

ღვარე ფიქრები“ სულისა და გულის უბინაობისა და არ იცის, სად და როგორ მოიშოროს, სად და როგორ გაექცეს და ეხვეწება თავის „მერანს“, რომლის ქენებას მართლა რომ ბუნებით საზღვარი არა აქვს, ვითარცა ჰკუა-გონების ქროლას, გასწიო

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარიო.

ყველაფერი დამითმიაო: ჩემი მამული, სწორნი და მეგობარნი, მშობელნი, ტკბილად მოუბარი სატრფოც-კი, ერთის სიტყვით, ყოველი იგი, რაც შეადგენს ცალკე კაცის ცალკე სავანს გულის ტეხისას, ქირისას და ლხინისას, ოღონდ

ვარსკვლავთა თანამავალთა

ვამცნო გულისა მე საიდუმლოო.

რაკი კაცს მამული ამოუღია გულიდამ, მშობლები დაუთმია, სწორნი და მეგობარნი, სატრფოც-კი გაუწირავს, განა-ლა საფიქრებელია, რომ მისი „შავად მღელვარე ფიქრი“, მისი „საიდუმლო გულისა“ ზოგად კაცობრიულს ვაეზას არ მოასწავებდეს, „ჰკუით ურწმუნოებისა და გულით უნდობისაგან“ წარმომავალს?!

მართალია, ცას იქით ვერ იპოვა სადგური, რადგანაც ადამიანის უძლურ გონებისათვის მიუწვდენელიაო. მაგრამ მაინც თავის „მერანის“ იმედი არ დაჰკარგვია და ეუბნება: თუ ცას იქით ბინას ვერ მივწვდო, შენ შენსას მაინც ნუ დაიშლიო:

გასწი, მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,

თუ აქამდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

აშკარაა, საზღვარ-დადებულის სიგრძე-სივანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას წყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად-მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კანმა ამისთვის ლუციფერი აიჩანა, გეტეს ფაუსტმა—მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა—თავისი „მერანი“, ესე იგი, თავისის სულის ქროლა.

ამ სახით, იგი ჰთაკილობს დაემორჩილოს ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისათვის საზღვარი დაუდვია, და განაგრძობს:

დეე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი,
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერიო.

და ჰნუჯეშობს, რომ ეს გაძალიანება, ეს თავგანწირულება ეს „სულის კვეთება,“ ეს პირდაპირი ომი ბედთან ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო,

და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო.

რას გაურბოდა? საით მიიზიდებოდა? სად ემუდარებოდა თავის მერანს მიმიყვანეო, როცა ეუბნება:

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გარდაიარე კლდენი და ღრენიო?

ამის პასუხს ვერ იპოვით „მერანში,“ ხოლო თუ სახეში მივიღებთ სხვა-და-სხვა დროს თქმულს მის მიერ ლექსებს, ცხადად დავინახავთ, რომ იგი მიუჩრბის იმ „კუთით ურწმუნობას,“ იმ „გულით უნდობას“, იმ „გონებით და ცხოვრებით“ აღშფოთებას და გაფეთებას, რომელიც შუბის წვერისავით გულს დაესობა ხოლომე აზრ-გაღვიძებულს ადამიანს, ეკვით გულ-ღვიძლამდე გაბნეულ, მოუსვენარ და ქეშმარიტების მუდამ მძებნელ მწყურვალ გონებასაგან. თვითც არ იცის პოეტმა, საით მიიზიდება, სად იპოვის შესასვენებელს სადგურს, ნავთსადგურს, რომ იქ შეასვენოს „ვნებათა დღე-ღამე“. იგი მარტო ამას გვიქადაგებს, რომ ძებნა უნდა ამა-საო თავგანწირულად და უშიშრად. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ იგი ჰლამოდა ცას იქით მიეწვდინა თვალი იმ სადგურის დასანახავად, მაგრამ უქმად ჩაუარა ცდამ. ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანახედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა თუ ცას იქით სწორედ იმისთანა ადგილებია მძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ, ჩვენს პო-

ეტს ეს რწმენა დაკარგული ჰქონდა, როგორც მისი „სულო ბოროტო“ გვიმტიციებს, და რაღა საკვირეწლია, რომ რასაც იქ იძიებდა, ვერ იპოვა.

ისიცა ვნახეთ, რომ ამავ მის მიერ სანატრელს სადგურს იგი ეძიებდა სიყვარულში, მაგრამ დაექცა ეს ტაძარი და ისევ შეუსაფარი დარჩა. მერე მასვე ეძიებდა სარწმუნოებაში, ჯერ მინამ სასოება გულს შერჩენილი ჰქონდა და არ მოეკლა ექვსა, მაგრამ ვერც აქ განისვენა, ვერც აქ იპოვა იგი ნუგეში, რომელსაც ასეთის „სულის კვეთებით“ ეძიებდა. ბოლოს მთლად მიენდო თავის „მერანს“, რადგანაც მის ქენებას საზღვარი არა აქვს: უნ გასწიე, ნურას მოერიდები, ნურც მე უემიბრალე დაქანცულობით, და თუ ვიპოვეთ, რასაც ვეძებთ, ხომ კარგი, თუ-არა-და, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი, უნგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო.

და ჩემს უემდგომად მოძმესა ჩემსა
სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

ეს მსუსხავი და მწვაი ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრეულ გულის ქარტეხილისაგან მოვლენილი, განა საკმაო მიზეზი არ არის ასეთის თავ-განწირულ სულის კვეთებისა და ეს სულის კვეთება განა ზოგად-კაცობრიული არ არის? მაშ, მაშინ არც ბაირონის დიდებული და ზარიანი ქექა-ქუხილი ყოფილა ზოგად-კაცობრიული? განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ექვით გაღესილი ქკუა დღე-მუდამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმავ სადგურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? განა ამ ქცევა-შენებით დაღალული გული კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებიდამ დღევანდლამდე, არ ეძებს მოსვენებისათვის სადგურს და მაგ სადგურის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არის ზოგად-კაცობრიული? განა ვაება კაცობრიობისა ის არ არის,

რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი სად არის სათავე ადამიანის სასოწარკვეთილებისა, თავ-განწირულებ-სა, ჰკუა-გონების არევისა, ყოვლისთვის უარ-ყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხან და ხან, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღიღვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა. ბაირონი და მთელი მის მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერ ცხოვრებისა განა ამისი მაგალითი არ არის? ჰამლეტის „ვიყო თუ არ ვიყო“ განა სულით უბინაობისაგან არ არის ამოკვნესილი?

შორს სად მივდივართ,—ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუღიზმობა, გრაფ ტოლსტოის „სულის კვეთება“, ის ან-ბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბავში დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანის საცემლად და ბევრი სხვა ამისთანა განა იმას არა ჰმოწმობს, რომ დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაეძრა და თვით თალიც მთელის შენობისა გარღვა და ჰლამის გად-მოქცევას? განა ყოველივე ეს იმის მაგალითები არ არის, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეკი-ღება, ხან რას, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვოს უბინაო სულსა, რომელიც დღეს ნაცარტუ-ტ.სავით ჰდღულს?

აი სწორედ ამ თვალთ გადუწვდენელს სარბიელზედ მიუ-შვა სადავე ნ. ბარათაშვილმა თავის „მერანსა“.

ჩვენის ფიქრით, „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბო-როტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითაც. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ გონების და სიცოცხლის აღშფოთებისა, რომელიც შავად მღიღვარე ფიქრად მიჰსევია ჩვენს პოეტსა „მერანში“ და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვავე ექვია, რომელიც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა-ვი „თავისუფლება“ ამ ~~სულო ბოროტოში~~ ჩვენს გულთა-

ამ სახით, ნ. ბარათაშვილმა ჩვენს ~~სულო ბოროტოში~~ ჩვენს გულთა-

თქმას, ჩვენს ქუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილიც მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწ-ფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგან-ც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“.

ეს ჩვენი აზრი ნ. ბარათაშვილის შესახებ იქნება მეტის-მეტი ეჩვენოს ვისმე, ხოლო ამაზედ-კა ყველა დაგვეთანხმე-ბა, რომ ეს, ჩვენდა საუბედუროდ, უდროოდ ჩვენთვის და-კარგული პოეტი ერთად-ერთი მწერალია, რომელაც სხვა-ზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალ-ნათ-ლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გაღწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღალა-დებაა ყოველგვარ სულის კვთებისა და ვნებათა ღელვისა. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამა-შია; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვ ლი იყო, მან თვისს მეჩანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის, ვისთვის და საროდოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის.

არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმისო, რომ გულში ღირ-დად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მაჴულისა,

სად სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის.

ეს დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არა ნაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულები „ქართლის ბედში“ იმ განწირულების დროს, როცა საქარ-თველოს ბედი სწყდება, ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნე-ბა და ქართველის ამომშრალს გულში ბევრს ნაშს ნატყრი-

სას და ნახვისას აწვევებს. იგიც შეჰნატრას წარსულს, თ.
გრ. ორბელიანისავეთ, იგიც შეჰნატრის უწინდელებს, რო-
მელთაც

არად მიაჩნით უბედურება,

თუ აქვთ თვისთ ჰერო ჰეშ თავისუფლება.

და სოლომონ მსაჯულას მეუღლისაგან აღტაცებულა,
შაშინდელ ქართლის ღირსეულ დედებს სახსოვარს უშენებს
ამ სიტყვებით

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,

კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!

რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ

სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!

თუმცა ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული
ჰნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრედ
წოდებული „ახალი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თით-
ქოს შეურიგდა, მაგრამ ესეც-კი მისი ნათქვამია:

რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,

გალოაშია დატყვევებული?

ილია ჭავჭავაძე.

1892 წ.



თქმას, ჩვენს კეუა-გონებას დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაწ-ფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნებისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმონტოვებიც მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“.

ეს ჩვენი აზრი ნ. ბარათაშვილის შესახებ იქნება მეტი-მეტი ეჩვენოს ვისმე, ხოლო ამაზედ-კა ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს, ჩვენდა საუბედუროდ, უდროოდ ჩვენთვის დიკარგული პოეტი ერთად-ერთი მწერალია, რომელაც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალ-ნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვალს იმ თვალ-გაღწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ლაღადებაა ყოველგვარ სულის კვებებისა და ვნებათა ლელვისა. ნ. ბარათაშვილას დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვლი იყო, მან თვისს მეჩანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნვეინა, ვინ იცის, ვისთვის და საროდოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის.

არც ნ. ბარათაშვილი იყო უიმიო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მაჟულისა,

სად სულსა სული თვისად მიჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის.

ეს დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არა ნაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულები „ქართლის ბედში“ იმ განწირულების დროს, როცა საქართველოს ბედი სწყდება, ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნება და ქართველის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატყრი-

სას და ნახვისას აწვევებს. იგიც შეჰნატრას წარსულს, თ.
გრ. ორბელიანისავით, იგიც შეჰნატრის უწინდელებს, რო-
შელთაც

არად მიაჩნით უბედურება,

თუ აქვთ თვისთ ჳერთ ჳეშ თავისუფლება.

და სოლომონ მსაჯულას მეუღლისაგან აღტაცებულა,
შაშინდელ ჳართელის ღირსეულ დედებს სახსოვარს უშენებს
ამ სიტყვებით

ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,

კურთხევა თჳვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!

რა იჳნებოდა, რომ ჩვენთა დედათ

სულიცა თჳვენი გამოჳყოლოდათ!

თუმცა ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული
ჰნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრედ
წოდებული „ახალი ჳართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თით-
ჳოს შეურიგდა, მაგრამ ესეც-კი მისი ნათჳვამია:

რა ხელ-ჳყრის პატივს ნაზი ბულბული,

გალიაშია დატყვეებული?

ილია ჳავჳვაძე.

1892 წ.

ნ. ბარათაშვილის პიროვნება და მისი პოეზია

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელსაც მოწიწებით, თაყვანისცემით უნდა იხსენებდეს ყოველი ქართველი, თუკი მას ქართველობისა შერჩენია რამე. ნიკოლოზ ბარათაშვილი ის პირია, რომელითაც უნდა ავაყობდეს ყოველი ქართველი, ვისაც კი ესმის, თუ რა არის ეროვნული სიამაყე.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ის სახელია, რომელიც ძლიერის სისპეტაკის სხივივით ანათებს ჩვენს შავბნელ ცხოვრებას და ყოველ ქართველს, რომელსაც კი თავისი სამშობლოს სვებედი აფიქრებს, აღონებს, უკიდურესი სასოწარკვეთილების დროსაც კი ამხნეებს და გულს იმედით უვსებს.—და მართლაც უგულო, უსულო, უკულტურო ერი ნიკოლოზ ბარათაშვილს ვერ წარმოშობავს, ამისთანა შვილები მხოლოდ დიდ-ბუნებოვან, დიდ-სულოვან და მაღალი კულტურის ერებსა ჰყავთ.

ბიოგრაფია პოეტისა მარტივია.

ის დაიბადა 1816 წელს 22 გიორგობისთვის შეძლებული თავადის ოჯახში. მამა მისმა, მელიტონ ბარათაშვილმა, მთელი საცხოვრებელი ხელგაშლილობით და ბეჯოვლათობით გაფლანგა და სიბერის ჟამს სიღარბეს ეწია. პოეტის დედა ეფემია, გრიგოლ ორბელიანის და იყო. რამდენათაც პოეტის მამა იყო მკაცრი, ფიცხელი, ჯიუტი და გაუტეხლი ხასიათისა, იმდენათ დედა იყო გულკეთილი, მშვიდი და წყნარი. პოეტი თავისი ხასიათით ძალიან ბევრით წააგავდა თავის დედას.

წერა-კითხვა პატარა ნიკოს დედამ ასწავლა. შემდეგ ის

შიაბარეს კალოუზნის სამრევლო სასწავლებელში; აქიდან ის გადავიდა კეთილშობილთა სასწავლებელში, რომელიც 1830 წელს გიმნაზიით გადააკეთეს.

პატარა ნიკო მეტათ მხიარული, ნიჭიერი და მასთან ცელქი იყო. რამდენათაც მას სწავლაში ემადლიერებოდნენ მასწავლებლები, იმდენათ ყოფაქცევისთვის ემდუროდნენ. ერთხელ ნიკო კიბიდან დაგორდა და ორივე ფეხი მოიტეხა. თუმცა ფეხები მოუჩინა, მაგრამ სიკოქლე მინც ემჩნეოდა. უმთავრესათ ამან შეუშალა პოეტს ხელი და სამხედრო სამსახურში ვეღარ შევიდა.

ლექსების წერა პოეტმა სასწავლებელშივე დაიწყო; ის იღებდა მონაწილეობას რუსულ ხელთნაწერ ქუჩანალში, რომელიც მოსწავლეებს ეკუთვნოდა.

გიმნაზიის კურსი ნიკომ დაასრულა 1835 წელს.

ერთათ ერთი ასპარეზი, რომელიც მაშინდელს ახალგაზდობას იზიდავდა—უმთავრესად იმიტომ, რომ დროც იმგვარი იყო და სხვა ასპარეზიც არ არსებობდა—სამხედრო სამსახური იყო. ბარათაშვილსაც სამხედრო სამსახურში უნდოდა შესვლა, მაგრამ მამა წინააღმდეგი გაუხდა, უმთავრესად იმიტომ, რომ ფეხი არ უვარგოდა, თუცა ნიკო თავისას არ იშლიდა; ამბობდა: ფეხები კარგი მაქვს, რადგანაც ჩემებურად კიდევ დავხტა, კიდევ ვთამაშობო.

მაშინ ბარათაშვილმა დააპირა უნივერსიტეტში წასვლა, რადგანაც, თუ „სტატსკი ვიყო, ბარემ ვიყოვო“, მაგრამ აქ მშობლების უსახსრობამ შეუშალა ხელი. პოეტი იძულებული გახდა, სამსახურში შესულიყო, რომ თავი ერჩინა და მშობლებსაც დახმარებოდა.

სამსახურში პოეტი მეტათ მხნე და შრომის მოყვარე იყო. ამისთვის საუკეთესო მოხელეთ ითვლებოდა.

1845 წელს ის დანიშნეს მაზრის უფროსის თანაშემწეთ განჯაში, სადაც ის 9 ღვინობისთვის გარდაიცვალა. პოეტი დასაფლავეს განჯაში საყდრის გალავანში და ამ გვარათ აღსრულდა მისი წინასწარმეტყველობა:

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში,

ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის!-ო.

1893 წელს 25 აპრილს პოეტის ნაშთი გადმოასვენეს თფილისში და მიწას მიაბარეს დიდუბის ეკლესიის ეზოში.

საზოგადოებაში ბარათაშვილი მხიარული კაცი იყო, ქეიფი, ლხინი, ღროს ტარება, ცეკვა-თამაში, მითქმა-მოთქმა არშიყობა და ხანდახან ქორიკანობაც მას ძალიან უყვარდა. სჯა-ბაასში ის მეტათ ოხუნჯი იყო, სიტყვა-მოსწრებელი და ენა-გესლიანი; მისი გესლიანი ენა განსაკუთრებით ქალებს ხედებოდა ხოლმე.

აი ერთ-ერთი მაგალითი.

„დიახ, ნურავის მოვაგონდები! სწერს ის მაიკოს ერთ წერილში. იმისი არ იყოს, როგორც ერთ ქალს უბრძანებია; რომ აქ მოგვწყინდენ და გავყარეთო! ეგეც ეგრე იყოს, მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოცდა ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევს! ჭაი იმის ბრალი, ვინც ოცდარვაწლისაა და აღარც არასამ სოფლის კმაყოფილებას მოეღოს!“

პოეტის ერთ-ერთ განსაკუთრებულ თვისებას იუმორი შეადგენს. ძლიერი სულიერი ტანჯვის, მარტოობისა და სევდის ღროსაც კი იუმარი პოეტს არა შორდებოდა.

„ჩვენს დიდ პლატონს, სწერს ის ერთ წერილში, ძილში კატა დაჰსწოლოდა ბაკენბარდზე და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ისე გათელილი დარჩა: ვურჩევთ, რომ მოიპაროს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა მის ფილოსოფიურ სახეს.“

ხასიათით პოეტი წმინდა წყლის რომანტიკოსია. საზოგადოება მას იმდენათ უყვარს, რამდენათაც მას თავდავიწყება, გამხიარულება შეუძლია. სხვა ღროს მისი საუკეთესო შეგობრები მთვარე, საღამო, მტკვრის დუღუნი და სასაფლაოა.

„Дай мнѣ маленькое, независимое состояніе, сწერს ის ერთ მეგობარს რუსულათ, я бы сейчасъ оставилъ и свѣтъ и людей съ ихъ ненасытностью и мирно и покойно про-

вель бы патриархальную живнь въ лонѣ простой природы, столь величественной и прекрасной въ нашемъ отечествѣ“.

გულით პოეტი მეტათ კეთილი და პატიოსანი იყო. მტრობა და სიძულვილი მის გულში დიდხანს ვერ იკიდებდა ფეხს. მეგობრისათვის არაფერს ის არ დაიშურებდა. მაშინ როდესაც იმის გარშემო ქეიფისა, არშიუობისა და კოროკანობის მეტი არაფერი იყო, ბარათაშვილის გონება ისეთ კითხვებს არკვევდა, როგორც მიზანი ადამიანის ცხოვრებისა, ადამიანის დანიშნულება, მსოფლიოს დასაბამი და დასასრული და სხვ.

მე შენსა მკვრეტელს მავიწყდების საწუთრობა.

გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს!

ეუბნება პოეტი ცას!

პოეტი მეტათ გულჩათხრობოლი იყო. ის მხოლოდ ერთათ ერთ თავის დას მაიკოს ჩაახედებდა ხოლმე თავის გულში ხანდახან.

პოეტი მეტათ შრომის მოყვარე იყო და სიზარმაცე ძალიან სძულდა. თუმცა სამსახური მას არ იზიდავდა, მაგრამ რა კი ხელი მოჰკიდა, საქმის სინიდისიერათ და ერთგულათ ასრულებას თავის მოვალეობათა სთვლიდა.

ზნეობრივ ცხოვრებას პოეტი ზალლა აყენებდა და ზნეობის აღზდას, შემუშავებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა.

ბარათაშვილი მორწმუნე კაცი იყო და უზენაესი შემოქმედის არსებობა მას შეურყვევლათ სწამდა, ყოველივე სოფელში ღვთის ნებააო, სწერს ის ერთ წერილში. პოლიტიკურ სფეროში პოეტი იყო მონარქისტი, ხოლო ის განუსაზღვრელი, თვითმპყრობელი მონარქის მომხრე არ იყო. მისი შეხედულებით „მარადის ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის.“

როდესაც წაიკითხავთ ბარათაშვილის წერილებს, თვალწინ დაგესახებათ მხიარული, ხუმარა, მოქეიფე, მოარშიყე, ოხუნჯი ახალ-გაზდა. თუ ამ ახალ-გაზდას დრო-და-დრო სევდა ეწვევა ხოლმე, რა ვუყოთ! ვინ არის ისეთი გულის პატრონი, ან იმგვარ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული, რომ ამის გულს ხანდახან სევდა არ შამოაწვეს ხოლმე!

ხოლო როდესაც კიხულობთ იმის ლექსებს, სულის კვეთება, სევდა, მწუხარება, სულის ობლობა, კენესა გულისა, მარტოობა, განუშორებელი კაეშანი, დაკოდილი, მოკლული გული, უდაბნო, წყვდიადი, ამაოება, — აი რა გესმით. როდესაც თქვენ ჩაუკვირდებით ნიკ. ბარათაშვილის პოეზიას, თქვენი თვალის წიწიშლება საშინელი სულიერი ტანჯვა მიუსაფარის მწირის, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი ადამიანისა რომელსაც მაშაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში, რომელსაც სიცოცხლე მოსძულეა ამდენის მარტოობითა და ტანჯვით.

სადაც უნდა იყოს პოეტი, რასაც უნდა აკეთებდეს, ვარდს შეჭხარის ის, ცას, სალამოს, ბუნებას, ჩონგურს უსმენს, თუ სიყვარულს ითვალისწინებს, ყოველგან ფიქრი ამაოებისა თან დასდევს მას შავი ყორანივით და მისი ვარდი გაფურჩქვნისათანავე სქენება, მისი მხიარულება განსახვისათანავე სევდათ იცვლება, მისი ღიმილი ტუჩებზედვე ხმება.

ერთის მხრით მხიარულება, დროს ტარება, ცეკვა, თამაში, არშიყობა, ქეიფი, ოხუნჯობა, ქორიკანობა, — მეორე მხრით სევდა, ტანჯვა, მარტოობა, ობლობა, საშინელება ამაოებისა, სიცოცხლისადმი სიძულვილი და ყველა ეს წინააღმდეგობა, ყველა ეს ერთიმეორის უარყოფა ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ადამიანში!

ერთის მხრით მხიარული, ოხუნჯი, მოქეიფე, მოარშაყე ახალგაზდა, მეორე მხრით ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი, მიუსაფარი მწირი, რომლის გულსაც ნეტარება არ ასადარებს, მის ნაცვლად სევდა და წყვდიალდაისადგურებს. და ორივე ეს სრულებით სხვა და სხვა ადამიანი ერთსა და იმავე პიროვნებაში!

რითი აიხსნება ასეთი გასაოცარი მოვლენა? რამ გაჰყო, რამ გააპო პოეტის პიროვნება ორ სხვა და სხვა არსებათ? შეიძლება პოეტის ცხოვრებაში ისეთი რამ მოხდა, რამაც მას სამუდამოთ დაუკოდა, დაუსევდიანა გული?

პოეტი იყო ერთხანს უამედლო სიყვარულით შეპყრობილი, მაგრამ ამ მხრით მან სძლია თავის გულს. პოეტს არ აუსრულდა თავისი საწადელი: ვერც სამხედრო სამსახურში შევიდა, ვერც უნივერსიტეტში წავიდა, მაგრამ ამ გარემოებამ პოეტი პირველ ხანებში დააღონა მხოლოდ, შემდეგ ის დაუმორჩილდა ბედს, როგორც თვითონვე სწერს ერთ წეჩილში, თავი თვისი ხელმწიფეობას და საზოგადოებას შესძღვნა და გულ მოდგინეო. შეუდგა სამსახურს.

ეკვი არ არის, საპირადო უსათუოდ ურევია პოეტის სევდაში, მაგრამ განა შეაძლება ბარათაშვილის უნავერსალური სევდის ახსნა საპირადო მოტივებით? უამედლო სიყვარულა, პატარ-პატარა უსიამოვნება ცხოვრებაში, უიღბლოა სამსახურში—ეს ხომ წვეთია იმ ზღვაში, რომელსაც ბარათაშვილის სულიერი დრამა ეწოდება! ბარათაშვილი არ ყოფილა იმგვარი ბუნების ადამიანი, რომ საკუთარი კეთილდღეობა მთავარ მიზნათ დაესხა და საკუთარ უიღბლობას დაენტო მასში ის ჯოჯოხეთი სულიერი ტანჯვისა და წამებისა, რომელსაც ის თავის გულში ატარებდა.

მაშ რითი აიხსნება ასეთი გასაოცარი მოვლენა? შეიძლება, პოეტმა ისეთი რამ ჩაიღინა, რისთვისაც მას სინიღისი სტანჯავდა! ამის პასუხს თვით პოეტივე გვაძლევს. „ნუ თუ ხმა ესე არის ხმა დევნისა შეუწყალისა სინიღისისა?... მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა, მის საშფოთველოს და საქენჯნავსა!“ მაშ რითი აიხსნება ასეთი გასაოცარი მოვლენა! რამ გააპო ბარათაშვილის პიროვნება ორ სრულებით სხვა და სხვა ადამიანათ?

„თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მაღლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა“ —სწერს პოეტი თავის დას მაიკოს.

Непостижимость цѣли нашего назначенія, безграничность желаній человеческихъ и суета всего подлуннаго наполнили душу ужасной пустотой, სწერს პოეტა მეორე წეჩილში.

მიწიერი პოეტის თვალში ყოველისფერი მხოლოდ ამა-
ოებაა.

აქედან უნდა იხილო, რომ პოეტი თავისი ფილოსოფიური
მსოფლიო შეხედულებით პესიმისტი—გულ-გატეხილი იყო.
უნდა ამგვარი შეხედულების ადამიანი უფრო მეტს ითხოვს
ცხოვრებისაგან, ვიდრე სხვა; მას არ დააკმაყოფილებს ის,
რაც სხვისათვის სრულებით საკმარისია.

პოეტის გარშემო ცხოვრება რომ ისეთი ყოფილიყო,
რომ მას სულიერი კმაყოფილება მცირედენათ მაინც მოეპოე-
ბოდა, მისი პოეზიაც შეიძლება არ ყოფილიყო იმდენათ გამს-
ქვალული უსაზღვრო უნუგეშო სევდით, მაგრამ პოეტის
გარეშემო ისტორიული და საზოგადოებრივი ცხოვრება ისე
მოეწყო, რომ პოეტის ფილოსოფიური პესიმისტიზმი გაიფურ-
ჩენა და მისი გული ააკვნესა, სული სევდით შემოსა.

ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ ლევან მელიქი-
შვილი სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „საქართველომ დაპ-
კარგა მასში კაცი, რომელსაც იგი უყვარდა მთელის პოე-
ტურის გულით და რომელიც ამ სიყვარულს ყველა თავის
მოვალეობაზე მალლა აყენებდა“. თუ ერთი საიდუმლოება
ბარათაშვილის სევდისა თვით მისსავე ფილოსოფიურ მიდ-
რეკილებაშია, მეორე საიდუმლოებაც აი იმ სიყვარულშია.

უსაზღვრო და მასთან უნუგეშო იყო პოეტის სიყვარუ-
ლი მამულისადმი; უსაზღვრო, უნუგეშო იყო ამიტომ იმისი
სევდაც.

განა სხვებს კი არ უყვარდა იმ დროს საქართველო?

დიახ, უყვარდა, მაგრამ ბარათაშვილი ზეგარდმო ნიჭით
იყო ცხებულის, მას უყვარდა საქართველო მთელის თავისი
პოეტურის გულით, მთელის თავისი პოეტურის ნერვებით, მთე-
ლის თავისი პოეტურის ოცნებით, მთელი თავისი პოეტუ-
რი გატაცებით, მთელი თავისი პოეტური ცეცხლით.

ბარათაშვილისათვის ღრმად, მძლავრად, მთელი არსებით,
მთელი ნერვებით სიყვარული მამულისა ჩვეულებრივ
ადამიანებს არ შეეძლოთ. ბარათაშვილისათვის ღრმად

ვერაინ ჩაიხედავდა სამშობლოს ცხოვრებაში, მასავით სრულათ ვერაინ გაითვალისწინებდა იმის აწმყო ცხოვრებასა და ვერაინ წარმოიდგენდა იმის მომავალს. ამიტომ ვერც ვერაინ დაიტანჯებოდა მასავით მძლავრათ სამშობლოს ტანჯვით. განა მამულის სიყვარული ისეთი რამ არის, რაც ადამიანის გულს სევდიტა და მწუხარებით ავსებს?

ღიახ! გაუბედურებული, მოტყუებით შეგბორკილი და, როგორც მცირე პოეტი ამბობს, ჩაბალახ-ახდილი მამულის სიყვარული მხოლოთ სევდას იწვევს ამ მამულის შეილის გულში და ეს სევდა იმდენათ უფრო უსაზღვროა—რამდენათაც უფრო ღრმათა გრძნობს ადამიანი, რამდენათაც უფრო ძლიერია მისი სული. გრძნობათა სიღრმე-სიუხვე და სულის სიძლიერე ბარათაშვილს არ აკლდა: ქარბობით კი სქარბობდა.

საქართველომ მრავალ და საშინელ ქარცეცხლში გამოი-
აჩრა და თავისი არსებობა, თავისი პიროვნება მაინც დაიცვა,
„მრავალ ყმაწვილ კაცთ იმედთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის“.

და მამული მტერს არ დაანებებს, სხვას არ ჩაუგდეს ხელ-
ში. ჩვენს წარსულში, როგორც ყოველი კულტურული
ერის ცხოვრებაში, ბევრი რამ იყო ისეთი, რაც თანამედროვე-
შეხედულებით, თანამედროვე საზოპით გასაკაცხია, დასაგმო-
ბი, მაგრამ ვის, რომელი ერის წარსულში იყო მარტო ია და
ვარდი! რომელი ერის ისტორიამ განახორციელა სრული
ერთობა, ძმობა და თანასწორობა! სამაგიეროთ ჩვენს წარსულში
ბევრი რამ დიდებული იყო და საერთოთ იგი დიდებული
ტრალიზმით არის საესე.

სამაჰმადიანოსთან შეუწყვეტელი ბრძოლით მოქანცული
ქართველი ერი მიენდო, თავის ნებით მიეკელლა ერთ-მოწ-
წმუნე რუსეთს და ის კი დიივიწყა, რომ

სახელმწიფოსა ჰსჯულის ერთობა არა რას არგებს, ოდეს
თვისება ერთა მის შორის სხვა-და-სხვაობდეს.

როდესაც ჩვენ გვეუბნებიან: ქართველი ხალხი ზემითა

და დაფ-ნალარით მიეგება რუსის ჯარს თფილისში შემოს-
ვლის დროსო, დიახ, სრული ქეშმარიტებაა. მხოლოთ ეს
ქეშმარიტება მარტოოდენ იმას ჰღადადებს, თუ რა იმედ-
ებით იყო ამ დროს აღჭურვილი ქართველი ერი, როგორის
გულით უხვდებოდა ის რუსის ხალხს ან რას მოელოდა რუსე-
თისაგან.

მაგრამ ის კი ქეშმარიტება არ არის, რომ არ გასულა ამის
შემდეგ დიდი დრო და ჟამი და საქართველოს სხვა და სხვა
კუთხეში აჯანყებამ, ამბოხებამ და შეთქმულობამ ჩინა თავი?

ახლა თქვენ თვითონ გაითვალისწინეთ სულიერი ტანჯვა,
იმედების დამსხვრევა, სასოწარკვეთილება და სევდა იმ ერისა,
რომელმაც იარალი გვერდზე მიაყუდა იმ იმედით, რომ დავი-
სვენებო, და მეორე დღესვე იძულებული გახდა, იარალისათვის
ხელი ეტაცნა, რომ თავისი პიროვნება, თავისი ადამიანობა,
თავისი უფლებანი დაეცვა, — და მერე რა მხრიდან? იმ მხრიდან,
საიდანაც ის მეგობრის მიერ დასახმაჩებლათ გამოწვილ
ხელს მოელოდა!

თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, რა უზომო, რა უსა-
მზღვრო უნდა ჰყოფილიყო განწირული სულის კვეთება,
კენესა გულისა, სასოწარკვეთილება, შავი ფიქრები და სევდა
იმ ერისა, რომელმაც დაინახა, რომ ის მოატყუეს, მოატყუეს
ვერაგულათ, რომელიც დარწმუნდა, რომ საკუთარს ხელით
საკუთარი ყელი გამოიჭრა?!

თავისი იმედების დამსხვრევა, თავისი სასოწარკვეთილეა,
თავისი სულის კვეთება, თავისი სევდა, თავისი ნალველი, თა-
ვისი კენესა გულისა ქართველმა ხალხმა აჯანყებასა და შეთ-
ქმულობაში გამოჰხატა.

იგივე სევდა მამულისა, იგივე შავი ფიქრება, იგივე
კენესა გულისა, იგივე განწირული სულის კვეთება მთელი ქარ-
თველი ერისა საქართველოს საუკეთესო პოეტმა თავის გრძო-
ბათა სიმებზე დასხა, საკუთარს გულში გაააბო, საკუთარს
კრემლით დააბო, საკუთარს სისხლით შეღება, საკუთარ
ნალველში ამოავლო და მით მოქპარვა თავისი პოეზია, —

პოეზია ყოველისფრის წარმავალობის, პოეზი მსოფლიოს
ამაოებისა, პოეზია ობოლის სულისა.

საქართველოს პოლიტიკურათ სიკვდილმა პოეტს თვალ
წინ დაუყენა კითხვა მამულის ყოფნა—არყოფნისა. ეს კითხვა
მთელის თავისი სიძნელე-საშინელებით პოეტის წინ იყო
ამართული და რამდენათაც უფრო ძნელი იყო ამ კითხვის
გადაწყვეტა, იმდენათ უფრო ღრმა იყო ბარათაშვილის სევ-
და და სულიერი ტანჯვა.

როდესაც ქველ სოლომონ ეუბნება ირაკლის—რომე
ქრთველებს არად მიაჩნისთ უბედურება, თუ აქვთ თვის ჰერ-
ქვემ თავისუფლებათ, ეს სიტყვები ნიკ. ბარათაშვილის სი-
ტყუებია, ეს აზრი პოეტის აზრია. პოლიტიკური დამოუკი-
დელობა ბარათაშვილის რწმენით უმთავრეს პირობას შეად-
გენს ერის კეთილდღეობისა და დიდებისათვის.

ამიტომ იხედება პოეტი წარსულისაკენ.

ყოველისფერი - მთვარე, საღამო, მთაწმინდა, მტკვრის
დუღუნი, ჩონგურის ხმა, პოეტს თვალ წინ უყენებს სამშობ-
ლოს წარსულს.

წარსულთა დროთა მოგონებით
სულს აფიქრებენ.

წარსული დიდებული იყო. ვითომ რადის და რაში არ
ვყოფილვართ კარგით, თვამომწონეთ სწერს ერთ ალაგს
პოეტი. პოეტს უყვარს ეს წარსული. წარსული პოეტის წმი-
დათა წმიდაა, მისი სამლოცველო, წარსულის ტაძარია, რომ-
ლის შესახებაც პოეტი ამბობს:

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს
არ გეგონათ, რომ პოეტის იდეალი წარსული იყოს. არა
პოეტი უპირატესობას აძლევს მშვიდ მოქალაქეობრივ ცხოვ-
რებას და სწავლა განათლებას, მაგრამ წარსულში არის ის,
ურომლისოთაც სამშობლოს დიდება და ბედნიერება პოეტს
ვირ წარმოუდგენია, — ეს არის პოლიტიკური თავისუფლება-
მაგრამ წარსული განქა, განქრა ტაძარიც.

პოეტს არ შეუძლია უტაძროთ ცხოვრება, მას აწმყო-
შიაც იგივე ტაძარი უნდა, მაგრამ ამაოთ.

ველარ აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
სჩივის პოეტი,

რამდენი სევდა, რამდენი ტანჯვა, რამდენი კვნესა, რამ-
დენი ნაღველი, რამდენი ცრემლები და უიმედობაა, რამდენი
სასოწერკვეთილება და უნუგეშობაა ამ სიტყვებში!

რატომ ველარსად ააგო პოეტმა ტაძარი?

რატომ ვერსად დაანთო მისი ლამპარი?

ამის პასუხს პოეტის ფიქრი მტკვრის პირათ გვაძლევს.

არ ვიცი იმ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება რად
იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება!

პოეტის თვალში აწმყო მხოლოთ ფუჭია და ამაოება.
ამ გვარს ნიადაგზე კი რა ტაძარი აიგება?

რატომ არის აწმყო ფუჭი და ამაოება?

ერთის მხრით იმიტომ, რომ საქართველომ დაჰკარგა
თავისუფლება.

მეორე მხრით იმიტომ, რომ თავისუფლების დაკარგვას
თან მოჰყვა ქართველი ხალხის ზნეობრივად დაცემა, სულიერი
დაქვეითება. „განა ქართველებში არის მეგობრული და ნა-
თესავებრი გრძნობა? სწერს პოეტი დას მაიკოს ერთ წერილ-
ში: „ვინც მაღალი გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგუ-
ლო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა
ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიქად, მას არ-
ცა თუ განჰსჯა ჰქონია; ვისიც ცრემლნი მეგონებოდნენ
ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სუ-
ლისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბეგრებისა, წვეთნი საში-
ნელის საწამლავისა“, სწერს ის მეორე წერილში. ამას ამბობს
ის პოეტი, რომელიც წარსულზედ გვეუბნება: „ვითომ რო-
დის და რაში არ ვყოფილვართ კარგნიო“.

მოიგონეთ პოეტის სიტყვები:

„ჰოი დედანო, მარად ნეტარნო

კურთხევა თქვენდა ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზე პირველ
გამოუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გაფარდეს აწ შეილსაც, მამულს,
ოლონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს!
რის ქართველობა, რა ქართველობა!
ვითომ რას გვავენებს უცხო ტომობა?

საქართველომ მარტო თავისუფლება კი არ დაჰკარგა,
მისი შეილები ზნეობრივით დაეცნენ, სულიერათ დაქვეითდნენ.

და, აი სწორეთ აქ იბადება პოეტის რომანტიზმი, მისი სევდა. მას უნდა განშორდეს ქალაქს, საზოგადოებას, სრულე-
ბით დაივიწყოს აწმყო, შეუერთდეს ოცნებით წარსულს, ბუ-
ნებას, მაგრამ ამაოდ—სევდა განუშორებლათ თან დასდევს
მას და პოეტის სული მყუდროებას ვერსად ჰპოულობს.

სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი! სასოწარ-
კვეთილებით გაიძახის პოეტი.

სამშობლოს უბედურებით გამოწვეული, პოეტის ფალო-
სოფიური პესიმიზმით განაყოფიერებული და იმის მგრძნობ-
იარე გულში გაღვივებული სევდა თან და თან გადიქცევა მსო-
ფლიო მწუხარებათ და ბარათაშვილის ნიჭის სიდიადეც სწო-
რეთ აქ აშკარავდება: ეროვნულს ნიადაგზე მან შექმნა მსო-
ფლიო სევდით, საკაცობრიო გრძნობებით გამსჭვლული პოეზია.

ბარათაშვილის საყვარული მამულისადმი იმის წერილე-
ბშიაც მკაფიოთ იხატება. პოეტს უყვარს, როდესაც სხვისა-
გან ქართველების ქება ესმის. ამგვარი ქება იმის ეროვნულ
გრძნობას ჰხიბლავს; თავმდაობას ქართველისას უკმაყოფი-
ლებს.

მაგრამ ბარათაშვილი არ არის ბრმა-თავყანის მცემელი თა-

ვისი ერისა, ის უკვირდება ქართველ ხალხის სულიერ თვისებებს და არკვევს მასში პირუთენცლათ სხვა და სხვა ნაკლს.

შორს მხედველობის უქონლობა, ხასიათის სისუსტე, დაუდევრობა, სიზარმაცე, ერთმანეთის გაუტანლობა, აი ქართველების ნაკლი პოეტის აზრით.

ამგვარია პიროვნება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

მისი ტანჯვა მთელი საქართველოს ტანჯვაა. პოეტის გულის კვნესა მთელი საქართველოს გულის კვნესაა. ბარათაშვილის სევდა მთელი საქართველოს სევდაა, პოეტის ობლობა და მარტობა მთელი საქართველოს ობლობა და მარტობაა. პოეტის შავი ფიქრები მთელი ქართველობის შავი ფიქრებია. ბარათაშვილის სულიერი დრამა—მთელი ჩვენი მამულის სულიერი დრამაა.

ბარათაშვილი გულია საქართველოსი. საქართველოს უნუგეშობამ, ქართველი ხალხის სულის კვეთებამ, გულის კვნესამ და სევდამ ბარათაშვილში ჰპოვეს თავისი ნამდვილი გამოხატულება.

და დღეს საქართველოს განყენებულ იდეას რომ შეეძლოს ჩვეულებრივის ადამიანურის ენით დალაპარაკება, იმავე სევდას, იმავე ამაოებას, იმავე ობლობას, იმავე განწირულ სულის კვეთებას, იმავე გულის კვნესას მოგვითხრობდა, რითიც გამსჭვალულია ბარათაშვილის პოეზია.

ბარათაშვილის სევდა დღესაც შავი ზეწარივით გადაჰფარებია ჩვენს ბედ-კრულ სამშობლოს. ნუ თუ არასოდეს არ გაიფანტება ის? ნუ თუ არასოდეს არ შეიცვლება ის ბედნიერი ქართველი ერის მხიარულ სიმღერათ?!

ივ. გომართელი.

ლექსები

ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

მეგობრებო, ჩემი გულწრფელი სურვილია,
თქვენთვის ყველაფერი კეთილად
დასრულდეს, და თქვენ ყველა
ფასილი და სიხარულით იმყოფებოდეთ!

1837

თქვენს სიყვარულს
დასრულდა

ბ უ ლ ბ უ ლ ი ვ ა რ დ ზ ე დ.

ბულბული ვარდზედ მჯდარი, ეტყოდა მას მსტვინავი ¹):
„ვარდო, ვარდო, მტანჯ ჩემო, გვედრებ გულით მტკინავი,
მალისე, თუ როგორ არს გაშლა შენი მღინავი,
მწუხრსა აქეთ აქ ვზივარ, ფურცლებზედა მკონავი!“

ასე ჰყეფდა ბულბული, ოდესცა ღამე ბნელი
მორცვამდა ქალცხსა; ჰქრიდა ნიავი ნელი;
და როს სდუმდა ბულბული, მაშინ აღმოხდა მთვარე,
ვარდმანც მაშინ მოჰჟინა სუნნელება მის არე.

მაგრამ მგოსანსა თურმე მოერია გლახ რული!
აღმობრწყნდა მთიებიც და ფრთოსანთ მხიარული
გალობა ჰყვეს ჰა რში, განაღვიძეს ბულბული.—
ნახა ვარდი ფურცენილი და მყის მოუკვდა გული!

თვალნი ემოსა ცრემლით, გულა სევდის საცლმითა,
ფრთა ფრთას ჰქრა და აღმალღა, მსტვინავი ღმობის ხმითა;
უხმო ყოველთა სირთა: „მოდით და შემოკრბითა,
მისმინეთ, შევიბრალეთ, ვის მიემართო წყლულითა?“

„განთიადით ღამედმდე შეფერყინვიდი კოკრობას,
არ ეზოგავდი სიცოცხლეს, უძილობას, გალობას;
მქონდა მტირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას:
მსურდა გაშლა ვარდისა, არ ეფიქრობდი დაქკნობას!“

წელსა 1834. 2)

ქ ე თ ე ვ ა ნ .

ზვირთები მოდულუნებენ,
ქალება ბუჩქნარებენ,
ხშირნი ლამაზთა კიდეთა,
მჩქეფრად მდინარის ქსნისათა.

მიმქრქალებული მთოვარე მოწყენით ნათობს მუნ ქალსა;
მდინარის პარზედ ზის იგი ¹⁾), ხელთა ჩონგურის მპყრობელი;
გიშრისა თმანი ნაშალნი შვენიან სპეტაკს საცმელსა,
და დამღერს იგი საკვდავად, ცხარეთა ცრემლთა მდენელი:

„აფ-ენანო, ²⁾ ოდეს დასცხრეთ,
მოსვენოთ ეზდენ სული?
რა გარგოთ, რომ შეიშურეთ
უბიწოო სიყვარული?“

„გულის-სწორო, ერთის ცილით
აგრე როგორ შეიცვალე,
რომე ტრფობა ჩვენი ამ ხნით
მას აგრე მსწრაფლ ანაცვალე?“

„თუ ვერ მცნობდი, რად მეტყუოდი:
„მე შენი ვარ საუკუნოდ!“ ³⁾
სიყმაწვილეს რად მიღხენდი,
თუ მოკლავდი ასე უდროდ!“

„რად შემიპყარ მე გლახ გული ⁴⁾,
უმანკო და უზრუნველი;
რად დამიქენე მე ყვავილი
ყაწვილობის, ჯერ უშლელი!“ ⁵⁾

„ეს ნუგეშს მცემს, საყვარელო,
რომე არის სხვა სოფელი;
ოდეს სცნა, რომ ვარ უბრალო,
მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!“

სდუმდა,—და მეცა ვიცანი
ქეთევან ჰაეროვანი,
ქეთევან ნაქები გულით,
ნაქები მშვენიერებით!

ნეტა რა ქარმან დააზრო მისის სიცოცხლის ყვავილი?
შეც ამატირა მის მხედრმან, მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში:
ქეთევან შუა ქსანშია მარად შეერთო, დღეღვილი;
მხოლოდ ისმოდა სახელი ამიღბარისა⁶⁾ ზვირთებში!

1835.

შ ე მ ო ღ ა მ ე ბ ა — მ თ ა წ ქ ი დ ა ზ ე დ .

ჭი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი¹⁾,
დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ შეენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს სალამოს, დაშთენ²⁾ ამოს, ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იღუმელობა³⁾ დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ
მდგომარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს, ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა⁴⁾
ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუქსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნე-
ლებასა!

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნალელიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს სალამოს, ვით მცგობარს, შექოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ,⁵⁾ ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზო, მინა-
ზებულო!

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს
დაჩნეული!

ჰი სალამოვ, მყუდროვ, საამოვ¹⁵⁾, შენ დამშთი ჩემად
სანუგეშებლად!
როს მკმუნეარება შეზომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარ-
ვებლად¹⁶⁾!
მწუხრი გულისა—სევდა გულისა—ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განა-
ნათლებს!

1836

ს მ ა ი დ უ მ ა ლ ი .

ვისი ხმა არის ეს საკვირველი¹⁾?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნადველი²⁾?

რა ესცან პირველად წუთი სოფელი,
დავშოე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის,

მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი³⁾ მარად
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჳირად:

„ემიე, ყმაო⁴⁾, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო იპოვნო შენი საშენი!“
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვპოვევ,
და მით კაეშანს ვერლა ვიშორებ!

ნუ თუ ხმა ესე არს ხმა დვენისა
შეუწყალისა სინილისისა?...
მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვევ ავსა,
მისს საშფოთიელოს და საქენჯნავსა!

ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი,
ვინცა ხარ, მარკვი, რას მომისწაფებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ესცნა მე შენი საიღუმლობა,
როს მხედეს ამ სოფლად ჩემი წილობა?....

1836.

ფიქრნი მტკვრის ჰირას¹⁾

წარვედ წყალის ჰირს სევდიანი ფიქრთ გასართველად;
აქ²⁾ ვეძიებდი ნაცნობს აღგიღოს განსასვენებლად;
აქ³⁾ ლბილს მდებლოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით;
აქა⁴⁾ ყოველი არემარე იყო მოწყენით:
ნელად მოღელავს მოღუდუნე მტკვარი ანკარა⁵⁾,
და მის ზვირთებში ჰკრთის ლაქვარდი ცისა კამარა⁶⁾.

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ⁷⁾ მე მისსა ჩხრიალსა,
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასაეაღსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების⁸⁾ მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...
არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოცეზა?...
მიინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვისთვის გული ერთხელ აღეკოს,
და რაც მივლოს, ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი⁹⁾, რომელთ უმაღლეს
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება¹⁰⁾,
შუოთვენ და ღრტვინვენ¹¹⁾, და იტყვიან: „როდის იქნება

ის სამეფოცა ჩენი იყოს,“ და აღიძვრან
იმავე მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე აჩიან!..

თუნდ კეთილ მეფე, როლის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვალთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით¹³⁾ თვის სახელი შთამამაკლობას!...
მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვილამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...
.¹³⁾

ნაგრამ რადგანაც კაცი გვქვიან—შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ¹⁴⁾ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოულისთვის არა იზრუნვოს¹⁵⁾!

1837

ჩონგურს.

შენნი მოთქნანი, კაენის ხმანი,
ხანცა ოხვრანი, ხანც ამოსკვნანი,
წარსულთა დროთა მოგონებითა სულს აფიქრებენ!

ჰი ჩონგურო, ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყროდეს მე სევდიანსა გულისა სენი!

მაგრამ სად ვნახო, შენი ღიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესპის მოკლულას გულის ოდენ ჩივილი!

1837.

ჩემს ვარსკვლავს.

რად მრისხანეს, ჩემს ბედის ვარსკვლავო?
მაინც გეტრფი, თუმცა ხშირად მკლავო:
შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,
შეეჩვია გული სევდიან კრთოლვას!

ნუ გგონია ბედსა მით დამიმწარებ,
რომ უეცრად ბუქით ნისლს ზოიფარებ;
შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ,
როს მიბუტუვით ნისლით გამო მონათებ¹⁾.

რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო,
მაინც გიცნობ, მშვენიერის²⁾ ცის მთენო:
ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა,
მალხინებელ დაბანდულის გულისა!

მოციმც-მდი, მოდი, გამომედარე,
შენგან ზნელი გული გამომიდარე;
კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,
ნაბერწყალნი ეშხისა მომაყარე³⁾.

1837.

ნ ა ზ ო ლ ე ო ნ .

ნაპოლეონმა გარდმოავლო თვალი ირანციას,¹⁾
და სთქვა: „აბაო ხელმწიფებამ რა შემიძინა?“
და რა იხილა თვისს²⁾ დიდების მსხვერპლი თვის წინა,
მისს მოღრუბლულს შუბლს შუქი რაღაც გარდაეთინა.

„ახლა კი კმარა,—სთქვა მან გულში;—სურვა აღმიხდა:
სახელი ჩემი ვასახელე ქვეყნის საოცრად,

შევმოსე ძალით საყვარელი ჩემი საშვენად
და დაეღმონე³⁾ გულმტკიცენი მას სადიდებლად.

„მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებ-ა!
მითხზავს გვირგვინსა დიდგზისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხა⁴⁾ შარავეანდედი;
ჯაჰი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“

„მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვსწყინდე⁵⁾
და სხვა მან ჩემის სახელათა დააგვიჩვეინოს!...⁶⁾
არა, არა მრწამს, რომე⁷⁾ ბედმა მე მიოგულოს:
შე მან გამზარდა, და თვისს გაწვრთნილს რაღა მიხერხოს?“

„ვერა გაუძლე?ს ნაპალეონ მეტოქეებსა!
რა გინდ ძლიერად, მეცნიერად, ვინ ხელმწიფებდეს,
მაინც მე იგი ვერ ვითვისო, ვერ ჩემოდნობდეს,
თვითონ სამარცე მევიწროოს, თუ ტოლი მყვანდეს!“

ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვსცნათ⁸⁾ ჩვენ მისი
თვითონ სიკვდილიც მას უებროდ აღმოგვიჩინებს:
დამქრალი⁹⁾ ცეცხლი და ზღვის დელვა წარმოგვიდგინებს
მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს!

1838.

თავადის ჭ. . . მის¹⁾ ასულს

ეკ... ნას²⁾

ხმით მშვენიერით,

ტკბილის სიმღერით,

ჰაეროვანო, სულს ელხინები;

თვალოთ არონინებ,

გულს დააწყლულებ

და ღიმილითა ესალბუნები!

საღც ხარ, იმ არეს
მოჭფენ სიამეს,—
უშენოთ მოსცდეს მხიარულება!

შენის ენითა,
საესე ლხენითა,
ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!

მახლოვს სიამით,
ოდეს ტკბილის ხვით
ვარდსა და ბუღბუღს³) მოვლხინარე,

პირმცინარითა,
სინარნარითა,
მგონის ყარობა გულს ესხიმფენარე!

1839.

ს ა ე უ რ ე .

ვითა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,

ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.

ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!

შენს შერხევით,

სიო მობერვით
ვულისა სიცხეს¹⁾ განიგრილებდეს!

ჰი სყურეო,
გრძნებით ამრეო²⁾,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?

მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი³⁾ ზედ დაგაკონოს?

1839.

ჩ ჩ ვ ი ლ ი

მიყვარს, მიყვარს მე ტიკტიკი ჩჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურისა მის¹⁾ ხმის,
ოდეს იგი ენითა სასუფეველის
უალერსებს წიაღთა თავის მშობლის!

მის სოფელი უზრუნველობით შენობს;
გარდა დედის ალერსისას არ რას ჰგრძნობს;
ნებიერობით და ღიმილით სულდგმულობს;
ყოველსავე შეუპოვრად მქვერეტელობს.

არა ფიქრობს იგი თავისს ცხოვრებას,
არ განიცდის იგი საწუთროს ვნებას;
იგი თავის სანუკველითა²⁾ შობით
ამუნათებს თვისთა მშობელთ პირიქით.

იტკტიკე ენითა უსუსურის,
იტკტიკე, ვიდრე ჟამი დაგხარის,

ვიდრემდის ხარ, ყრმაო, თვისუფალი,
არ გიცენია სოფელი მო?ღერალა! 3)

1839

ს უ ლ ი ო ბ ო ლ ი .

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას.
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი:
ძნელაა ჰპოვოს, რა დაკარგოს, მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
ნაგრამ ერთხელ დაობლებული სული,
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არლარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის!
ეშინიან, იკრძაღვის, არლა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელქეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხერა არის შიგება უბედურისა!

1839.

ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა ¹).

კ ა ხ თ ა მ ი მ ა რ თ.

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სუ-
ლით,

თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!

და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის
მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის, —
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოვიძღვინით მას არმაღანად,
ერთ-სულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.

როს თქვენებურად ნამუღორს ღვინით გულს ახარებდეთ,
ხელთ ჯამის მპყრობნი წარსულაა დროებს მოიხსენებდეთ ²)
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
მოიგონებდეთ ყარბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!

ბ ე დ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა.

კ ა რ ი ბ ი რ გ ე ჯ ი.

მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეჯოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყვი, რაც დღეს
საქართველოსა კირნი მოადგეს!

მრავალ არიან, ყფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
ვევწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!—

ასე ილოცუა მცფე ირაკლი
ბანაკსა თვისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მაჟლისათვის მეფისა ცრემლი!

ბატონს თვის ჯარი კრწანისის მანღვრად
დაგებანაკა სპარსთთან საომრად; 3)
პატარა კახი აღამაჰმად-ხანს
უპირებს შებჰას ძლიერ რისხვიანს.

ამ დროს გამოჩნდა 4) საქხრცით მტერი.—
ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
ზედნათლიდა ბრძოლისა ველსა
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნეებდა მამობრივის ხმით:
„ზედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეპირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი;
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“

„შენი გამჩენის კირიმე, შენი,
რომ გავგაგონე კვლავ ხმა 5) საღხენი!“
შეშლავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით.
„ჩვენ თუნდ სულ ერთს დღეს დავიხოცებით,

ოლონდ შენ იყავ, მეფევე, დღეგრძელი!
მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ხედავს,
მ სთვრის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!“

ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით ძამას შვილნი,
განუტყაღებენ თავისს სიყვარულს!

დაჰკრეს ნალარა, გულნი შეზარა
და მტერთ საოწრად ჯარნი შეჰყარა.
ხმა ნალარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალო, განგამხნევს, მხნევ, განგაღვიძებს
და შენც, მიჯნურო, სულს შეგიშფოთებს! ⁶⁾

შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშვიერი ღოში,
ეკვეთენ სპარსთა ივერთ მხედარნი,
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნიც ებრძვიან გამწარებულნი,
ორნიც ომებში გაქეზებულნი.
თამაზ, ენის, ენთ მოურავის ძე, ⁷⁾
და იოანე კახთ აბაშეძე
განუმტკიცებდენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟაკობისა.
მანც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ გაქირდა საქნე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მანაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!

ბინდმა გაპყარა მებრძოლნი მტერნი.
განაჯგულებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ⁸⁾ ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!...
აწ საფლავეცა არსად სჩანს ⁹⁾ მათთვის:
ჰაერში განჰქრა მათი სახელი,
და არსად ქამთა მოწაჲე ძეგლი ¹⁰⁾
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმღილნი ჰფარდენ ერთგულთა ძეთა!...
მაგრამ, ჳი გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაეცემის; ¹¹⁾
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიღუმებს,
ალა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!

მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
«გვიჯობს რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ,
ალა-მაჰმად-ხან რა აქა გენახავს;
ხომ იცით ჯარი დიდ-ძალი ახლავს,
და იქნება, რომ ციხეში დავხედეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.
ძველადგან ასე ნაამბობია:
«რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს სჯობია!» ¹²⁾

ყველა ეთანხმა ამაში მეფეს;
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს,
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა

- ექმნათ საქურედ ჯართა ქართლისა!
გათენდა დილა მზისა აღმოსვლად;
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ზნელი მოჰფინა ტფილისის არეს:
აღა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს!
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯართთ,
მაგრამ ვერა რა აენო ვერსაით.
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგენილი,
და თურმე ყოვლით იმედ-მიხდილი
ქართლითგან წარსვლას დაჰპირებდა....
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა მან იგი აწ მოიხელთა
და ძუხთალისა ანჯართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბქენი!
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა, ¹³⁾
მოყმეტა თვისთა ესდენ დაპცრობა, ¹⁴⁾
მყისვე აღენტო ხელმწიფე გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღა-მაჰმად-ხან, კელავ თავმოწონე,
შემოეპარა ციხისა კართა
და მოველინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა. ¹⁵⁾
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა ჰერანის ¹⁶⁾ ტახტ-ხელმწიფეებას ¹⁷⁾
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!

ქ ა რ ი მ ე ო რ ე

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,

და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ქალებს.
ში ადგილნო, ¹⁸) არაგვის პირნო
მოზიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოსა,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გარდაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს—შუბლს განიგრილგებს,
ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს,
არაგვო, ვაგ შენს გამწვანებულს მთებს,
და შერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

მზე დამავალი მოჰყენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერს არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გარდმოჰყურებს.
მუნ ბრძანდებოდა ¹⁹) მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალთ გარდმომზირალი;
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალოთა. ²⁰)
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიკთა კეთილთა უხვად მორკმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
საღლა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვაღხენენ თათბირნი მათნი! ²¹)

დიდხანს უკვრეტდა მეფე მღუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ;

ბოლოს მახვრალმან უბძანა მსაჯულს:
«შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება; 22)
ბევრ-ჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხებულს.
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმელავნებ, ვით საყვარელს შვილს!»

«არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზედ დავასრულე, 23)
რომ ძლიეს იგინი გავიერთგულე!
და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას,
განვეუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი მის ნაცვლად რაჲ მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა—და ვინ ახარეს! 24)...»

«ამიერითგან გაქეზებული
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული 25)
არ დაგვაწყენარებს სიამაყითა: 26)
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლექთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროსა უყურებს, 27)
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ! 28)
მეც თუმცა კვლავ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს, 29)
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად 30) რომ გინახვი-ვარ!
აბა, 31) რომელს შვილს ხედავ 32) ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს დარღვეულს?...
ჰი ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნულარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად! 33)...»

«აბა რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქცელი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი —სარწმუნოება,—
მას მსურს რომ მივცე ³⁴) მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქარაღს კეთილ-დღეობა!»

ამის გამგონი ჩვენი მსაჯული
უქვრებდა მეფეს განცვიფრებული:
მას არ სჯეროდა, რომ ირაკლის გულს
ხედვიდა იგი ესთ შეცვალებულს.
«რასა მბრძანებ! ჰკადრა მან მეფეს,
ბატონო, ღმერთი გადღეგრძელებდეს,
ნუ გააგონებ მაგ ხმას ქართველთა,
ესდენ შენზედა მსასოებელთა!
ჯერ სამაგისო რა გვემართება,
რომ განვისყიდოთ თავისუფლება!»

«იცი, მეფეო, რომე ივერნი
იქმნებიან რუსთ ხელთ ბედნიერნი?
სახელმწიფოსა სჯულის ერთობა
არა რას არგებს, ოდეს თვისება
ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს; ³⁵)
ვინ იცის, მაშინ როგორ მოუხდეს
რუსეთის ძალი ქართლს აწინდელი;
ვით შეითვისოს რუსმა ქართველი,
ვით შეიწყნაროს რუსთ მეფობამა,
რაც მოისურვოს ქართველობამა.
მაშინ, მეფეო, რავდენთ კაცთ მართალთ
მოუკლან გულნი ტანჯვათ იღუძალა!
მაშინ ირაკლის სახსენებელი
ვინლა ახსენოს, აწ საქმებელი?»

ნუ, ხელმწიფეო, მას ნუ ინებებ,
შენგან კი მაგას ნუ გაგვაგონებ,
და მერმე ქართლი ვინც ვერ განაგოს,
მაშინ მან უწყის, რაც მოაგვაროს; ³⁶⁾
ხოლო ირაკლი ვიდრე ჰყავთ ქართველთ,
უბედურებაც ბედნიერ აქვნდეთ!»

«ჩემო სოლომონ, მეფემ უბრძანა,
მე ეგ ყოველივ არ ვიცი განა?
მაგრამ კეთილთა დღეთათვის ქართლას
რა მოვაგვარო უმჯობეს ამის?
მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,
თვისს ³⁷⁾ დიდებისთვის სისხლთა აღნიჭეფე;
არამედ ვიხა მამა კეთილი,
რომელსა სურს რომ თავისი შვილი
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლკაროს.
ძნელ-არს ცხოვრება სამეფოსი, როს
უკვრეტდეს იგი ომსა დღე-დღითი!
აი ხომ ნახე აწ მაგალითი:
რა ჰქმნა ამ ერთმან დამარცხებამან!
კარგი, რომ კიდევ ალა-მაჰმად-ხან
ქალაქს დასჯერდა განძვინებული,
სხვით არ აღივსო მან საწყაული!»

«ახლა კი დროა, სოლომონ, რომა
მშვიდობა ნახოს საქართველომა.
მან საფარს ქვეშე მხოლოდ რუსეთის
ამოიყაროს ჯავრი სპარსეთის,
და მხოლოდ მაშინ უეჭვოდ გვრწამდეს,
რომ ქრისტეანთ ხვა მარად ისმოდეს
საფლავებზედ ჩვენთა მამა-პაპათი,
და განისვენონ აჩრდილთა მათთა!»

ველარ გაუძლო მსაჯულსა გულმან
და ჰკადრა მეფეს აღშფოთებულმან:

«განზრახვა შენი, მეფევე, შაკვირვებს!
ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ქერთ ქვეშ თავისუფლება».

«სულ მართალია, ჩემო სოლომონ,
მაგრამ აბა სთქვი, ქართველთა რა ჰყონ
ამ უბედობის და დარღვევის დროს?
აბა ირაკლიმ რა მოაგვაროს
მშვიდობისათვის საყვარელთ ყმათა?...
აი მივიღებ მე შენთ რჩევათა
და დავიღუბებ ჩემსა გულის თქმას; 38)
ნუ დაივიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,
რომ დღეს იქმნება, თუ ხვალ იქნება,
ქართლსა დიაცავს რუსთ ხელმწიფება!»

ასე ირაკლი და მის მსაჯული,
მამულისათვის გულ-მტკუნეული,
ქართლისა ბედსა განსამართლებდენ,
ხოლო ქართველნი მამულს ჰგლოვობდენ! 39)

ამ დროს აღმოხდა ბადრი მთოვარე
და სრამითა მოჰფინა არე.
ცამ, მოქედლიმა ვარსკვლავებითა,
მთისა ჰაერმან, სავსემ შევებითა,
და მთვარის შუქზე არაგვის წყალთ ,
თავისუფლებით ჩამომჩხრიალთა,
გულს აუშალეს დარღება ბატონს,
ოხვრა დამართეს, ვით კაცსა ლიტონს.
მა' მოაგონდა დრო ყმაწვილობას, 40)
განტარებული თვისთა კახთ შორის,
როს ჯერ არ ელო ტვირთი მეფობის,
როს ჰქონდა ეამი უზრუნველობის,
და საყვარელი კახეთის გმირი,
იყო ნაიდაგ მტერთა გამგმირი!

დიღხანს დაჰყოფდა ბატონი ჩუმად,
დაფიქრებული მწუხარედ და ღრმად.
შემდეგ უბრძანა სოლომონ მსაჯულს:
«ახლა კი დროა ჩვენს გაოხრებულს
ქალაქს ჩაეხედოთ; მაგრამ გერ ერთი
მინდა ვიხილო კიდევ 41) კახეთი,
შევიტყო კახთა საჭიროება,
ესცნა ჰაზრთა მათთა აწ ვითარება;
შენ კი აქედგან ქალაქში ჩადი
და დამახვედრე ჩემი სამზადი.»

დიღაზე ადრე მოვალს მსაჯულ
ქსნის ხეობაში, დაფიქრებული.
ვიდრეჟდის იყო შიშინობა,
მას აქ ესახლა თავის სახლობა,
და, მომავალმა აწ ქალაქისკენ,
გამოიარა თავის სახლისკენ. 42)

მეფის ჰაზრთაგან სულით დღეღვილი,
ზრახვიდა გულში მამულის შვილი:
«მადლობა, ღმერთო, შენსა განგე¹ას!
ერძს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებს
და ზისს ერთს სიტყვას მონებენ ერნი,
განურჩევლად სულელნი, ბრძენნი,
და იგი მათს ბედს ასე 43) განაგებს,
ვითა ამღერდეს იგი კამათლებს!
მაგრამ შენ, მეფევე, ვინ მოგცა ნება,
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულის კვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?
შენ ერმან მოგცა პირველ ღირსება,
რათა დაუცვა ყოფა-ცხოვრება,
და რად ივიწყებ, რომე მარადის
ერსა ეკუთვნის გულის თქმა მეფის!... 44)

«იქნება მეფე ციხის გატეხას
აბრალებს მოყმეთ მუხანათობას?
იქნება ამან აპყარა გული
ბატონს ქართლზედა, შეუორგული?...
მაგრამ ირაკლიმ უკეთეს უწყის,
თუ ვით საყვარელ არს ქართველთ შორას.
მაშ რამ უცვალა ⁴⁵) მას გულა მყარი,
ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი?...
მაგრამ ეინ იცის! იგი იქნება
უკეთ ჰფიქრობდეს, რაც გვექარება:
ბევრ-ჯერ ღვთიურსა ზრუნვასა მეფის
გონება ყმათა ვერა მიხედების!»

ამ ფიქრში იყო მსაჯული, ოდეს
მოადგა თავის სახლისა არეს.
წინ მოეგება მას თავის ცოლი,
სათნო სოფიო. სულისა ტოლი.
ახლაც ბევრს ახსოვს მისი ზრდილობა,
მშვენეირება, გულ-კეთილობა.
რა დაინახა მან თავის ქმარი,
სახე-შეცვლილი, მონაწყანარი,
ამბავი ჰკითხა მყის ირაკლასა,—
ასე საყვარელ იყო ყოვლისა!

„ვექობ, სოფო, რომე ირაკლი
ქართველებზედა იყოს გულნაკლი;
მას ზედ ეტყობა, რომ მისი სული
ძლიერად არის აღელვებული!
მწარედ უპირებს ბატონი დასჯას
თავის შვილების ამა ურჩებას;
ვექობ, რომ იგი სამეფოს ქართლის . . .
აძლევს საფარს ქვეშ რუსთა ხელმწიფისა.
მაშინ უყურე ჩვენს დედაკაცებს,

როს საცხოვრებლად დიდკაკაა ცოლებს
პეტრეს ქალაქში გარდაასახლვენ!
მაშინ, სოფიო, რაღა გინდათ თქვენ?
ხელმწიფეს ჰპოვებთ მაშად კეთილად
და დედოფალსა დედისა ნაცვლად;
არ მოგაკლდებოთ თავისუფლება,
განცხრომილება, ფუფუნეულება
მათთა სიმდიდრის პალატთა შორის!
ვერ გაიგონებთ მუნ ხმასა მტერის.
მრავალთ სიამეთ იხილავთ კვალად
ბანოვანთათვის გულგასართობლად:
მაშინ ვისაღა მოესურვება,
ნახოს ქართლისა კვლავ ამბოხება!“

„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბუღბუღი,
გალიაშია დატყვევებული!
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ქირსაც ვით ლხინსა ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?
თავის მამულში მას გაჭირება
სხვა და სხვა რიგად ენუგეშება:
მუნ სულსა სული თვისად მიაჩნის
და გულსა გულის პასუხი ესმის!“

„რად დაგვრჩომია სხვაზედა თვალი,
ოდეს მეფეცა და დედოფალი.
გვყვანან კეთილნი და ღირსეულნი,
და ვართ მათთანა შეიღებრ ჩვეულნი?“

ჩვენის დედოფლის გულისა ნაცვლად,
წუხარებათა საწუგეშებლად,
რას ვიპოვით ჩვენს სიცოცხლეში?
. 46)

მსაჯულს ეგონა, რომე იგი გულს
დედაკაცრაცა ჰპოვებს ცვალებულს,
და აწ, რა ნახა ცოლი ამ ჰაზრით,
გარდაეხვია მას მხურვალებით.

ში დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინღა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი?
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გაეარდეს აწ შეილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარს გულს;
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას 47) გვავენებს უცხო ტომობა?...

რა მოახლოვდა ქალაქსა მეფე,
დიდხანს უქვრეტდა ცრემლთა აღმჩქეფე!
პალატნი მისნი გარდმონგრეულან,
სახლნი სამშობლო დანაცრებულან;
მიდამო ხედავს უპატრონობას,
აღოხრებასა და ნატამლობას!
დუმილი სუფევს მის არემარე!
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწუხარე,
შემრთველი მრავალთ სისხლთა ქართველთა:
იგი გადარჩა მხოლოდ სპარსელთა!

აღაესო კვალად ერმან ტფილისი,
რა მობრძანება სცნა ირაკლისი. ⁴⁸⁾
ქალაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუმცა ადრინდელს მრავალი აკლდა!

წარვიდენ წელნი მოსვენებისა
და კვლავ ირაკლიმ ზრმალი ბრძოლისა
აღიღო ლეკთა შესამუსვრელად!
არც სპარსნი მორჩნენ დაუმარცხებლად.
სიბერის ჟამსა მოიცა ძალი
და შეაძრწუნა კვალად ოსმალი;
კვლავ ასახელა თავის სახელი;
მაგრამ ამაო იყო ყოველი:
დიდი ხანია, გულს ირაკლისა
გარდუწყვეტია ბედი ქართლისა. ⁴⁹⁾

1839.

სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი
მშვენიერნი ცრემლით ჰკრთოდენ,
და ბაგენი მდუმარენი
ხვაშიადსა მიმალვიდენ!

მაგრამ, სულო, იგი ცრემლი
არ სტიროდა ამ სოფელსა;
სახე შენი მოწყენილი
არა ჰგავდა ხორციელსა!

აწ მივხვდი მე, უბედური,
თვალთა შენთა მეტყველებას:
თურმე ცრემლი უცნაური
მოელოდა ჩემს ობლოზას!

ახლაც, ოდეს ვნახავ სადმე
ცრემლსა თვალთა მშვენიერთა,

გულ-ამოსკვნით ვიგონე მე
დღეთა ჩემთა ბეჯნიერთა!

1840.

ჩ ე შ ი ლ ო ც ვ ა .

ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-დელვილი!
ნუ თუ მამასა არღა ჰქონდეს გულის ტკივილი,
ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?

ჰი სახიერო, რად წარვიკვეთ მე სასოებას:
პირველ უმანკომ თვით ადამმაც სკოდა შენს მცნებას,
უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება,
გარნა იხილა სასუფეველის მან ნეტარება!

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეკ მას საღგური მყუდროებისა!

გულთა-მხილაგო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე;
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე
და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთ შენდა სათქმელად?
მაშა ღუმილიც მიმითვალენ შენდამი ლოცვად.

1840.

აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდსამქუხარო, საავდარო და მეც გლახ გული
მსწრაფლ განმითენა, შავ-ბელისგან დაღამებული!

ნუ თუ აღმიჩნდი ცხოვრებისა ჩემის მნათობლად;
ნუ თუ შენ ჰყინო შეგების სხივი ჩემს გულსა კვალად;
კვლავ აღმიტეხო გულის ქირნი, მიყრუებულნი,
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსრულნი?

მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი ესრეთ საზარი!
მეცა ხელი ვყო დაჟანგებულს ჩემსა სანთურსა
და შევაერთო ფიქრნი ჩემნი შენს ხმას ციურსა!

დავმღერდე მას დროს, რაჲს ვარსკვლავი მშვენიერის ცით
მინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით;
მოვსტქვამდე, თუ ვით მიმეთვარა იგი მსწრაფლ ღრუბელს,
ბოლოს ვუმღერდე შუქსა შენსა, 'შეგების მომფენელს!

ვფუცავ ძლიერსა სხივსა შენსა, ზი მნათო ჩემო!
ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო,
მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება!

1840.

ჩემთ ქეგობართ.

ქაბუკო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ
და სიყვარული გულის ქირთაც გისიამოვნებთ,
არ დაიჩნიოთ შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი.

აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ შოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა აღსა!
სასაცილოა ბერი. კაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალთა, როს ქაბუკი ბერიკაცობდეს!

მას ვაქებ, ვინცა თვის სიკოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა, ¹⁾
კისრად ტვირთება წუთის სოფლის მძიმე ზრუნვათა,

ოდეს მზის სხივნი შეგვიცვლიან ჩვენ დილას მას ნელს
და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შეჰყარის სარგებელს!
მხოლოდ ერთს გარჩევთ და გახსოვდეთ ესე თათბირი,
მერწუნეთ, ძმანო, ნაცადი აქვს ჩემს გულს ეს კირი: ²⁾

არ შეემსჯელოთ მოკისკასეს, კეკელა ქალსა,
სულის დამტყვიენელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა!
აშოკის ენა მას ახარებს, მას ასულდგმარებს,
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს!

1841.

*
**

არ უკიჟინო, სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმაჲ
მოკვდავსა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოაქმა!

მინდა მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსა მოვავლო,
სალამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო,

მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ¹⁾ ტყეთა ფრანველნი და
ვარდი;

მინდა შენ იყო, სატრფოო, მშვენიერასა ცის ცვარი,
რომ განაცოცხლო შევარნო, მღელღო სიციხითა ²⁾ დამკვნარი;

რომ მხოლოდ მზისა ციაგი მას დილის ნამსა იშრობდეს,
და ერთად შესხივებულნი, შევებას მოჰფენდენ სიკოცხლეს;

არეს ავსებდენ სიამით, მცენარეთ განმაცხოვლებლად,
იყვნენ მარადის, უხსნელად, ³⁾ სოფლასა განსათავებლად!

ნუ თუ ამ სულის წადილსაც, ჰრქვა ⁴⁾ სიყვარული სხვა-
თაებრ?
მაშინ მზეც უსხივ, უცეცხლოდ შეიძლებს ნათვას ვარსკვლა-
ვებრ;

მაშინ ვარდიცა განთიადს ვერღარა გარდაიშალოს,
და ცისა ცვარმან მდელიოჲ არღარა ⁵⁾ გააბიბინოს;

მაშინ შენც სხვათა მოკვდავთა ბანოვანთ მიემსგავსები!
მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?...

მაგრამა მშვენიერება გაქვს, ცისიერო, უხრწნელი,
და ჩემთა გრძნობათ შენდამი ვერ დასდევან კაცთა სახელი!

1841.

*
* *

ვპოვე ტაძარი, შესათფარი, ¹⁾ უდაბნოღ მღვარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი, წმიდა ლამპარი;
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობი' ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით ²⁾ და ბედის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ, შევესწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად ³⁾ დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;

ანა სიაჰით, ნეტარებით ესრეთ აღვსებულს.
მეგონა ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდ-ხანს 4) ახარებს?
განჰკრა ტაძარი—და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს;
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს! 5)

მოცხო მსწრაფლად 6) მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი?
არა, მოსძაგდა 7) მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი! 8)

გერლა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი 9) მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკულმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად ისევ მწირი, მიუსათაძი!

1841.

*
* *

მიყვარს თვალები, მიბნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;
მაგრამ როს ვუქვერეტ, ზაზახ-ვარდთ ველად
განეწონვიან მათი ისრები.

მივხვდი, თვალებო, ჩემო მკვლელებო, მაგ თქვენსა ქცევას,
მაგრამ ვით ელით თქვენგან კოდილის თქვენგან გაქცევას?

ვიცი, რომ მტრობენ გულსა მგრძნობელსა,
უწყალოდ სტანჯვენ უენო მსხვერპლსა,
მაგრამ რა ისართ ზეცად აღმართვენ,
მათშივე ჰპოვებს საკურნებელსა! 1)

თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს თქვენსა ძლიერს ბასრობას,
თუ არა სკვრიტდეს 2) თქვენგან სიკვდილში თვით უკვდავებას?

1842.

სუმბული და მწირო. 1)

მ წ ი რ ი.

სუმბულო, სად არს ფეროვნება შენი საამო,
რომ შენსა მკვრეტელს არ გააჩნდა დილა, სალამო?
მარქვი, სადა არს სუნი შენი, ამო და ნელი,
რომლით ათრობდა სიცოცხლის ეამთ ლაძაზი ველი?

ს უ მ ბ უ ლ ი.

მწირო, ხომ ხედავ, მოვკლებივარ ჩემს სამშობლოს გულს:
ჩემთ სწორთა ყვავილთ, მშვენიერს ცას და ჩემსა ბუღბულს:
აგერ მაისი ააყვავებს ტურფად ბუნებას,
მოვა ბუღბული და დაუშტვენს სიყვარულის ხმას²⁾;
ხოლო მე ხშული ბნელსა სადგურს და სევდიანსა,
ველარ ვიხილავ ჩემსა ტურფას და ტკბილს მგოსანსა!

მ წ ი რ ი.

ნუ თუ ვერ ჰპოვებ აქ სანაცვლოს, ვერც რას საამურს,
სადაც ოქროთი და ვერცხლითა გიმკობენ სადგურს;
სადაცა კაცი შენს შვენებას ესრეთ ინახავს,
რომ მზე ვერ გიქნობს და სიცივე ვერა დაგაზრავს?³⁾

ს უ მ ბ უ ლ ი.

მაგრამ მარქვ, რა არს ჩემთვის სახლი დიდ-მშვენიერი,
ვით გააღიმებს ჩემს შვენებას ხშული ჰაერი:
არლა⁴⁾ მევლება გარე წყარო, ციფი, კამკამი;
არლა მეცემის⁵⁾ დილით გულსა სიცოცხლის ნამი;
გრილი ნიაფი ჩემთა ფურცელთ არ უაღერსებს
და მაყვლის ბუტკი მზისა სხივთა არლა მიჩრდილებს?⁶⁾

მწირო.

სუმბულო ტურფავ, ზოიგონე მკაცრი ზამთარი.
მცხან შენ⁷⁾ ახლა იჭნებოდი უწყალოდ მკვდარი;
ნახე, რა ძალოდს შენტვის მზრუნველს კაცისა ხელსა,
რომ მისი სუსხი ვერ შეგირყევს ვერც თუ ფურცელსა.

სუმბული.

ჰე, მწირო, სოფლად ყოველსა აქვს ეამი და ბოლო,
მაგრამ ამას ვწუხ, რომ უეამოდ მცდების ბოლო!
ზამთრით ზუნება არა ჰკვდება, ⁸⁾—სევდით იმოსვის,
რომ თავისს სატრფოს, გაზაფხულსა, განეშორების!
და მყის⁹⁾ ვითარის შეენებითა კვლავ შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!
ახ, როდის ვნახო მეცა ველად ჩემი ბუღბული,
რომ განვიშალო კვლავ სიტურფით მისი სუმბული!

მწირო.

მშვიდობით, წაეალ, მეც მოვძებნი ჩემსა ყვავილსა;
ისიც შენსავით¹⁰⁾ განაშორეს სამშობლო ველსა!
ვაჲ თუ მასაც უდროდ აკნობს უწყალო ხელი,
და არღა¹¹⁾ მომხედეს სუნი მისი, კირთ-უკუმყრელი!

1842.

*
*

შენნი დაღალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!

ოდეს ნიავე ღამაზს დაღალეებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,

მაშინ ჩემს თვალებს აღაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა ის ავალოლებს!

1842.

* * *

რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, ჰირუმტიცობას?!
თუ ემღერი შენ ტრფიალისა ცვალებადს გრძნობას:
რომ არ გემსქვალვის საუკუნო ტრფიალებითა,
ჰგავს არ პასუხს სცემ შენ მას სულით მშვენიერითა.

სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების,
და ვით ყვავილი თავის დროზე მსწრაფლად დაქცების;
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსქვალევი,
ცვალებადია, წარმავალი და უმტიციები!

მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული,
რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული,
და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა?

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს,
მას ვერც შეშთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს.
მხოლოდ კავშირი ესრეთ სულთა შობს სიყვარულსა,
ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტიციებულსა!

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა, ესთ სანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი!
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება,
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭკმშპარიტება!

1842.

შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის ტიალის
მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთქნილთა ზარით, ღიარლით, მიწას
მომაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემიან
ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სევანი
მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამ-
ძღვარი,
თუ აქამოდღე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ 4) შემაშინოს მისმა ბასრმა, მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს კენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელღვარი!

კუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის
კვეთება! 5)
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც და-
რჩება,
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვი-
ლდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქ-
როლდეს!

მირბას, მიმაფრენს უკზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბეულითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს კენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელღვარი!

მაისის 9-სა. 6)

საფლავი ქეფის ირაკლისა. 1)

(კნიახს მ... პ...ძეს ბარათავს ?)

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლთ დავანთხევ შენს სახელზე, ძეფევ ხმოვანო!
ახ, რად არ ძალუძს განცოცხლება^ჰ) წმიდას აჩრდილსა,
რომ გარდმოხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!

თაყვანს ვსცემ შენსა ნაადერძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ჰაზრი შენი,
და ვსჯამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენნი ძენი:

ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო
მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო;
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული,
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული.

და მუნით ზიდვენ თესლთა ძვირფასთ მშობელს ქვეყანად,
მხურვალეს ცის ქვეშ მოსამკალთა ერთი ათასად!
სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს აწ ხელა!

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა;
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!

აწ მიხვდა ქართლი შენსა ქველსა ანდერძნამაგსა,
და თაყვანსა-სცემს შენსა საფლავს, ცრემლით აღნაგს!

1842.

ქიანს ბარათაევის ¹⁾ აზარჴეშაზე.

ამავსებ ღვინით,
ავავსებ ღვინით.
შესვი? გაამოს!

1842.

*
* *

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად? ¹⁾
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ²⁾ 'ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?

ამას უქადლი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ-კაცობას?
თითქოს მაძღვედი ³⁾ ამა სოფლად თავისუფლებას,
ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევიდი!

მარქვი, რა იქმნენ საკურველნი ესე ⁴⁾ აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე, წრფელნი ზრახვანი?
სულო აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები, ⁵⁾
რატომ გასუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყევლიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი, ⁶⁾ ჩემთ გულის თქმათა!

მას აქეთ არის დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერ(ც) ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰი მაცდურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?
ვაჰ მას, ვისაცა მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

1843.

*
* *

შევიშრობ ცრემლსა, კირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცხოვრებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი!

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჰნი ქვეყნად
და თავის მკობად ჰქმნა იგი მგოსნად!

1843 1).

მია გ...სთან 1)

ძიავ ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;

სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან!

მაგრამ გაჩნს კიდეც გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო-უცხო თემად იარე,
მრავალი კარგი ნახე ეშბავი.

მაგრამ რას ხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა ეს ღამე, ოდეს სატრფონი
აღამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თან-ზრდილნი სწორნი.

ღამე ყაბახზედ.¹⁾

მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად საამო,
მაისის ღამე, მიბუნდვილი, გრილი და ამო;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოჭფენს ყაბახსა და კოჯორი დაჭკრის ნიავეით,
და მომდინარე ხან ზეირთთ ცემით, ხან ნელად მტკვარი,
მოოხრავს შორით, ვით მიჯნური, ჟამთ მოჩივარი!

ამგვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე
ფიქრით მოცულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე.
აჰა გუნდ-გუნდად დარაზმულნი აქა-იქ ქალნი
პირად-პირადად სეირნობდენ, კეკლუც-მოსილნი,
და მათ გარემო შეჭფრფინვიდენ ყმაწვილნი კაცნი,
ზოგნი დამძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი;
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა.

„სთქვი რამ, ეტყვიან ყაფლანს ზოგიერთი²⁾ ქალები,
„თუნდ თავსა უფუჯად;³⁾ ახლა პრანქვას ნუ კი მოჰყვები.“

ყაფლანც, სულღმული აშიკობით, დაილიღინებს
გულის საკვდავად და თან და თან ყელს მოიღერებს.
ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები
არა აშლოდეს ჩვენსა ქალსა—ტრფობის ქირები!

უეცრად მათში დავინახე თეთრ-კაბიანი
და მეყვსეულად მან მიმილო ჩქმნი ცნობანი.
არ ვიცი ამ დროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა?
სად არს სილაღე, სად არს ძალი გრილის გულისა!
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ვჭთი;
მას აქეთ თვალი ვედარ მოვკარ, და ახლა ერთი
სდგას აქა კრძაღვით, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა,
ყელი ყელყელობს, აღმგზნებელი გულთა ქირისა!

თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდგევი წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მეღირსა კვალად
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად.“
„გმაღლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ 4)

კიდევ:

ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ.“
„დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდებო
ვერ ჩამიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები.“

ამა სიტყვაზე ვარდი ღაწვთზედ მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიაფმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა
და ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
რომელთ სიამით ცნობა ჩემი წარიღეს თვისდა;
ამ დროს მთოვარემც შუქი თვასი მისტება ბროლსა,
რომელმან შვება სილამაზით ჰფინა ჩემს გულსა;
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი—თვალსა!

ნა..., ფორტუნიანოზედ მომღერალი.¹⁾)

ხმა საკრავისა
ნელ ნარნარისა
სულს განახარებს
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ქირებს!
ვქვრეტდი ლამაზსა,
სევდითა ნაზსა,
და შევეტრფოდი;
ყოველთ გრძობათა,
ყოველთ გონებათა
მას მივაპყრობდი.
ლაწენი ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ;
თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმებოდენ.
ჟუჟუნა თვალნი,
გულთა მომკვლელნი,
მოცინარობენ;
პაწაწა ტუჩნი,
ვარდებრ ნაცურცლნი,
ლხენას მოჰბერვენ!

ჩ ი ნ ა რ ი.¹⁾)

განმარტოებულს ფრიალოს კლდეზე სდგას ალვის ხისა
ნორჩი ახალი,

მრავალ-შტოვანი, მაგრილ-აბელი, ჰაეროვანი, ტურფა, მა-
ლალი.
საამო არის მის ჩრდილში ოცენა და მისთა ფოთოლთ შრი-
ალთა სმენა,
და წყალთ დუღუნზე უკულმართისა ამა სოფლისა ქირთა
დათმენა!
მოქშუის მტკვარი, მოჰქრის ნიაფი და შრიალითა არხვეს ჩი-
ნარსა,
და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამაძინარსა!
მრწამს რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ
შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბ-
რის!
ვითა მიჯნური სატრფოს ამაყსა, მტკვარი მას ნორჩსა ფერ-
ბთა ევლებს,
და აღმოარხვეს უფსკრულებიდან და აღელვილი კლდესა ეხ-
ლებს!
მაგრამ ჩინარი, მალლალ მჩინარი, დვას მედიდურათ და სია-
მაყით,
და მხოლოდ თავსა გარდმო-გარდილებს სევდიანისა შერხვეის
სახით.
რამდენ-ჯერ ქარი შეარხვეს საროს, იმდენ-ჯერ მტკვარი უჩე-
ტეს ოხრავს,
თითქოს სიშურით შეშფოთებული, და კლდის პირებზე ზვი-
რთთა შემუსრავს.
ესრეთ იდუმალ, მაგრამ ძლიერად, დაიტანჯების მარად მიჯ-
ნური,
თუ მას ნამდვილად ეგზნების გულსა ტრფიალებისა ცეცხლი
ციკრი.

ლაქრობა ქართველთა კავკასზე. ¹⁾

ძროდე კავკასო! ახლო არს დღე შენის აღსასრულისა!
შეთქმულან შენზე ერთპირად ძენი ქართლისა სრულსა
აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
და აღმორთმევად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა.

ქართლითგან მოვალს მარადის მამულის მონა ლაშქარი,
წინ ერისთავი მოუძღვის, მიწისა გააქვს ზანზარი!
კავკასო, ქართლოს საფლავზედ არიან გაფრცხვულნი
და მათ წინ ვერღა დაუდვენ ვერც შენი პირველ რჩეულნი!

სომხეთით მოსქექს სასარდლო ძველადგან სახელგან-
თქმული,
მასშიგან ²⁾ ბრუნავს ცხოველად დავით სარდრისა კვლავ
სული!
ჰე დაღისტნელნო, სომხეთის ³⁾ კედელნი თქვენგან ნგრეუ-
ლნი
მის ძეთა თქვენის თავებით ჰყონ ახლად აღშენებულნი!

კავკასო, აჰა კახნიცა, შენზე გულ-ამღვრეულები,
მეფის ირაკლის გაწრთენილნი, გმირებად დასახულები!
ნუ ჰგონებ, აღხოცილიყვნენ მათ შორის ძველნი მამაცნი:
ყოველსა დაშთა შვილები, საშვილიშვილოდ ვაჟკაცი.

ნაუნჯნი ყმანიც მეფისა, თუშები მოულაღავნი,
სდევნიან მტერთა მძვინვარედ, ვით მგელნი ცხვართა მლაღავნი!
თქვენი ქირიმე, თუშებო, ბიქობა თქვენი ქებულა,
მახვილი თქვენი მარადის დაღისტნელთ ქედზედ ლესულა!

ამ გმირულს ჯარსა ერთობრივ ჰყავს ღირსი წინამძღო-
მელი,

მან თავი დასდვა სპათათვის, სახელითა ჰქმნა სახელი,
და საკადრისად გვარისა გამოჩნდა ნამდვილ ქართველად.
მტერთ სიხარულით შეებმის მკვრეტელთა საოცნებელად!

კავკასო, ძრწოდე! შეირყა ჩიჩენიც დასამხობელი!
ვის არა აღეტაცების სული ამ აპზს მცნობელი?
ჰე ძმანო, ნუ თუ არ გესმით მეფის ირაკლის ხმა მაღლით?
გისმობთ: «ქართველნო, ჰეა შაბაშ, კურთხევა თქვენდა ზე
მაღლით!»»

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინა-
პართა:

იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა!
აჩრდილნი ჩვენთა მამათა იშვებდენ საიქიოსა,
და გვიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა!

სექტემბრის 20-ს დღესა

წელსა 1844-სა.

*
* *

მაღლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვალეზიანო,
დღისით მზევ, ღამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხშიანო!
შენის ლოდინით ვსულდგმულვარ, თაყვანს ვსცემ შენსა სა-
ხელსა,
დედისერთა ვარ, ნუ მომკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა.

ყარიბი ვინმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჯალი,
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის:
მის ფასი კრდე საუნჯე ცას ქვეშეთს განა იმყოფის? ¹⁾

10 იანვარს.

1845.

* * *

დამქროლა ქარვან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღესილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვარაგან იყო ნამილი;
დრომ უჟამურმან აწ ცრემლით შესეარა მისი ადგილი!

აწცა, თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაქ-
კნობს,

მოძულეებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკობს.
მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდენ მწარენი ქირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

1845. 1)

* * *

როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა,
ლიპილოთ გეგხარ მაისის ღღესა,
მე შენს თვალეში ვსქვრეტ სამოთხესა
და მათი მქვრეტი ვიწვი ცეცხლითა!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ,
არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, თუ ვით
სატრფო ხარ!

როს უბედურ მყოფს მე მოშორება
გონება-მტაცის მშვენიერების,
ესთელი მოწყინებით ჟამთ მკმუნვარების
და სევდა გლახ გულს დამეფარება!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ!

ხან ძილსა იკრთობს, ხან სევდით ოხრავს,
ხანცა ყოველს სულს ამხიარულებს,
ხან სიკედლილს აწვევს, ხან შორით ოცნებს,
ხან ჰყვება სოფელს, ხან ცად მიფრინავს!
არ დაიჯერებ, თუ ვით სატრფო ხარ! 1)

*
* *

ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდგან ვეტროდი.
და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ—არ ვეტროფო
აროდეს ფერსა სხვას.
თვალეში მშვენიერს
ვეტროფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოჰკრთის სიამით.
ფიქრი მე სანატრი
მიმიწვევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.
მოვჰკვდები—ვერ ვნახავ
კრემლსა მე მშობლიურს,
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს!
სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას—
იგიცა შესწიროს
ციაგმან ლურჯსა ცას!

*
* *

ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერ ვარ მე, თასი:
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და მოსალხინო მართასი!
მოვედით სევდით მაშვრალნო, გასვით სასმელი ღმერთასი
და მყის გიქარვით გულისა, ვით ერთი, კირი ათასი! ¹⁾

წერილები

ნიკოლოზ ბარათაშვილისა.

I

ტფილისი. გარეთუბანი. 1837-სა წელსა თებერვლის...¹⁾

საყვარელო ძიავ! გთხოვთ მომიტევეთ ესდენ ხანს ჩემ-
გან მოუწერელობა; ეს გარემოების ბრალია: ხან არ ვიცოდი
ადგილი, თუ სად იმყოფებოდით, ხან საქმეებში გავერთოდი
სამსახურისა გამო (я чиновникъ экспедиціи суда и рас-
правы) და ამობაში ორშაბათი გამომეპარებოდა ხვალმე,
როდესაც მანდაური ფოჩტა მოდის. ასე, ძიავ, ვიცი მომი-
ტევებ.

აგერ წელიწად ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი
დავასრულე და ვიმყოფები სულაირასპრავაში. წარდგენილი
ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა აღვიარო, რომ
არც პანციონში ყოფნის დროს, когда будущность моя
представлялась мнѣ въ радужныхъ мечтаніяхъ, და არც
მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია
ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯა-
რის-კაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდის-
ხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ რაღამ დამი-
შალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი რამ დამიშალა: ჩემთა
მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო და
თუ არ ინვალიდის კომანდაში სხვაგან არ მიგიღებენო, მა-
შინ, როდესაც ფერხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს
ასე, რომ ჩემებურად კიდევ ვბტი და კიდევ ვტანცაობ.

მაგრამ რადგანც შევიტყე უარი მათი და მით უამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ თუ შტატსკი ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურებისაგამო, მამაც ამ დროს ავად შეიქნა და ავადმყოფი, ჩემს თხოვნაზე, ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ხედავ შენის სახლის გარემოებასაო, იქნება მე ველარც კი გავაწიო ამ სნეულებასაო, შენს სახლს არ უპატრონებო?“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დავრჩი ისევ ჩემს მამულში; განვწყესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას; ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება! რადგანაც ასე მოხდა, მაშ აქ ექსპედიციაზე კარგს ადგილს ვერ ვიპოვნიდი. უნდა მართალი ითქვას, რომ ეს ადგილი ყრმაწვილის კაცისათვის, ვისაც კი სამოქალაქო სამსახური უნდა, პირველი შკოლაა; ეს არის რომ *КРУГЪ ЧИНОВНИКОВЪ НЕ ВЫГОДЕНЪ ДЛЯ ОБРАЗОВАНІЯ НРАВСТВЕННОСТИ*, მაგრამ ეს თავიზედ არის დამოკიდებული.

ამისთვის გაცნობებთ ჩემს ვითარებას, რომ ჩემი აქ დარჩომა სიზარმაცეში არ ჩამომართოთ. ღმერთმა დამიფაროს! ეგ თვისება სხვისაც მეჯავრება. კეშმარიტად არა, ზარმაცი არა ვარ, მაგრამ რა ვქნა, რა გაეწყობა სოფლის ბრუნვას... მახლას!..

ამ წარსულს ზაფხულში, ერთს შევნიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმან შევინებამ, *სატრფოთ* მარაქამ, მათმან უწინდელეებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიაფი განგვიგრძობდეს“ და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის-მეთქი, და კიდევ აღვა-

სრულე; მით უფრო ჩქარად რომ ერთმა საგანმა პირველ
ღამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიაე, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის
მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის;—აი:

ძიაე, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ჯვის ენისა²⁾ გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა³⁾ დაგიხშო ეტლმან!

მაგრამ გაჩნს კიდევ გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო და შორს თემად იარე,
მრავალი კარგი ჰნახე ამბავი.

მაგრამ რას ხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა ის ღამე, ოდეს სატრფონი
აღამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თან ზრდილნი სწორნი!

ღამე ყაბახსედა.

მიყვარს, ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის,
თაღხად ბნელისა მაისის დროს, წყნარის და ტფილის
ბევრჯელ მინახავს სახე შენი შევნიერებით—
ძველის ახალთან ახლის ძველთან შენობაებით;
მაგრამ უმეტეს მიყვარს ღამე, როს მთვარე შუქით
მოჭფენს შენს არეს, თვით ბუნებით საესეს სიამით,
და მომდინარე ქველებითა ხუვილით მტკვარი
ზვირთთა ალატყვევლს⁴⁾ შორით სმენად დასამტკობობარი!

ამ გვარი იყო ის ღამეცა, ოდესცა გარე

ფიქრით მოკულმან ჩვეულებრივ ყაბახს ვიარე,
სადაცა მწყობრად ღარაზმულნი აქა-იქ ქალნი
პირად-პირადად სეირნობდენ კეკლუც მოსილნი,
და მათ გარემო შეჭურფინვიდენ ყმაწვილნი კაცი,
ზოგნი ღამძინილნი, ზოგნი ტრფილ და ზოგნი ანცნი.
თვითონ ცის მთვარეც მოწიწებით ღრუბელთ ეფარა,
რომ ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდენ და მას კი არა!

„სთქვი რამ“, იტყვიან, „ყაფლან“, „ყაფლან“, ზოგნი
ქალები,

„თუნდ თავსა უფლად; ახლა პრანკვას ნუ კი მოჰყვები“.
ყაფლანც მორჩილი სატრფოთა მათ დაილიდინებს
გულის საკვდავად და თან-და-თან ყელს მოიღერე!ს.
ვის არ გსმენიათ მის ღმობით თქმა, როს მყის სევდები,
კეკლუცნო ქალნო, არ აგშლიათ გულად მკვიდრები?
კილოს და კილოს ხორხში ამოდ დაირაკრაკებს.
და მას ნიავი არე-მარეს შეამუსიკებს.

უეცრად მარჯვნივ დავინახე თეთრ-კაბიანი,
მათ შორის მდგომი, ვინ მიმხადა მსწრაფლად ცნობანი!
არ ვიცი ამ ღროს რად აღვიგზენ უფროს ცეცხლისა;
სად არს გაბედვა! სად არს ძალი გრილის გულისა?
ვნახე სადღაცა ქალთ კრებაში როდისღაც ერთი,
მას აქეთ თვალი ველარ მოვკარ, და ახლა ერთი
სდგას აქა წყაზრად, ვით ქურციკი ვეფხვთა შორისა;
ყელი ყელყელობს, დამფანტველი მსწრაფლ გონებისა!

თვალი შემასწრო მან ამ ღროს მე და შემომლინა;
ამან გამამხნო—და გულს ძგერით წარესდევნი წინა
და ასე ვუთხარ: „ნეტარ რომ მე მეღირსა კვალად
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად.“

„გმადლობთ, მითხრა მან, რომ თქვენ მაინც გახსოვართ კი-
ღევ“

ახლა მოდაა; „ვინც ვის იცნობს ივიწყებს ისევ“.

„ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები ვერ მაპიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები“.

ამა სიტყვაზე ვარდი ლაწვთზედ მყის აეფურცლა,
ამ დროს ნიაგმანც თეთრი კაბა მიმოუქროლა
და—ბუდეშური მის ფეფები ლამაზად მოჩნდა,
რომელთ სიამით ცნობა ჩემი მიმხადეს თვისდა;
ამ დროს მთოვარემც შუქს მის ხალი აღუგზნობინა,
რომელმან ჩემს გულს ხანდომობით შვება მოჰფინა;
მაგრამ სხვა მუნით მიიხმობდა სატრფოსა ქალსა,
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი—თვალსა!

ძიავ! ეს ლექსები დიდი ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ფოჩტას ვერ ვანდე კიდევ. რა ვიცი როგორ მომხდარიყო, იქნება დაკარგულიყო, და მერე: 3.

„არ ვინ იცის, რა გამოვა რისაგან“.

სხვებრ, გთხოვთ თქვენის წიგნით მასიამოვნოთ რაიძე; იგი ჩემთვის ძვირფასია. მშვიდობით! ღმერთმა ინებოს, რომ კვალად მამულში გიხილოთ.

თქვენი უმორჩილესი ნ. ბარათაშვილი.

II¹⁾

6-го августа 1838

г. Тифлисъ.

Милый другъ! Не пеняй меня за молчаніе. Право, въ нашемъ скучномъ отъ жаровъ, душномъ отъ пыли, городѣ нѣтъ ничего любопытнаго. Я оживляюсь только

по вечерамъ луннымъ, такъ прекраснымъ въ Тифлисъ! Вчера, въ одинъ изъ этихъ вечеровъ, пошелъ я бродить къ Московской заставѣ; вдругъ я очутился на кладбищѣ. Признаюсь, немного смутился, когда я взглянулъ на это онѣменіе: 11-ть часовъ ночи. Ни души. Кругомъ пустота вѣчная; луна тускло освѣщаетъ могилы, какъ догорающая лампада усопшаго. Тихо и медленно протекаетъ Кура, какъ будто боясь нарушить покой въ этомъ уныломъ мірѣ.... Ты теперь въ раздольѣ, и я не хочу смущать тебя мрачными думами, которыя навело мнѣ на душу это зрѣлище небесно-земное! Но скажу, что прекрасное изобрѣтеніе кладбище, а это необходимо, чтобы смертный порой читывалъ бы по нему свою жизнь: утѣшеніе несчастнаго, конецъ счастью!

Ну, обратимся къ тебѣ.

Спасибо, братъ, за письма—за удовольствіе. Последнее изъ нихъ читали мы съ Захаріемъ Орбелиановымъ. Это было критика, или лучше, посланіе къ сочинителю „ასტრა“. Прекрасно! Только, кажется, онъ не достигнетъ цѣли, то есть, ты не узнаешь, кто это невѣдомое ასტრა. Это тайна сочинителя. Онъ писал ни для тебя, ни для свѣта; писалъ для *нея* одной; *она* его понимаетъ и онъ этимъ доволенъ. Чтожъ ему больше? Нужды нѣтъ, понялъ ли ты его, или нѣтъ? Мы всѣ знаемъ только, что предметъ украшаетъ стихи. А если хочешь знать одно только значеніе слова „ასტრა“, то это очень просто: оно взято съ французскаго *astre*, которое по нашему, ძმომ თავყახა, значить: შთიეზი.—ასე, ჩემო ბატონო!

Скажу тебѣ новость, თუ არ გაჯავრდები. Я ѣду се-

годня вечеромъ въ д. Мцкнети.—Зачѣмъ?—А зачѣмъ, что *она* тамъ. Мать *ея* просила меня провестъ съ ними нѣсколько дней. Каковы должны быть эти дни? Ахъ? მაშ მოჰკვდი, ბზ!

Однакожъ кончимъ бесѣду, а то прозѣваю на почту. Ты знаешь, я не люблю заготовлять заранѣе письма.

Прощай, пустынный Алазанской долины! Повѣдай мнѣ что нибудь о *днѣв* твоей долины.

Весь твой Н. Баратовъ.

P. S. Не успѣлъ написать особо къ Варламову. Если увидишься съ нимъ, скажи ему, что дѣло его обработано, какъ онъ хотѣлъ, и представленъ къ чину. Пусть теперь примирится съ свѣтомъ.

III ¹⁾

საყვარელო ძმაო გრიგოლ, დამნაშავე ვარ შენთან დიდი; მაგრამ შენ რომ ჩემს ადგილს იყო, აღარ გამამტყუნებ, — დიმიტრიევსკის ლექსები გეთხოვნა. — მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ექსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა. — შეეიტყუეთ, რომ თურმე ტრანციულს სწავლობ. ერთმა ქალმა შემოგითვალა: „სპარსულად ნათქვამიაო: ოც და ათ წელიწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის, საიქიოს დაუკრავსო“. რაზლოვორსა და ღრამატიკას დამპირდა ერთი ჩემი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია; ამას უცდი, თვარემ აქამდისინ გამოგიგზავნიდი — თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი კორიანობაა და კირიანობა; ორივე ერთია; მაგრამ კირი ტყუილია ამ ხელად და კორი კი მართალი, — დიდი დაძვერებავებია ქალებსა; დი-

დი აყალ-მაყალი; დიდი ტირილი; დიდი ლამის თევაები; დიდი წვეულებები ერთმანერთის ჯავრით. დაწვლილებით მოგწერდი ყოველს ფერს, მაგრამ კვლავ იყოს, როცა მოცლით ვიქნები. ამ ამბავს დიდი აწერა უნდა. ამ წიგნსაც საჩქაროთა ვწერ პალატაში.— ჩვენც ახალს სახლებში გადავედი, ანჩახატის უბანში; უწინ რომ აბხაზი იდგა.— ჩვენმა ლატერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიპიანმა გადმოთარგმნა *Ромео и Джулиетта*, შექსპირის ტრადედია, და მე ვთარგმნე *Юлій Тарентский*, ტრადედია ლეიზევიცისა; თუ წაგიკითხავს, ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმაც, ასე გაშინჯე, იტირეს.—

მაიკო ძალიან გწყევლის, არ ვიცი რა მოგიწერია.— ბალაშოვის სიკვდილს აქ ასე გლჳოფობენ, რომ ეს არის შავები არ აცვიათ, თორემ სხვა აღარა აკლიათ რა.—

სხვა? სხვა ამ ხელად ეს იყოს.— ნუ კი შემომწყურები.—

შენი მარად და მარად და მარადის იქითაც

ნიკოლაი.

წელსა 1841-სა.

მაისის 28-სა დღესა.

ქ. ტფილისი.

IV

საყვარელო ძმაო გრიგოლ, შენი წიგნი მომიტანა დიმიტრი ჯორჯაძემ. დიდად მაამა ამ წიგნმა, მეტადრე ქართველების ქებაჲ.— მაინთ თქვენ და იქით ანდრონიკოვი! ზილიციამ, როგორც იტყვიან, ასახელა თავისი სახელი და ზღაპრული გმირობის ხმა დაიგდო მრთელს მხედრობაში; თვარემ შენ თვითონ შეიტყობ დაწვლილებით.— მითამ როდის და რაში არა ვყოფილვართ კარგნი, მაგრამ ჩამიქუნამ!

მჯერა სარდლობა არლუთინსკისა, საგინოვისა და გურამოვისა, რადგანც შენ აქებ. მაგრამ მინდა ერთი ჩაგიხველოთ; შენი დიბლომატობა ხომ აღრევე ვიცოდნი: ხუმრობა არ არის, რომ ქართველმა კაცმა გურულებს შეაგონოს ყოველივე უბედურება, რომელიც შეუდგების აღშფოთებას; შაბაშ მკლავთა და განკარგულებათა თქვენთა!

ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მგთენი არაფერია. ცოტას ხანს დაჰყვეს აქ აღლერბერლის შვილებმა და, რალა განგიმარტო, შენ მიხვდები, რაც აღლერბერლის შვილები აქ იქნეოდნენ — პოლკის კამანდერი გამოგიცვალეს, მაგრამ ეს განკარგულება მოხდა უწინარეს, ვიდრე გამოიძიებდნენ ჩილავის სიძარტლეს, რომელიც ვგონებ არ დადუმდეს. — ყაფლანს ვაუი ჰყავს. დიდს ნათლობას აპირებს ხანურად, თუმცა ხანებმა ნათლობა არ იციან. — ჩვენს დიდს პლატონს ძილში კატა დასწოლოდა ბაკენბარდზედ და ასე გაეთელა, რომ ველარას გზით ვერ გაუსწორებია. ეს ერთი ბაკენბარდი ასე გათელილი დარჩა; ვურჩევთ, რომ მოიპარსოს, მაგრამ არ გვიჯერებს. ეს აკლდა ამის ფილოსოფოსურს სახეს! სხვა, ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონებისა და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია. —

ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყულროებაში და ბარტოობაში, შეეწევიან მამეულს ენას, რადენიცა ძალუძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით!

ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი, შენი ჰაზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა.

(აქ მოყვანილია ლექსი: ვუფვე ტაძარი)

გიორგი მომიკითხე, ვასილ და სხვანი ჩვენნი ნაცნობ-

ნი.—მამა ეგნატიმ შემოგიტვალა: „ქრისტემ გა-კურ-თხოს“. ჩვენთანებმა ყველამ მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა.

შენი ნ. ბარათაშვილი.

წელსა 1841

ოქტონბრის 18-სა

ქ. ტფილისით.



საყავრელო ძმაო გრიგოლ! ილია მართლა ტყვედ არის შამილთან? — ეს ამბავი აღრევე მინდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ან ეს ხმა ტყუილი იქნებოდა, ან ყაზიყუმბიხელები შეინახავდნენ დამშვიდებამდე — По официальному донесению Фезе известно только то, что адъютантъ его, князь Орбелиани, 20-го марта былъ посланъ въ Андалалъ съ порученіемъ и что его взяли тамъ въ плѣнъ.—ხოლო ლეკმა, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაქერაში, აი რა ილაპარაკა.—ილიკო რომ დაუქერიათ, სინაქსაროვი და ყაზიყუმბიხის ჩანი დაქერილები ყოფილან. მეორეს დღეს შემოსულა ანდალალში თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. ილიკოს თანა ჰყოლია ოცი, სულ დაწკეპილი ყმაწვილი ბიჭები, ავარელები, ახმეტ-ხანისაგან გამოტანებულები; შამილს ოცისავესთვის ილიას თვალთ წინ თავებო დაუყრევინებია; ახტელელები კა, რომელნიც სინაქსაროვს მოჰყოლიან, დაუშიშვლებია და ისე გამოუყრია. შამილ ახმეტ-ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა, და ასე უწყალოდ იმიტომ მოქცევია ავარელებს. აი ილიკოს რა უთქვამს შამილისათვის; „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა მაგით შეაშინო ვინმე,

ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ქეშმარიტად ახლა მეც სიკვდილი მიჩვენია შენს ხელში ყოფნას!—“ ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარის შვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი აფიცერი უნდა იყოს და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის, რლიასა და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნურა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მამცემსო.—ახლა ილიკო დარღოშია, სადაც შამილის ცოლშვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გაშინჯე, გალავინის ცოლმაც კი თქვა, რომ მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისტანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს სიკვდილი მიჩვენია შენს ხელშიყოფნასაო. მახლას! ილიკო ყოჩაღად ყოფილა. Онъ теперь предметомъ разныхъ анекдотовъ.—ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის რომ იქნება ჩვენც დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა. 1)

Вотъ что поэтъ думаетъ за Илико:

„მირბის, მიჰაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი!“

(მოყვანილია მთელი ლექსი)

არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკურველია იმიტომ, რომ აქას ამბობს ილია ტყვეობაში, და არა მე.—ილიას დაქერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შეეწუხდი ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიციოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დაწვერე და თითქოს ამან რაღაც შევება მომცაო. ვცდილობ, რომ ილიკოს როგორმე

მივაწოდო; ვიცი, გულში ჩაიციენებს და არ იქნება, რომ არა ენუგეშოს რა.

ზაქარია ახტას არის, სინაქსაროვის აღგილს; იასეც იქ არის ელისოს მილიციით და იმედებს იწერებიან ილიას გამოყვანისას. მაგრამ მე ჯერ ასე ჩქარა ვერა მგონია, მეტადრე ახლა, როდესაც შამილ ჯერ არსად ომობს და ილიაც თავის სახლში ჰყავს. ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა, და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას უშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოსხსნისათვის.—

ძლივს საქართველოს მოუვიდა რუსი, რომელსაც ეყურება აქაურობისა. იმედია, რომ პოზინი კეთილად წარმართავს ჩვენ გარემოებას. მინისტრს შეიღს მაისს მოველით ერევანზედ. სხვებრ ჩვენიანები ყველანი კარგად არიან; მხოლოდ ფეფოს მწუხარება გვაწუხებს ყველას. ხომ იცი, ტყვეობა და სიკვდილი ჩვენს დედაკაცებს ერთი ჰგონიათ, მეტადრე ლეკის ტყვეობა.—

მარად შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი.

მაისის 2-სა დღესა
1842 წელსა.—

ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის წავსი სდევს; ჯერ კიდევ არ უქნია მაგისკენ პირი ბედსა. ოცენკა დააბრუნეს для исправленія нѣкоторыхъ недостатковъ противъ формы. ვიცი როგორც გაჯავრდები! მაგრამ მაგ გაჯავრებულს გულზე გთხოვ მიიღო მოკითხვა შენი მტერ-მოყვარე ქალებისაგან.—

VI¹⁾

წელსა 1842-სა
ოქტომბრის 81-სა
ქ. ტფილისით.

საყვარელო დაო მაიკო, მადლობელი ვარ, რომ რახა-

ელს წიგნი დასტყუე, გუშინ იასემ მამიტანა. ამიტომ უფრო მიამა, რომ წინა დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორეს დღეს უნდა მიშეტანა მანანასათვის. ასე ეგონა, რომ მე მაქვს. მაშ რადგანაც ეს პირობა აღასრულე, იმედი მაქვს ახლა, რომ მეორეც არ დაგავიწყდება.—

გალავინის ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში განტარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინსწინ იყო ვეჩერი შინაური, მაგრამ ძალიან მზიარული. ტასოს დღეობა იყო და ელენეს სახლში გარდაიხადეს. მე სწორე გითხრა, მეტად გავმზიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი.—ბევრჯერ მოგვგონე, დიდად მინდოდი, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ....

მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის. ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდი ხანია ობოლი ვარ.—არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიღრიკო თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლასარაკობ. ჭკმშიარტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ გან-

სჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული.—მოიგონე ცოტას ხანს დრონი წარსრულნი და მაშინ შემიბრალე. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

შენი ავადმყოფობა შევიტყე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადრიელი იყოს ამ წუთის სოფლისა.—დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა, აი ქეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! თუმცა აქიმაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი და თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს.

გემდურები, რომ წიგნს არა მწერ, ხომ იცი მიაგება, თუ მეტადრე ბევრ ამბებსაც მომწერ.—თუ ნინუცას, ანუ, (რადგანაც ჯაგრობენ ზოგიერთი ქალები) ანნა ივანოვნას წიგნი მისწერო, ან შენ თითონ ნახო, ჩემ მაგიერ მოიკითხე და უთხარ, დიდად ვწუხვარ, რომ აღარ გაციებს თქო. ილიას მალე ვნახავთ.

შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლაიოზ პარათიშვილი.

შენს გაზღას, მიაკო, თუ გლუხბარიჩი ნახო, ჩემ მაგიერ

მოკითხე და უთხარ რა ღმერთი გაგიწყა, რომ აგრე ფეხი აიკვეთე ქალაქისაკენა თქო, როგორ აღარა აგონდებდა რა სასიამოვნო შენს პოეტურს სულოსა თქო.

VII

საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!

ქეშმარიტად არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა, თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა, ჩემთან რომ ფარატინი გაოგვევზავნა, ისიც დაპარების მეტი არა იყო რა. მე ბინიანად მინდა შენთან ლაპარაკი, და ხომ იცი, რომ საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკურველია, რომ ქართველს კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავის თავს ვებრდებო, ჰჰოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად, და როდესაც თვითონ დაეკეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებელობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე კლდეს გამიყვანოს, და დაუდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვნონო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგებდნა ჩემთვის. ვიცი დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დავეიწყებია. ეს იმ სწეულების ბრა-

ლია, რომლსაგამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება.... მე ახლავ მიტყობს გული, რომ ამ ჩემს მხურვალეს განსჯას გამიტრიზავენ: ემირობა მასხარად აივდე, და მომავალის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვეერ შენ იცი.—ახლა ქალაქის ამბავს მოგწერ.

გუმინ შაჰის გლჩი შემოვიდა, თუ გახსოვს, მირზა-სელი, ევროპიის ენებზედ მოლაპარაკე, განვითარებული კაცი.— მაზეგ, რომ სამშაფათია, დიდს ბალს უკეთებს მთავარმმართველი. მაგრამ ვინც შენ გეკულება, არც ერთი ჩვენი ქართველი ქალი აქ არ არის და გაიხარე, რომ ბალში არ იქნებიან.—Но и тутъ онъ выигриваютъ; будь вмѣсто Мирза-Сали графъ Чичероне, онъ тотчасъ бы пріѣхали на балъ.—ბალის ამბავს შეგატყობინებ.—

ჩვენი ლევან ქუთაისში გააგდეს პორუჩენით.—მე და შენში დარჩეს, (რსე კი არა, ბაკლანას რომ ხომალდი დაეღუპა). გრიგოლ წერეთელი ინაზებოდა, არ უნდოდა მილიციის მრღება, და მთავარმმართველმა ლევან გაუგზავნა, ასი ოქრო გზის ხარჯად, და დაიბარა. იმასაც ეს უნდოდა. რასაკურველია რომ უარი აღარა სთქვა. დახე, ქვეყნის ოხრობას! შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გავხსენ და წავიკითხე, ბევრი ვიცინე.—

ილია კარგად არის, პარუჩიკობა გაიკრა, ას თუმნამდე თავისი ჯამაგირი გამოუვიდა და წარდგენილია არმიაში. ამისი საქმე თავში ბოსტანია, გულში სიყვარული, დაიჯერე, ხუმრობა არ გეგონოს.

არ ვიცი ბუმაენიკი და ქუდი მოგივიდა თუ არა. ეს კი ვიცი, რომ გიმზადებდენ.

კნიაზი ჭავჭავაძე თავისის კნენინათი მარტყობს იყენენ ჯვარობას. ამათ დასტაში იყენენ სავარსამიძის ცოლი, სივრიჩის ცოლი და ბეზაკის ცოლი, ეს კი მუხრავანიდგან გადმოვიდა, ამ ზაფხულს იქ იდგა, უქრმოლ. არ გინდა, რომ ერთს საათს მაგ მთებში გამომძვრალიყავ და მუხრავანში, იმი ფოთა-

ხში, შუალამისას დაბადებულიყავ? იქიდგან კალასკაში კნი-
აზი და სივრიჩის ცოლი ერთად ისხდნენ წინ და კნენა და
სავარსამიძის ცოლი ერთად უკან. Довольно подробно!

მამა ეგნატიმ თავი დაგიკრა იმიერ სოფლითგან.—ერთი
თთვეა რაც გარდაიცვალა.—საწყალო! Вот человекъ, ко-
торый, по своему положенію въ свѣтъ, болѣе всѣхъ
страдалъ. Минувшее проходило передъ нимъ и вол-
новалось какъ море-окенъ.

სხვა რალა მოგწერო, მეც სამსახურში მივეშურები, и
вообще здѣсь

И грустно, и скучно, и нѣкому руку подать въ
минуту душевной невзгоды.

ჩემი ახალი ლექსი ეს არის:

(აქ მოყვანილია ლექსი: სულა ბოროტო)

ამით გავათაოთ ეს წიგნი, დრო აღარა მაქვს, და შემ-
დეგ ბევრს მოვიწერები. ერთს ცუდა დროს ჩავიგდებ, და
რაც ვიცი, არ ვიცი, სულ გავაქრელებ. ახლა ფაცაფუციით
არა მაგონდება რა. ახლა ვნახოთ, რასაც შენ მოიწერები.—

სირცხვილა რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაი-
ღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავა-
რიის ისტორია და სტატისტიკა მაინც უბძანე რომ დაწე-
რონ.

შენი მარადის ნ. ბარათაშვილი.

21 Августа 1843 г.

Тифлисъ.

(პირველის გვერდის არშიაზე აწერია:)

მამამ, ფეფომ, კატომ, ბაბალემ, ნინუცამ და აპლიპუ-
ტილამ მოგიკითხეს.—

არ გებრალემა, რომ მაია ქვეშაგებად ჩავარდა! — გიორგი ზაქათალას გაგზავნეს ბატალიონის კამანდერზედ გამოსაძიებლად და ბატალიონსაც პირველს ამას აძლევენ. —

VIII ¹⁾

Любезный братъ Захарій! Отчего мы не переписываемся? Признаюсь, вопросъ этотъ заставилъ задуматься. Что я тебя люблю—это аксіома; что я не лѣнь писать—это доказываютъ занятія мои по службѣ. Какая же причина? А вотъ наконецъ напаль; безпечность, вражденная слабость вообще грузинъ. სხვა, ძმაო, მიზეზი ზე არ ვიცი და შენ განმიმარტე. ესეც კი არის, რომ რა მოგწერო?

Письмо твое, исполненное грусти и томленія отъ бурнаго потока жизни, глубоко отозвалось въ душѣ моей, хотя причины у насъ къ тому разныя. Я былъ боленъ сильно, чуть не переселился въ Елисейскія поля. Не зная до того времени ни какой болѣзни, я почувствовалъ странное вліяніе ея, быть можетъ, на всю мою жизнь. Непостижимость цѣли нашего назначенія, безграничность желаній человѣческихъ и суета всего подлуннаго наполнили душу ужасною пустотою. Дай мнѣ маленькое, независимое состояніе, я бы сейчасъ оставилъ и свѣтъ и людей съ ихъ ненасытностью, и мирно и покойно провелъ бы патріархальную жизнь въ лонѣ простой природы, столь величественной и прекрасной въ нашемъ отечествѣ. При этихъ грустныхъ думахъ застало твое письмо меня, только что выздоравливающагося. Вотъ почему я сочувствовалъ къ тебѣ. —

Духъ человѣческой, достигнувъ полнаго своего развитія, совершивъ дѣла ему свѣше опредѣленныя, склоняется наконецъ, утомленный къ покою въ тихой семейной жизни. Я бы отнесъ причину твоей скуки къ этой гипотезѣ, если бы зналъ, что поприще твое совершилось. Но для тебя не наступало еще этого періода жизни.—Управление Самурскимъ округомъ сдѣлалось для тебя уже вещью обыкновенною, однажды заведеннымъ механизмомъ. Душа твоя ищетъ пищи новой, духъ твой стремится къ большей дѣятельности, сценамъ болѣе сильнымъ, болѣе патетическимъ. И пока онъ достигнетъ своего назначенія, ему скучно, грустно! Согласись, Захарій, что еще одинъ случай, подобный Ригинскому, и ты снова въ волненіи пріятномъ, снова забудешь мирный покой селянина. Углубись въ себя и, тогда,—увѣрившись, что громъ славы и звукъ оружія не имѣютъ уже для твоего слуха магическаго значенія,—оставь службу, займись имѣніемъ. И это другая слава—сдѣлать счастливыми своихъ крестьянъ, оставленныхъ до сихъ поръ безъ господина—попечителя.—Иначе, Захарій, помни, что и въ жизни счастливаго земледѣльца, нѣтъ для тебя покою. Затрубятъ въ военную трубу и снова ты не земледѣлецъ.—Можетъ быть я ошибаюсь въ причинѣ твоей грусти, но я все таки ожидаю отъ тебя дѣяній громкихъ!—

კატო დაენიშნეთ წარსულს კვირას რევამ ერისთავზედ, და ქორწილსაც სამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანჩალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება, და ამისთვის, ჩემი ჰაზრი ეს არის რომ, რაც უნდა ვიფრანტუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდე-

ბულება რაც უნდა წახდეს, ახალთან კიდევ მოვა!—დავით ერისთავმა სამაქანკლოში ქორი გთხოვა და იმედი მაქვს რომ ახალს მოყვრობას პატივსა სცემ.—Прошу передать это извѣстіе Георгію. Я хотѣлъ писать къ нему, но побоялся, что можетъ быть письмо не дойдетъ до него по теперешнему движенію войска. А это очень непріятно.—

Жаль, что я не знаю статистики Самурскаго округа; а то бы я попросилъ тебя какой нибудь знакъ памяти. Предоставляю твоему выбору.—

სხვა ამ ხელად არა ვიცირა და საქმეებიც ბევრი მაქვს, სასამართლოში ვწერ ამ წიგნსა.

შენი მარად და მარად ნ. პარათაშვილი.

წელსა 1844-სა
აპრილის 15-სა
ქ. ტფილისით.

(ამ წერილის პირველის გვერდის არშიაზე სწერია)

Я получилъ и отъ Григорія письмо вслѣдъ за твоимъ. რას მოიწერებოდა? Дай ему престоль Августа, онъ бы всю римскую имперію обратилъ въ комическую шутку.—ხუმრობა და ხუმრობა! უთუოდ ჯერ თავისი პოდ-პოლკოვნიკობა არ იცის.

IX

Любезный братъ Захарій! Съ восторгомъ поздравляю тебя съ побѣдою, совершеніемъ дѣла блистательнаго. Меня радуешь въ особенности то, что мои ожиданія начинаютъ уже оправдываться. Я часто сказывалъ тебѣ, что я вижу на челѣ твоемъ печать величія и славы.

Благодарю за ружье. Оно стоитъ называться подаркомъ Начальника Самурскаго округа. Но для меня оно значить болѣе, какъ подарокъ отъ уважаемаго и любимаго брата.—

Письма твоего, отправленнаго по почтѣ я еще не получалъ. Ожидаю съ нетерпѣніемъ.—ჩვენი ყმაწვილუ-
ლები, ილია, ლევან, დავით, ბაკლანა (მითომ ესეც ყმაწვი-
ლებშია), ზაქარია და ალექსანდრე ერისთავი, სულ წამოვი-
დნენ შამილის დასაქერად; ესენი სულ სარდლები არიან ქარ-
თველთ ჯარისა. ყაფლან ხომ ასე ამბობს, რომ ესენი სულ
ჩამამავლობ-თ გიყები არიანო.

ეს შენი ლეკი სადილად დავბატიყე კარგად; და ერთი
ოქროც ვაჩუყე დუშალიკში.—

კატოს ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება.—არღუ-
თინსკის დენერალ-ადუტანტობას ამბობენ; თუმცა გამოცხადე-
ბით არ არის, მაგრამ წიგნი მოსულა პეტერბურლიდგან,—სა-
კურველიც არ არის. ვინც რამ უნდა ილაპარაკოს და აცა
თუ ეგ მართლა მონტეკუკული არ გახდეს ამ ცოტას ხანში.—

გიორგი თუ მანდ იყოს, კარგის სიყვარულით მომი-
კოთხე.

სხვებრ ღმერთსა ვთხოვ შენს მარად და მარად მშვიდო-
ბას და გამარჯვებას ყოველს საქმეში.

შენი ერთგული ნ. ბარათაშვილი.

წელსა 1844-სა

მაისის 10-სა

ქ. ტფილისით.

მამამ, ფეფომ პირს გაკოცეს.—კატომ მოგიკოთხა. ისევ
შენ თორემ, სხვანი ჩურუმები არიანო.

დავით ერისთავმა, სიძის ძმამ, სამაქანკლოში ქორი გო-

ხოვა. ზაქარიავ, ხომ იცი, ამათ მაგისტანები დიდად ვიჩინათ.—

შენი გამარჯვება ქეთევანს აქ გადავახდევინეთ. ხომ არ დაიჯერებ და შამპანსკებს თვლა აღარა ჰქონდა.—ამისთანა წუწკმა ხანდისხან ასეც იცის.

X ¹⁾

საყვარელო ძმაო გრიგოლ! სიზარმაცეში ანუ უნდომობაში ნუ ჩამომართმევ ამდენს ხანს წიგნის მოუწერლობას.— დრო არა მქონდა. შენ გაიცანებ, რასაკვირველია, იტყვი შენ, კიანჭველავ, რა საქმე გაქვსო. კიდევ ამისთვის არა მცალიან, რომ კიანჭველა ვარ; ყოველთვის ჩემზედ შეტი და დიდი უნდა ავიკიდო.—ესეც კი არის მიზეზი, რომ რა მოგწერო? დედაკაცები ისევ ისინი, ჩვენი ყმაწვილები და ხახვების ფრანტები სულ შამილის დასაქერად წამოვიდენ. ქალაქი მე დამრჩა. მოუსვი ბიჭო! ამისთანა ფართე ოკეანე არც ერთს ხოპალდს არ შეხვედრია.

ვიცი გეწყინება, ქ. ყ—ის ცოლი ჭკუაზე შესცდა, საწყალი! ტარილი მოგივიდოდა ამის ნახეაზედ. მგონია დიდხანს ვერ იცოცხლოს.

ვიცი გიამება, კ. დავნიშნეთ რ. ე—ზედ. რუსულად არის ნათქვამი (იქნება ქართულადაც იყოს და მე კი არ ვიცი) сужженного конемъ не обхъдишь. ქორწილი საპეტრეპავლობოდ გვექნება. იქნება არც კი იცოდე, როდის არის ეს დღე.—ექვს კვირას უკან, то-есть: 29 июня.

ზ—ას და გ—ის კარგი საქორწილო გამოეგზავნათ. ზ—ია იწერება, რომ გ—ლმა სულ ბლუჯეულად იცისო.—კ—მ. შემოგითვისა, ახლა შენ იციო, ვევეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია, თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო.—მე კი ეს ვიცი, რომ ე—ანთ რძალთან არა დაგვეკარგება—რა, კარგს ქიზგას გვაჩუ-

ქებენ.—მაინც საჭიროა. ორმოც წალიწადს იქით ცოლი აღარ ვარგა.

ეს წიგნები სულთანს გამოეგზავნა შენთან. რასაკვარვე-ლია რაცხვებდ შეატყობ, რომ დიდი ხნისაა. ამაში კი ჩემი უზრუნველობაა მიზეზი, მაგრამ უფრო გულმეფიწყობა; ვერა დროს ვერ დავეჩვიე, რომ სპშაბათობით მოდიოდა შენთან ფოჩტა.

ეს ბატონი ქართველთ სარდლები რომ წამოძძანდენ, ყაფლან მაგათხედ იცინის; ასე ამბობს სულ ჩამოქველობით ქირვეულნი არიანო.

ახალი ამბავი ანუ ქორი ხომ გაყვარს: ამ ხელად ეს არის, რომ ნ. ალ—ნა ოდესაში მიღის 9 ივნისს. შენ მანდ გაჯაკრდი.

სხვებრ ვეცდებო, რომ საკვლად კარგი გატენილა წიგნი გამოგიგზავნო.

შენი მარად ნ. ბარათაშვილი.

წელსა 1844.

მაისის 23-სა.

ქ. ტფილისი.

ფეფომ და მაშომ მოგიკითხეს; ამათ შენი ხანობა არად ეკატნავენათ; გამდიდრდი თუ არაო? ესენი ამას მკობავენ. — შენ ნავივრად მე ვეტყვი, ვაჟ შენს მტერსა-მეთქი.

XI 1)

უსაყვარელესო ქმაო ზაქარიავ! მომილოცავს პოლკოვნი-კობა! შენი წიგნი რომ მომივიდა, იმის მეორეს დღეს ინვა-ლიდებში ეწერა.—მე ახლა ჩქარად ღენარლობის იმედიცა მაქვს.—მაგრამ ამისთვის უთუოდ უნდა დაღესტანში იმსახუ-რო²); თუნდ მაგ ადგილშიაც არა; და მერმე იცი რა ვიფი-

ქრე შენთვის? კასპიის ოზღასტის ნაჩაღნიკობა. ვინ იცის! მე კი კარგადა მაქვს დაცდრილი წინასწარ თქმა.— Это будетъ гораздо существеннѣе.—

კატოს ერთი თთვეც არის ჯვარი დაეწერეთ.— კარგი ქორწილი გარდვიხადეთ. მეორეს დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილათ ქაიხოსრო მუხრან-სკისას ვიყავით. კარგათ დაგვიხვდა.— იქიდგან ახალგორს წავიდით.— ოძისს რომ მრეაქლოვდით, სადაც ბიძინა ერისთავი დგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება; ჩვენთან იყვნენ მანანა თავის ქალით, მაიკო, ყაჯღან, მიხაკო, ალექსანდრე სუმბათოვი— მეჯჯარე.— რომ დამინდდა, შევედით ახალგორს.— სასახლე ქრაქებით იყო გაჩახახებული, მეიდანნი მაშხალებით; ამ დროს ახალი არქიერი, წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა აქ იყო და მგალობლები იმისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება გაღაფნის კარებში; დაჰკრეს ზურნას, სათარას სიმღერა (თანა გეყვანდა), თოფის სროლა და ხალხის ქდევა და ყვირილი სეუტოვო სენახავს წარმოადგენდა; ამასთან მთვარიანი ღამე და მშვენიერი მდებარეობა.— სასახლეში რომ შევედით და ყაჯღანა? ქუდი მოიხადა და შეხვდა ზალას, ერთი გულით წამოიძახა: ფუ, е—м—, это дворецъ! ბევრი გვიცინია.—

რასაკურფელია მეორეს დღეს, პატარძლის ჩვეულები-სამებრ, კატო ქვეშაგებში იწვა.— მესამე დღეს ადგა. მზითვეი გაშინჯეს, მაგრამ, ზაქარიავ, მრთელს ქართლში გაითქვა; თვარემ მანანა გეტყვის, როცა ნახავ.— მეოთხე დღეს ნიშნები მოართვეს დედამთილმა, მაზღლებმა, მულეებმა და რძალმა, კარგი ნიშნებიც იყო.— არქიერი ეზოში იდგა კარავში ქანდრებს ქვეშ.— იმ დღეს ამობძანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოქედილი ღვთის მშობლის ხატი აჩუქა.— ხუთი დღე და ღამე სულ შექცევაში ვიყავით.— მამუკაც აქ იყო და ძალიან გამხიარულდა.— მერმე მე და მამუკა გორს

გადავედით, იქ დაგვხვდნენ ელენე, მანანა, რომელიც ორის დღის წინათ ჩვენზედ წავიდა, მელანია და ბევრი სხვანი; ნათლობა ჰქონდათ ელიზბარის სახლებში ესტატე ერისთავის შვილისა.—იქიდგან ატენში გადავედით. კნიაზი ძალიან კარგად დაგვიხვდა; სულ შუშურება გვასვა.—ერთის ლექსათ კარგად გავატარეთ დროება, მრთელი ორი კვირა.

მე და მამა აღევობას. რომ ამ თთვის თხუთმეტს იყო, ვეწვივნით კატოს. მანანა და ელენეც გარდმოვიდნენ სალოცავად. საუცხოო ჯვარობა იყო. ახალგორიდგან თორმეტი ვერსტია, მაღალს მთაზედ.—ქალბუა ცხენებით, საწვიმრებთ, ქოლგებით, დიდის ამალით, ოსურის სიმღერით ავედით სალოცავად. ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი.—ძალიან მხიარულობა იყო. ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტა დაგვიშალა მხიარულება.—ზაქარიავ, სწორეს გულათ გიტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში, სანატრელს ოჯახშია.—ძმებან უმაგალითოა³⁾ თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა.—ამასთან რევაზ ზედ აკვდება, ლევანისა ხომ სულია კატო და დავათ ხომ იმის ნებავრობაშია.—მე ეს მამა, რომ მტერი ვერ გაიხარებს.—თუ ღმერთი გვადირსებს ერთად შეყრას, შენ, გრიგოლ, ილა, გიორგი, მაჟუკა, უნდა ვეწვივნეთ ამ შემოდგომაზედ, რომ ლაზათი გავწიოთ. მართალია სანადირო არ არის, ყოვლის გვარისა.—

ბევრი ვიცინეთ გრაგოლის წაგზზედ; მანანას წაუკითხე.—ილიას წიგნი მოვიდა. ჩერვლონში არიან სულე ყველანი და ამ თთვის გასკლამდინ მგონია მოვიდნენ.—მთავარმმართველსაც ამ სამ დღეზედ მოვლიან! ლუარსაბას ცოლი ანნა ძალიან ავად არის, საწყალია! სხვა ამისეი აქ ახალი და საშენო არა არის რა.—

მშვიდობით, ღმერთსა ვთხოვ შენს კვალად და კვალად ბედნიერებას.—

შენი მარადის ერთგული თ. ნ. ბარათაშვილი.

P. S. ზაქარიავ! ამ უენ გამოგზავნილს თოფსა თავის შესაფერი ერთი წყვილი დაწბაჩა უნდა, თვარემ ობოლსა- ვით დარჩენილია და ამისთვის კაბინეტში ვერ გამიმართავს.—

დამატიწყდა.—ივან კარლიჩი გარდაიცვალა.—სალომე კარგი ქვრივი დარჩა.—სულ ყოველი თავის საცხოვრებელი ამას უინდერდა ЗАКОННЫМЪ АКТОМЪ.—თუ გიორგი ნახო, ჩემ მაგერად დიდი მოკითხვა.—

(ამ წერილის მესამე გვერდის არშიაზე სწერია:)

იაკიტემ, ამ წიგნის წერაში, ასე მითხრა ჩემ მაგიერ მოკითხვა მისწერეო და ასე შეუთვალე რომ ცალკე წიგნი-სათვის არა მცალიან, ბევრი საქმეება მაქვსო. აქ არის სასა-ზართლოში სოვეტნიკის თანამდებობაში დროებით დანიშ-ნული.

XII

9-ს თებერვალს 1845.

ქ. ნახეჩევანით.

საყვარელო დაო მაიკო! უენი წიგნი მამივიდა; დიდად მადლობელი ვარ; ვიცი, რომ გიყვარვარ, მაგრამ, უენმა გაზ-დამ, არც უენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს).—ნეტა, ვის ნათესავეებს ემდური? თითქოს არავის იცნობდე; განა ქართველებში არის მგვობრული და ნათესავებრი გრძნობა?— არა, რომ მებატიეები მანდ, რას მებატიეები; ახლა ყველანი კარგად გიცანით; აი სამი თთვეა აქა ვარ და ძალად არავინ მახსენა; ეჰ! მაგის დარდსაც გაუძლებ! აღარც მე მცალიან ვისთვისმე; ახლა მე ჩემი თავი ხელმწიფობას და საზოგადო-ობას შევსძლვენ; სულ ხომ ყმაწვილობა არ იქნება, დრო არის რიგიანის სამსახურისა; თქვენც გეყოფათ ბუზების ხო-ცვა.—დიახ, ნურავის მოვაგონდები! იმისი არ იყოს¹⁾, რომ-

გორც ერას ქალს უბრძანებია, რომ აქ მოგვეწყინდნენ და გავყარეთო! ეგეც ვერე იყოს, მაგრამ მე ეს ვიცი, რომ ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუგეში და სიამოვნება გვიძევეს! ვაი იმის ბრალი, ვინც ოც და რვა წლისა და აღარც არას ამ სოფლის კმაყოფილებას მოეღის!...

კრიანოსნები გეთხოვნათ; მე დადი ხანია თავრიზიდან ხუთი კრიანოსანი დავიბარე; აქამდისინ კიდევ უნდა იყოს მოსული კარანტინში (ოც და ათი ვერსია აქედან); მაგრამ ჯერ კი არ გამოგიგზავნით, სანამ ტასოს ნება არ გექნებათ, ამიტომ რომ მაგისტანა კრიანოსანი ერთი უნდა იყოს და რაკი-გამრავლდება, ლაზათი წაერთმევა, ხომ გაგიგონიათ:

რაკი ტურთა გაიფლეს, აღარა ღირს აღარც ჩირად!

და რადგანაც პირველად ტასოს გამოუგზავნე, ამისთვის, რომ არ ეწყინოს, მაგის თანხმობით უნდა იქონიოთ მაგი თანა კრიანოსანი.—თუმცა გაჯავრდებით ამბუედ, მაგრამ მაინც მე კიდევ ასე მოგახსენებთ.—

ილაჯი წაიღეს მაგ ჯათარას ქებით, ვისიც წიგნი მოგვივიდა, მაგის ქება ეწერა.—ნეტა ყველასათვის აგრე მალე როგორ გაგიქდებით?—მაგის ამბავი ჩვენა გვეკითხოთ: ეგ სულეიმან ხანმა გარდმოიყვანა სპარსეთიდან, ორი დღე და ღამე აქ ჩვენთან იღვნენ, რაც ჰუნარები ჰქონდა სულ აქ დაასრულა.

ეგ რომელი ამბობს რომ სათარასა სჯობსო? ეტყობა კარგი სმენა ჰქონია.—მე გეტყვით: ეგ უფრო ნაკითხია სათარაზედ, მაგრამ სათარასთვის ღმერთს ხმა მიუყვია და თანაც დაუტანებია, რომ მაგისტანა ხმა აღარა ვის ექნებაო! ერთი ორივეს სახე ნახეთ, ერთი კაცია, მეორე გოჯოხეთის მაწ ხალაა.—

~~ახლა~~ ნახეჩვენაში ერთი ახალი ლექსია, თვრამეტის წლის

ქალის ნათქვამი, რომელსაც სახელად გონჯა-ბეგუმ ჰქვია; ხანის ქალია, ძალიან ლამაზი და ბაზილიანია; ბევრში წარმოვიდგენთ ორლოვის ცოლს. საცოდავი დამწუვარია თავის ქმრისაგან და ახლა იმასთან აღარ არის და ცდილობს რომ გაუშოს; საწყალი თორმეტის წლისა ყოფილა, რომ ძალად გაუთხოვებიათ.—ამათი აზრები რომ იცოდეთ ერთი კარგი რამანია.—ამ ლექსში თავის თავს სტირის: ერთს აფგლ.ს ამბობს: ჩემო მშენიერო ბაღჩაო, მინდა მოვიდე ვიმუსაიბო შენს წადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო.—ამ ლექსს დავაწერინებ და თავის თარგმანით გამოვიგზავნით, მგონია სათარამ ეს ხმა უნდა იცოდეს, კარგი ხმა არის! ერთი ხმა არის კიდევ ძალიან სასიამოვნო, ჯაფარამაც იცის და სათარამაც, როცა შეგხვდეთ, ასე უთხარით, რომ ეი, მუსკელმან ნამარა ხანჯალჯანი, იმღეროს.—

ერთი შემატყობინე, რატომ ეგ შენი ქაჩალი ძმა წიგნს არა მწერს? ივანეს კიდევ არ დაჟეღურები, ამიტომ, შენის ძმის წყალობით, რაც ტვინი-ჰქონდა, ისიც ყაბახზე დააბნია! მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით, არც კი უნდა დავემღურო, ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიკი გდია ნახეჩევანში.—ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან!

ტასო მოიკითხე და პაღლობა უთხარ მოვონებისათვის. კატო მომიკითხე, რეტად ბევრს თურმე ლაპარაკობს! ეგ ხომ წიგნს ვერ მომწერს და: ქართული იცოდა, ისიც დავიწყებია, რუსულიც ვერ უსწავლია, და არ ვიცი, რომელს ენაზედ დასწერს?—

მაიკო, ეს რისაგან არის, რაკი შენ მაგ ქალაქში ჩამოხვალ ქართლითგან, მაშინვე კორაობა უნდა გაჩნდეს?

სხვებრ ღმერთსა ვსთხოვ შენს ბედნიერებას.—ნუ დამივიწყებ.—შენი მარადის ერთგული:

თ. ნ. ბარათაშვილი.

(მეორე და პირველის გვერდის არშიებზე მიწერილია პოეტის ხელით):

არა, ის რა ფერი ლაქით დაგებექდა შენი წაგნი; იქნება ახლა მაგ ფერიც მოდა იყოს და მოსწონდეს ვისმე?—

აი ამ ქართულს ლექსს²) გიგზავნი მდაბიურულად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მაპივიდა, — მე ვარ და ჩემი ნახაღი, ამის ხმაზედ. —

(მესამე და მეორე გვერდის არშიებზე მიწერილია ლევან მელიქიშვილის ხელით):

ტატო დღე და ღამე იხვეწება თუ ღმერთი გწამს გააშვებინე ქმარიო. მე როგორც დამჯდარი კაცი არა ვშვრები. — უფალმა ნაჩაღნიკმა მოკითხვა შემოკითვალათ.

XIII 1).

საყვარელო დამ მაიკო! დიდად ვწუხვარ, რომ ვერ გამოიციან ჩვენი მოქმედება. — მე კიდევ შევარიგე ცოლ-ქმარნი და! კრიანოსნები ჯერ არ მამსვლია, და როცა მამივა, უთუოდ გამოგიგზავნი, თქმა ღარ მინდა. — ჩვენი აქ ცხოვრება, სწორე ვითხრა, ტანჯვისა და უსიამოვნობას მეტი არა არის რა! ლევანიც ავად გამიხდა და თავად ბლუ იყო, უფრო დაბლუვდა სიცხისაგან. რასაც ეს ნეიდგარდს სწყევლის, აქ გამოგზავნისათვის, არ ვიცა თუ რა მოუვიდეს. — ეს ერთი კაცი გვყვანდა პოლკოვნიკი ქორსტენი, ეს წამოვიდა და შენი მტერი, რომ ჩვენ მარტო დაგრჩით!

... მაიკო, რაცა გაქვს სააქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოკიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი, შევინახავ საიღუმლოდ და თუ

ჩემი კარგი ამბავია და რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ?

ვისაც ვახსოვდე, მამიკითხე, და ვისაც არა.....?)
რაც მოუვიდეთ, მოუვიდეთ!

შენი მარადის უცვალვებელი ძმა ტატო.

XIV

10-სა აგვისტოს 1845, მუსუტს.

საყვარლო დაო შაგო, მარტოა, შენ თუ თერთონი ვინა არა გაქვს, აბა რა მოგაგონდება ჩემგან ასეთი წყენა, რომ დასანახავად აღარ გინდივარ. ზედ გეტყობა, რომ სტყუი, თვარებ, თუ მართალი იყოს, შორიდგანაც არ გენდომებ. — აი ახლაც მინდა ერთი მართალი სიტყვა ვსთქვა — და შენ კი მაშინვე გაჯავრდები; ჩემი რა ბრალია? აი, ახლა ვსთქვათ, ჩვენს ყმაწვილებს რომ ჯვრები მოუვიდათ, რამ დამევიწყა იმათი სახელი? მაგრამ შენ მოიგონე, რათ მოუვიდათ?... აა, აკი გითხარ, გაჯავრდები მეთქი. არა შენ რა გაჯავრებს? ეგ სწორეთ იმასა ჰგავს, რომ კაცს ღეთის წყალობა უთხრან და გაჯავრდეს; შენ რა? აგრე გაწითლებაც იქნება. მანანას ეგონება სიანჩხლით გაწითლდი, ივანე კი ჩარცინებს. აბა, ნახე, შენვე აძლევ მიზეზს და მე კი მამბრალე. მე რა ვსთქვი? ჯვრები ტყუილად მიიღეს მეთქი იმათ... რამ დამევიწყა?... ოჰ, მამაგონდა, ილიამ, ალექსანდრე ერისთავმა და ლევანმა. ყველას ესარჩელელი შენა ხარ! აბა ჩემზედ თქვას ვინმემ რამ ცუდი, თუ წამომესარჩლო?

კარგი, შეგრიგდეთ! ხელთ-საქმეს თურმე მიკეთებთ, მაგრამ ვაჟ შენს მტერს, რაც თქვენ ვერა შესრულოთ რა! (პატრივის ცემა კი არ გგონოს მრაველობიდან რომ გვუბნენ

ბი).—რადგანაც ორნი მოსაქმენი ბრძანდებით, იმისთვის მოგახსენებთ.—მე კი არა გთხოვთ, და თუ გამომიგზავნით, ის მე ვიცი და ხ...ი... *), და თუ არა და, ის თქვენ იცით და პაპუა ორჯონიკიძემ.

აბა რა გამოგიგზავნო? ბოწეული, ყურძენი, ატამი, ხოხობი, დურეჯი, ჯეირანი, აბრეშუმი, თუ სულ ყველა ერთად? აქაურ ქაბრიკებში და მღაზიებში, ამის მეტი არა არის რა.—


ახალ დანიშნულს, თუ პატარძალს, სოფიოს მოახსენე, თუ შეგხვდეს, ჩემი ზონარი რა უყო, ქმარი არას დაუშლის. მეორე სოფიოსაც უთხარ ჩქარა გამიკეთოს; ვინც მე ზორანს მამიქოვს აგრე ჩქარა გათხოვდება.—

ნიკალაი ალაპიჩი და კატო ქალაქშივე არიან, თუ წავიდნენ?—ა? თთვის გასულს მეც ვაპირებ ცაზახში წასვლა და თამართან შევალ დილიჯანში რამდენიმე დღე.—კარგად არ ვიცი, რომ დასევდიანებული იქნება.

კარგი, დავიღალე ამდენი ლაპარაკით. არა მცალიან.—

შენი მარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნიკოლოზ.

*) დედანში ეს ორი სიტყვა მთლად არის დაწერილი; ჩვენ განბეზ შევამოკლეთ.



შენიშვნები

ნ. ბარათაშვილის ნაწერების ავტოგრაფები დღემდე ცნობილია: 1) თაყაიშვილის ვარიანტი, 2) ვეზირიშვილის ვარიანტი, 3) გუნიას ვარიანტი, 4) გრ. ორბელიანის ვარიანტი და 5) მაიკო ორბელიანის ვარიანტი.

თაყაიშვილის ვარიანტი შესდგება ორის წიგნისაგან. ერთში შიკცეულია წვრალი ლექსები, რომელნიც ამ გამოცემაში დაბეჭდილნი არიან 35—73 გვერდებზე (უკანასკნელი ლექსია: სელო ზორატო). მეორე წიგნი შეიცავს მხოლოდ პოემას—ბედი ქართლისა. ამ ავტოგრაფს ჰქვიან თაყაიშვილის ვარიანტი, რადგან იგი შეძენილია და შეწირულია წერა კთხვის გამაერთელებელის საზოგადოებას წავნთსაცავისთვის ბნის ე. თაყაიშვილის მიერ. პარკელი წიგნი (№ 2516) გადაწერილია პოეტის მიერ 1843 წ., ხოლო მეორე (№ 2517) როდის არის გადაწყვეტილი—არა ჩანს.

ვეზირიშვილის ვარიანტი აგრეთვე შესდგება ორის წიგნისაგან. ერთი შეიცავს იმავე ლექსებს, რომელთაც თაყაიშვილის ვარიანტი და კიდევ ერთს მეტს—შევიშრობ ჩრემსა ჭართ მანკლებულს. მეორე წიგნი აგრეთვე შეიცავს პოემას—ბედი ქართლისა. ორივე ეს წიგნი შეადგენს კნ. ბარბარე ვეზირიშვილის, პოეტის დის, საკუთრებას და ამიტომაც იწოდება ვეზირიშვილის ვარიანტად.

გუნიას ვარიანტი წარმოადგენს ერთ წიგნაკს, გადაწერილს პოეტის მიერ 1841 წელს. ეს წიგნაკი შეიცავს შემდეგს ლექსებს: 1) ბუღბუღი ვადზუდ, 2) ქეთევან, 3) ძია გ—სთან, 4) ღამე ვახუშტად, 5) შემოდამება მთაწმიდაზუდ, 6) ფიქრი მტკვრის შინას, 7) ნაზოღონ, 8) ჩემს ვარსკვლავს, 9) ჩონგურს, 10) სეურე, 11) ჩხვიდი (აკლია ბოლოში ოთხი სტრიქონი) და 12) ჩემი ღოცვა (აკლია თავში რვა სტრიქონი). როგორცა ჩანს, ბოლოში ავტოგრაფს ამოხეული აქვს ერთი ფურცელი,

რომელზედაც ყოფილა დაწერილი „ჩხვილის“ ბოლო და „ჩემის ღოგვის“ პირველი ნახევარა. რადგან ერთის ფურცლისთვის ეს მასალა ცოტაა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამავე ფურცელზე იქნებოდა დაწერილი ერთი იმ ორთ ლექსთაგან, რომელნიც „ჩხვილისა“ და „ჩემის ღოგვის“ შორის არიან მოთავსებულნი თაყაიშვილისა და ვეზირიშვილის ვარიანტებში. ესენი არიან: „სულთა ობოლი“ და „სატრფოჲ, მასსოვს თვალნი შენნი“. ამ ავტოგრაფს დაერქვა გუნის ვარიანტი, რადგან იგი შეტანილია და შეწირული წ.-კ. გამ. საზოგადოების წიგნთ-საცავისთვის ბ-ნის ვ. გუნის მიერ (№ 2701).

ამ წიგნაკის პირველის ფურცლის მეორე გვერდზე დაწერილია:

დაო მაიკო! ეს ლექსები იქონიე ჩემუელად.—ვიცი, რომ წარმეიახველი მათი მოიგონებ ბევრთა საშობთა დღეჲსა ერმაწვილობისათა, და შემობრალე შენსა ყარბსა ძმასა.

ნ. ბარათაშვილი.

გრიგოლ ორბელიანის ვარიანტი შეიცავს 6 ლექსს, რომელნიც პოეტს გაუგზავნია მისთვის ცალ-ცალკე წერილებთან ერთად. ესენი არიან: 1) ძიავ, ყუბახი, სამშობლო შენი (ეს იგივეა რაც გუნის ვარიანტის ძიავ—სთან, 2) დამე ყუბახზედ, 3) ვზოგე ტაძარი, 4) მცრბის, მიმფრენს, 5) სულთ ბოროტო და 6) საფლავი ივერიისა (სხვა ვარიანტების საფლავი მეფის ორაგლისა).

მაიკო ორბელიანის ვარიანტი შეიცავს 5 ლექსს, რომელნიც პოეტს გაუგზავნია მისთვის ცალ-ცალკე. ესენი არიან: 1) სატრფოჲ, მასსოვს თვალნი შენნი, 2) არ უკიფინო, სატრფოჲ, 3) ვზოგე ტაძარი, 4) ქილის ევაჟილი და მწირი (სხვა ვარიანტების სუმბუჯი და მწირი) და 5) დამქროლა ქარმან სასტიკმან. ეს ლექსები მაიკო ორბელიანთან პოეტისგან მიწერილს წერილებთან ერთად ინახებიან წ.-კ. გამაერც. საზოგადოების წიგნთ-საცავში (2484).

ავტოგრაფებში ხშირად ლექსების ტექსტი და ცალკე

სიტყვები განსხვავებულნი არიან. ესეთი განსხვავებანი ჩვენ აქ აღნიშნულნი გვაქვს ცალკე შენიშვნ. ბში.

ამ გამოცემის ბეჭდვის დროს ხელთ გვქონდა თაყაიშვილის, გუნიას და მაიკო ორბელიანის ვარიანტები, რომელიც შენახულნი არიან წ.-კ. გამავრც. საზოგადოებას წიგნთსაცავში, ხოლო ვეზირიშვილისა და გრ. ორბელიანის ვარიანტების განსხვავებათა ასანიშნავად ჩვენ დავეყარეთ მეხუთე გამოცემას, რომელიც დაბეჭდა წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1899 წ. ე. თაყაიშვილისა და ჩვენის რედაქციით ყველა შემოხსენებულს ავტოგრაფებთან შედარებით.

მოხსენებლის ავტოგრაფების გარდა ჩვენ გვქონდა ხელთა ერთი პირი ბარათაშვილის ლექსებასა, რომელიც უნდა გადაწერილი იყვეს იერ. მესხიშვილის ხელით და იხ. ხება წ.-კ. გამავრც. საზოგადოების წიგნთსაცავში (№ 1555). აქა იქ ეს ხელთაწერი წარმოკვიდგენს ტექსტის და სიტყვების შესაქმნევს განსხვავებას და ჩვენც საჭიროდ დავინახეთ ასეთთ განსხვავებათა აღნიშვნა.

ვიღრე ცალ-ცალკე შენიშვნ. ბს მოკიყვანდეთ, საჭიროა ერთი საზოგადო შენიშვნა, რომელიც შეეხება მართწერას.

საზოგადო შენიშვნა.

ნ. ბარათაშვილი ხმარობს ასოს კ იმ სიტყვებში, რომლებშიც ძველს მწერლობაში ეს ასო იხმარებოდა, მაგრამ ყოველთვის არ იცავს ამ წესს და ხშირად მის მაგიერ ხმარობს ასოს ხ. ჩვენ ყველგან კ-ის ნაცვლად ვიხმარეთ ხ.

ნაცვლად ასოსი ჯ ჩვენ ყველგან ვიხმარეთ ვი, რადგან თვით პოეტ-ც ხშირად ასე იქცევა.

ნაცვლად ასოსი უ ჩვენ ყველგან ვიხმარეთ ვ, ხოლო ნაცვლად უჭ—გე, როგორც თვით პოეტი იქცევა უმეტეს შემთხვევაში.

სიტყვას ჰე პოეტი მუდამ სწერს ტე. ჩვენ ვარჩიეთ არ დაგვეცვა პოეტ-ის მართწერა და ყველგან ამ სიტყვაში ნაცვლად ასოსი ტ ვიხმარეთ ჰ.

პოეტი ზმნებში ფესვის წინ ყველა პირებში ხმარობს დამატასათებელს ასოებს ს და ჰ, ხშირად კი ორსავე ერთად: ჰს'. ახლანდელს გამოთქმაში ორივე ერთად სრულებით აღარ ისმის, ხოლო ცალ-ცალკე ზოგიერთის ასოების წინ მოიხმის ან ს ან ჰ, ზოგიერთის წინ კი სულ აღარ მოიხმის არც ერთი, არც მეორე. ჩვენ ეს დამატასათებელი ასოები გამოვეტოვეთ ყოველს შემთხვევაში, როცა აღარ ისმის ახლანდელს ლაპარაკში. თვით პოეტიც არ იცავს ამ ასოების ხმარებას წესს ყველგან და ხშირად თითონაც ისე სწერს, როგორც ახლა გამოითქმება.

ზმნების გარდა პოეტი ხმარობს ასოს ჰ ს-ის წინ ზოგიერთს სხვა სიტყვებშიც, რომლებშიც ახლა აღარ ისმის ეს ხმა, მაგ. ჰსჯული, ჰსჯა, ჰსწორი, მჰსწრაფლი და მათგან წარმოებულნი. ამ შემთხვევებშიც ჩვენ გამოვეტოვეთ ეს ასო.

პოეტი ზმნების წინმეტად ხან ხმარობს გან ხან გ'. მოთხრობითის ბრუნვის დაბოლოვებას ხმარობს ხან სრულს მან, ხან მოკვეცილს მა, აგრეთვე სწერს ხან მშენიერი, ხან შეენიერი. ჩვენც ამნაირი სხვა და სხვა ხმარება დავტოვეთ ტექსტში და ვარიანტების ანიშვნას არ გამოვკიდებივართ.



ცალკე შენიშვნები.

(ამ შენიშვნებში ვარიანტების სახელები შემოკლებით არიან აღნიშნულნი დიდის ასოებით: **თ**—თაყაიშვილისა; **მ**—ვეზირიშვილისა; **ზ**—გუნიასი; **ზმ**—გრიგოლ ორბელიანისა; **მმ**—მაიკო ორბელიანისა; **წყ** №1555—წერაკითხვის გამაჟრც. საზოგადოების ხელთნაწერი პოეტის ლექსთა კრება № 1555).

ბუღბუღი ვარდზედ (35 გვ.).

1) **ბ** ეს სტრაქონი იკოთხება: ბუღბუღი ვარდზედ შეჯდა და იტუოდა მსტვინაფი.

2) **ბ** ამ ლექსს უწერია თარიღად: ივნისს 18-სა 1833.

ქ ი თ ი ვ ა ნ (16 – 37 გვ.).

1) **ბ** რამელიცა ზის ნაპირსა.

2) ავტოგრაფებში ყველგან: ავ-ენანნო.

3) **წყ** №1555: შენი ვარო საუკუნოდ.

4) **ბ** რად შეიპყარ ჩემი გული.

5) **ბ** ამ ტაების შემდეგ მისდევს შემდეგი ტაები:

საუჯარელო, ნატა ოდეს
გეცნას ჩემი კვლავ სიმაართლე,
რომ მშვიდობით მე სამარეს
შთამესვენა გლახ სიცოცხლე!

6) **ბ** ელიზბარისა.

შემოღამება მთაწმიდაზედ (37 – 39 გვ.).

1) **ბ** ახ, მთაწმიდაო, მთავ წმინდაო, ადგილნი შენნი.

2) **ბ** დაშთვენ, 3) იქვე: იღუმადობა. 4) იქვე: რეცა. 5) იქვე: ახ. 6) იქვე: და მიუმწუდარსა შენსა წაღშო მიმობობითა განი-
ბნევიან! 7) **თ** მავიწუდეა. 8) **ბ** უკანასკნელის სამის სტრი-
ქონის მაგიერ:

გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ზესკნელსა სადგურს
ეძიებს, რათა დაშთოს აქა ამაოება...

მაგრამ ჭკერშიგ განჭარბების, ვერ სცნობს უცნაურს!

9) ზ უკანასკნელის ორის სტრიქონის მაგიერ:

მხოლოდ ნიაფნი, ნელიად მქროზნი, ღელეთა შორის
და მღუმარენი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმე-
ბოდენ. ღმთავესოდენ

წკმ1555 უკანასკნელის სტრიქონის მაგიერ:

და ამით ჩემნი შემოგარენი ჩემს გულს ახლოდ ეთან-
ხმებოდენ.

10) ზ იპოვოს, 11) იქვე: სდუმენ ეოველინი არემარენი.

12) იქვე: მისსა ამარას, 13) იქვე უკანასკნელის ორის
სტრიქონის მაგიერ:

ვითა უბიწო და შეენიერი სული ღოცვითა მიიქნცება
და სახე მისი ამ ქვენიერი მით უფრო მშენი გაციურ-
დება,—

მას ჭკავდა მთვარე შუქმიბინდული, დისკოგავსილი, მა-
ნაზებული.

14) ვ სული. 15) ზ ჯი საღამო, მუედრო, საამო. 16) ვ
განსაქარებლად.

ზ მ ა ი დ უ მ ა ღ ი (39—40 გვ.).

1) ვ ვისი ხმა არის ეს სასურველი. წკმ1555 ნეტარ რა
ხმა ეს იდუმალი.

2) წკმ1555 გულისა ჩემის დამნაღვლელებელი? 3) ვ იგი მე.

4) წკმ1555 ერმაო.

ფიქრი მტკვრის პირახ (40—41 გვ.).

1) ვ პირზედ. 2) ზ მუნ. 3) იქვე: მუნ. 4) იქვე: მუნცა.

5) იქვე: ღურჯად მოდელავს და დუღუნებს მტკვარი ანკარა.

6) იქვე: ფერმერთლად მონათობს მისთა ზვირთთა ცისა კამარა.

VII

7) ავტოგრაფებში: უგდეპ. 8) ზ მრავალთა დროთა. 9) იქვე: შებრძოლენი. 10) წმ.წ. 1555:

არც ჯინლა არის და წინაშე არც ჯინ აღუდგის,
რომელთ ხელთ ეხურესთ უმადლესი სოფელის დიდებო.

11) ზ სამის უკანასკნელის სიტყვას მავიერ: იგინიც დრ-
ტვიან. 12) წმ.წ. 1555 არ მისცეს წუეჯად. 13) ავტოგრაფებშიაც
წერტილებია. 14) წმ.წ. 1555 თუ. 15) იქვე: იქას სოფელში
და სოფელს გი არ რა არგუნოს.

ჩემს ვარსკვლავს (42 გვ.)

1) წმ.წ. 1555 ნისლით გამომინათებ. 2) ზ შკენიერის.
3) მამყარე.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ (42—43 გვ.).

1) ზ და თ ჭრანცაას. 2) უნდა იყვას: თქასის. 3) თ და
ზ დაუმონე. 4) თ და ზ შოკასხნა. 5) თ და ზ შოკასწანდე.
6) ზ და მან სხვა ჩემის დადებითა დაკვარგვანოს. 7) იქვე:
რომელ. 8) თ ვცნათ. 9) წმ.წ. 1555 უქრობი.

თავადის ჭ—მის ასუღს (43—44 გვ.).

1) ზ ჭკუ—ის. 2) იქვე: კვა...ნას. 3) პოეტა აქ აღვალა
შენიშვნას უკეთებს: თ ბულბულა და ვარდა ლექსისა სიღერადო,
ნათარგმნი რუსულიდამ თ—ას ჭვჭვკვაძისაცან. ზ ვარდა და ბულ-
ბულა ლექსისა, რუსულიდამ ნათარგმნი თ—ას ჭვჭვკვაძისაცან.

ზ ა უ უ რ ე (44—45 გვ.).

1) ზ გულდის სიცხესა. 2) თ ამრეკო. 3) ზ თქასი სუფია.

ჩ ჩ ვ ი ლ ი (45—46 გვ.).

1) ზ უცნურის მასს. წმ.წ. 1555 უცაურის მისის.
2) იქვე: სანუკველისა, 3) წმ.წ. 1555 მომუდრალა.

ზედი ქართლისა (47—61 გვ.).

1) ავტოგრაფებში სათაურას ქვეშ სწერია: თქმული წელსა 1839-სა, ტფილისს. 2) **3** მოიგონებდეთ. 3) იქვე: უკანასკნელის ორის სტრიქონის მაგიერ:

ქართველთა ჯართა კრწნასის მინდვრად
დაგებანაკათ სპარსთა სამრად.

4) **თ** აღმოჩნდა. 5) იქვე სიტყვა ხმა გამოტოვებულია.

6) იქვე უკანასკნელის ორის სტრიქონის მაგიერ:

მხდაღსა განამხვეს, მხნეს განაღვიძებს
და მიჯნურსაცა სულს შეუფოთებს.

7) **3** ამ და შედეგის სტრიქონის მაგიერ:

სომხეთის გმირნა, უფლანის შვილნი
და მათ მომარცხნენ ბართაშვილნი

8) **3** უმაწილთ კაცთ. 9) იქვე: არს. 10) იქვე: და უამთ

ზოწამე სადამე ძეგლი. 11) იქვე: საშვილისშვილად გარდაცემის.

12) **თ** ორი უკანასკნელი სტრიქონი არ არის. 13) **3** სი-

შუხოდე. 14) იქვე: სიმდაბდე. 15) იქვე: და მოეფლანა ქარ-

თველთა ჯართა. 16) **თ** თერანის. 17) იქვე: ტახტს, ხელმწიფე-

ბასს. 18) **თ** ნაპირნო. 19) **3** ბძანდებოდა. 20) იქვე: კრიელე-

სონის ართობს ქარვათა. 21) რომ არ გვადხენენ, სულით მამაცნი.

22) იქვე: მასი აწ ძალა, უფთა-ცხოვრება. 23) **თ** ზედავასრულე.

24) **3** უკანასკნელის ორის სტრიქონის მაგიერ:

აი მის ნაცვლად შე რა მომიპურეს

ჩემმა შვილებმა და ვინ ახარეს!

25) იქვე: სული. 26) იქვე: ამაუბითა. 27) იქვე: დროს

შემოქუჩურებს. 28) იქვე: როს უმანი ჩემნი ერთმანერთსა ქველენ. 29)

იქვე: შე თუმც კიდევ ვგრძნობ სულის სიმტკიცეს. 30) იქვე ეს

სტრიქონი ასე იკითხება: ჰატარა კახად რაც განახივარ. 31) იქვე:

მარქვი. 32) **თ** ვხედავ. 33) **3** უკანასკნელის ორის სტრიქონის

მაგიერ:

ღმერთო, ამაზედ მეტთა სატანჯველთ

ნულა მოეფლენ საწულთა ქართველთ!...

IX

34) იქვე: მას მიწა მუცლ. 35) **თ** უკანასკნელის სამის სტრიქონის მაგიერ:

სახელმწიფოსა ერთობა სჯულის
არა რას არგებს, თდეს მის შორას
თვისება ერთა სხვადასხვაობდეს.

36) იქვე ორის უკანასკნელის სტრიქონის მაგიერ:

და შერე გინც ვერ განატოს ქართლი,
მაშინ მნ უწყის რაც ჰქვას კეთილი.

37) ეს უკანონო შეთანხმება ორსავე ვარიანტში ასრეა.

38) **ვ** და დავიდუმბე შე ჩემს გულის თქმას. 39) **თ** ეს სტრიქონი არ არის. 40) იქვე: ურმაწვილობის. 41) **ვ** კვალად

42) **თ** ორი უკანასკნელი სტრიქონი არ არის. 43) **ვ** ისე.

44) იქვე: მკიფის გულის თქმა ერსა ეკუთვნის!... 45) **თ** შეუ-

ფოთნა. 46) ავტოგრაფებშიაც წერტილებია. 47) **ვ** რა. 48) იქვე

ორის უკანასკნელის სტრიქონის მაგიერ:

ადივსო კვალად ერთი ტფილისი,
რა ზოძინება სცნეს ირაკლისი.

49) **თ** ორის უკანასკნელის სტრიქონის მაგიერ:

დიდი ხანია, რომ ბედი ქართლის
გ'რდაიწვიდა გუღმან ირაკლის!

ჩემი შეგობართ (63—64 გვ.).

1) **ვ** მაშინცა კმარა შეკაუება გულისა თქმათა.

2) იქვე: ნატადა მაქვ' ეს გულის ჭირი.

არ უკაუინო, სატრფოო (64—65 გვ.).

1) **თ** და **მთ** ელოდნენ. 2) **მთ** დამისა. 3) **მთ** ლა **ვ** მა-
რადის. 4) **მთ** ჭრქო. 5) იქვე: აღარ.

ვაოვე ცამარი (65—66 გვ.).

1) **მთ** და **მთ** შესწენარი. 2) იქვე: ზორტით. 3) იქვე:

საკგერთხად. 4) მღ ვისმე დიდხანს. 3) მღ დიდხანს ვისმე. 5) წკ.№1555: მუნ ისადგურებს. 6) მღ მსწრად მთასპო. 7) მღ მისძულდა. მღ მისწინდა. 8) მღ და მღ დამშთა მე მისგან მხოლოდ ცეცხლი იგი დამქრალი. 9) წკ.№1555: დამ-
თობილი.

მიწვარს თვალეზი (66 გვ.).

1) წკ.№1555 მ.შინგე ჰბოეს საკურნებულსა. 2) იქვე: ვსტ-
ვრეტდეთ.

სუმზული და მწირი (67—69 გვ.).

1) მღ ქილის ყვაილი და მწირი. 2) თ თავდაპირველად
ყოფილა: სიცოცხლის ხმას, მაგრამ შემდეგ გადასწორებულია:
სიცოცხლის ხმას. 3) წკ.№1555: რომ მზგ ვერ გიჭნობს,
ვერც სიცოცხე ყვაილს დაგიზრავს. 4) მღ რომ არ. 5) იქვე:
არ დამეცემის. 6) 3 ურდილებს. 7) მღ რომლისგან. 8) იქვე:
არ მოკვდება. 9) იქვე აჰ ორას სიტყვის მაგიერ: მაგრამ.
10) იქვე: შენებრივ. 11) იქვე: აღარ.

შირზის, შიმაფრენს (70—71 გვ.).

1) მღ მუნ. 2) იქვე: მშობელს მ.წაშა. 3) იქვე: ნუ და-
შობირებს სატრფო სულასა, ნუ დამეცემას ცრემლი მწუხარის.
4) იქვე: არ. 5) იქვე: ცუდად ხომ მაინც რა ჩივლას ჩემის სუ-
ლისა ეს კვეთება. 6) ეს ორი სიტყვაა მხოლოდ 3.

საფლავი მეფის ირაკლისა (72—73 გვ.).

1) მღ საფლავი იუკრიისა. 2) თ ბარატაეგს. 3) წკ.№1555:
განცხოვლება.

კნაზ ბარათაევის აზარფეშაფე (73 გვ.).

1) ბარატაევის.

სულო ბორთცო (73—74 გვ.)

- 1) გო განსამწარად. 2) ვ მამიკაღ. 3) იქვე: მამცემდი.
4) გო შენი. 5) თ და გო სდ ხარ, აღმშეთთო, მიხასუხე,
ნუ ამადება. 6) იქვე: ბრმად გუშსეკრზლიდი, მავანდობდი.

შევიშრობ ცრემლსა (74 გვ.)

1) ვ, სდაც ეს ლექსია მოთავსებული, არ არის აღნიშნული წელიწადი. რადგანაც იგი მოსდევს 1843 წ. დაწერილს ლექსს, საფიქრებელია, რომ დაწერილი იყვეს ამ წელს.

ძია გ...ზთან (74—75 გვ.)

1) ესა და შემდეგი ლექსი (ღამე ეახასზედ) მოქცეულნი არიან გუნიას ვარიანტში 1835 და 1839 წლებში დაწერილს ლექსებს შორის. ესევე ლექსები მოქცეულნი არიან პოეტის წერილში, გრ. ორბელიანის მიმართ მიწერილში 1837 წ. თბერვალში. რადგან ზაფხულის ღამეა იქ აწერილი, უეკველია ამიტომ, რომ ისინი უნდა დაწერილნი იყვენ 1836 წლის ზაფხულში.

ღამე ეახასზედ (75—76 გვ.)

1) ეს ლექსი, როგორც წინა შენიშვნითგან ჩანს, დაწერილი უნდა იყვეს 1836 წ. ზაფხულში. იგი ძალიან განსხვავებულია მის მეორე ვარიანტისგან, რომელიც მოთავსებულია წერილში გრ. ორბელიანის მიმართ (იხ. წერილი I).
2) დედანში სწერია: ეახანს ზოგნი ერთი. 3) თაკსა უფუფად არის აღ. ქავკავადის ლექსი. 4) დედანში სწერია: გახსოვართ.

ძა..., ფორცეპიანოზე მომღერაფა (77 გვ.)

1) ეს ლექსი დაბეჭდილია ჟურნალს „ივერიაში“ 1882 წ. №№ IV და V. როგორც ბ-ნი ი. ნეუნარგია შენიშნავს, ეს ლექსი მას უნახავს სამეგრელოს დედოფლის ეკატერინეს სახლში პოეტის ხელით 1841 წ. გადაწერილს პატარა ფერადს რკვეულში ერთად ლექსებთან: ძია გრ—ის და ღამე ეახასზედ.

საკგერთხად. 4) მღ ვისმე დიდხანს. ზღ დიდხანს ვისმე. 5) წკ.№1555: მენ ისადგურებს. 6) ზღ მსწრაფლად მოასპო. 7) მღ მოსძულდა. ზღ მოსწეინდა. 8) მღ და ზღ დამშთა მე მისკან მხოლოდ ცეცხლი იგი დამქრალი. 9) წკ.№1555: დამ-თობილი.

მიწვარს თვადები (66 გვ.).

1) წკ.№1555 მაშინვე ჰპოებს საკურნებულსა. 2) იქვე: ვსგ-ვრეტადეთ.

სუმბული და მწირი (67—69 გვ.).

1) მღ ქილის ევაკილი და მწირი. 2) თ თავდაპირველად ყოფილა: სიცოცხლის ხმას, მაგრამ შემდეგ გადასწორებულია: სიცოცხლის ხმასა. 3) წკ.№1555: რომ მზგ ვერ გიჭკნოს, ვერც სიცივე ევაკილს დატიზრავს. 4) მღ რომ არ. 5) იქვე: არ დამეცემის. 6) ჰ უჩრდილებს. 7) მღ რომელსკან. 8) იქვე: არ მოკვდება. 9) იქვე აჰ ორს სიტყვის მაგიერ: მაგრამ. 10) იქვე: შენებრივ. 11) იქვე: აღარ.

შირზის, შიმაფრენს (70—71 გვ.).

1) ზღ მუნ. 2) იქვე: მშობელს მ.წაშა. 3) იქვე: ნუ დამიტარებს სატრფო სუჯასა, ნუ დამეცემას ჩრემლი მწუხარის. 4) იქვე: არ. 5) იქვე: ცუდად ხომ მაინც რა ჩ ივლას ჩემის სუ-ლისა ესე კვეთება. 6) ეს ორი სიტყვაა მხოლოდ ჰ.

საფლავი მეფის ირაკლისა (72—73 გვ.).

1) ზღ საფლავი იკერიისა. 2) თ ბარატავეს. 3) წკ.№1555: განცხობდება.

კნაფ ბარათაევის აწარფეშაფე (73 გვ.).

1) ბარატაევის.

სულო ბორთცო (73—74 გვ.)

- 1) გო განსამწარად. 2) ვ მამიკაღ. 3) იქვე: მამცემდი.
4) გო შენნი. 5) თ და გო სად ხარ, აღმშფოთო, მიხასუხე,
ნუ ამიღება. 6) იქვე: ბრმად გუშისგეარზლიდი, მავანდობდი.

შევიშრობ ცრემლსა (74 გვ.)

1) ვ, სადაც ეს ლექსია მოთავსებული, არ არის აღნიშნული წელიწადი. რადგანაც იგი მოსდევს 1843 წ. დაწერილს ლექსს, საფიქრებელია, რომ დაწერილი იყვეს ამ წელს.

მია გ...ზთან (74—75 გვ.)

1) ესა და შემდეგი ლექსი (ღამე ეახასზედ) მოქცეულნი არიან გუნიას ვარიანტში 1835 და 1839 წლებში დაწერილს ლექსებს შორის. ესევე ლექსები მოქცეულნი არიან პოეტის წერილში, გრ. ორბელიანის მიმართ მიწერილში 1837 წ. თბერვალში. რადგან ზაფხულის ღამეა იქ აწერილი, უგუველია ამიტომ, რომ ისინი უნდა დაწერილნი იყვენ 1836 წლის ზაფხულში.

ღამე ეახასზედ (75—76 გვ.)

1) ეს ლექსი, როგორც წინა შენიშვნითგან ჩანს, დაწერილი უნდა იყვეს 1836 წ. ზაფხულში. იგი ძალიან განსხვავებულია მის მეორე ვარიანტისგან, რომელიც მოთავსებულია წერილში გრ. ორბელიანის მიმართ (იხ. წერილი I).
2) დედანში სწერია: ეახანს ზოგნი ერთი. 3) თაკსა უფუად არის აღ. ქავკავადის ლექსი. 4) დედანში სწერია: გახსოვართ.

ნა..., ფორცეპიანოზე მომღერადა (77 გვ.)

1) ეს ლექსი დაბეჭდილია ჟურნალს „ივერიაში“ 1882 წ. №№ IV და V. როგორც ბ-ნი ი. ნეუნარგია შენიშნავს, ეს ლექსი მას უნახავს სამეგრელოს დედოფლის ეკატერინეს სახლში პოეტის ხელით 1841 წ. გადაწერილს პატარა ფერადს რკულში ერთად ლექსებთან: ძია გრ—ის და ღამე ეახასზედ.

1) ეს ლექსი იბეჭდება №1555-ითგან აკრეფევა და-
ბეჭდილი „ცისკარში“ 1869 წ. № 10. 3. უმიკაშვილის
გალაწერილი განსხვავდება ორს შემთხვევაში: ნაცვლად მრ-
ვალ-შტოგანა იქ არის მრავალ-შოგანი და ნაცვლად ფოთოლთ
იქ არის ფოთელთ.

ღაშქრობა ქართველთა კავკასზე (79—80 გვ.).

1) ეს ლექსი გადმობეჭდილია „ცისკარ ოგან“ 1858 წ.
№ 2. 3. უმიკაშვილის რეკლამა ამ ლექსს ს:თაურად აქვს:
ომი საქართველას თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნის
და ჩქნელთა, წყლსა 1814-ს მძღვანელობასა ქვეშე დუგერნიის
მარშლის თავადის დ... ო... ეს გარშაჲ ი არის დიმიტრი ორ-
ბელიანი. 2) 3. უმიკაშვილას რეკლამა: მას შორის. 3) იქვე:
სომხითის.

მადლი უნს გამჩენს (80 გვ.).

1) ეს ლექსი გადმობეჭდილია „საქართველოს მოახბით-
გან“ 1863 წ. № 2.

ღაშქროლა ქარმან ხასტიკმან (81 გვ.).

1) ეს ლექსი, როგორც ჩანს წერილათგან, რომელიც
მიუწერია პოეტს მაიკო ორბელიანისთვის 9 თებერვალს 1845
წელს, უნდა იყვეს დაწერილი ამ წელს.

როს პედნიერ ვარ (81 გვ.).

1) ეს და შებეჭდილი ლექსი— „ცასა ფერს, ლურჯსა ფერს“
გადმობეჭდილია „ივერიითგან“ 1882 წ. №№ IV და V. რო-
გორც შენიშნავს ბ-ნი მეუნარგია, მას უნახავს ისინი სამეკ-
რელოს დედოფლის ეკატარინეს ქალაქებში თვით პოეტ-ს
ხელით დაწერილები 1/2 ფურცელს ქალაქებზე.

XIII

ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის (82 გვ.).

1) როგორც ზაქ. კიკინაძე შენიშნავს ბარათაშვილას ლექსების მეოთხე გამოცემაში, ეს ლექსი დაწერილი ყოფილა კნ. მართა ერისთავის თასზე.

წერილები.

I.

1) ეს წერილი გადმობეჭდილია 1885 წ. „დროებს“ № 114-ითგან, რომელშიაც იგი დაბეჭდილია ბ-ნის ი. მეუნარგიას მიერ.

2) და 3) ეს სიტყვები გუნიას ვარიანტში არ არიან ხაზ-გასმულნი. არ ვიცით, დედანში ყოფილან ხაზ-გასმულნი, თუ მეუნარგიას მიერ არიან.

4) დაბეჭდილია *დატეშვლს*, ალბად, შეცდომით ნაცვლად *დატეშვლს*.

II.

1) ეს წერილი, მინაწერია მიხეილ ბართველას ძე თუმანიშვილთან, რომელსაც წერალის მიღების დღე აქვს თავში აღნიშნული ასე: 10 августа. Цир. Колодцы.

III.

1) ეს და IV, V, VII, X წერალები მინაწერაა გრაგოლ ორბელიანთან, პოეტის ბიძასთან.

V.

1) აქ დედანში წაშლილია ორი სტრიქონი, ალბად, გრ. ორბელიანისგან, როდესაც ვადაუკრა დასაბეჭდავ.

VI.

1) ეს და XII, XIII, XIV წერალები მინაწერაა მაიკა ორბელიანთან.

XVI

18.	* * არ უკიეინო სატრფოო, შენსა მგოსანსა გულის-თქმა	64
19.	* * ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი	65
20.	* * მიყვარს თვალები, მიბნედილები	66
21.	სუბუღლი და მწირი	67
22.	* * შავნი დალაღნი ყრილობენ გველად	68
23.	* * რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?	69
24.	* * მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანო	70
25.	საფლავი მეფის ირაკლისა	72
26.	კნიაზ ბარათაევის აზარფეშაზედ	73
27.	* * სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად	73
28.	* * შევიწრობ ცრემლსა, ჭირთ მანელებელს	74
29.	ძია გ. . . სთან	74
30.	ღამე ყაბახზედ	75
31.	ნა. ფორტოპიანოზედ მოძღერალს	77
32.	ჩინარი	77
33.	ლაშქრობა ქართველთა კავკასზე	79
34.	* * მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო შავთვა- ლებიანო	80
35.	* * დაშქროლა ქაჩმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი	81
36.	* * როს ბედნიერ ვარ შენთან ყოფნითა	81
37.	* * ცისა ფერს, ლურჯსა ფერს	82
38.	* * ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერ ვარ მე, თას	82

წერილები ნიკოლოზ ბარათაშვილისა:

I.	თ. გრიგოლ ორბელიანის მიმართ, თებერვალს 1837 წ. ტფილისით	83
II.	თ. მიხეილ ბირთველის ძის თუმანიშვილის მიმართ, 6 აგვისტოს 1838 წ. ტფილისით	87

XVII

III.	თ. გრიგოლ ორბელიანის მიმართ, 28 მაისს 1841 წ.	
	ტფილისით	89
IV.	მის მიმართვე, 18 ოქტომბ. 1841 წ. ტფილისით	90
V.	მის მიმართვე, 2 მაისს 1842 წ.	92
VI.	კნ. მაიკო ორბელიანის მიმართ, 31 ოქტომბ.	
	1842 წ. ტფილისით	94
VII.	თ. გრ. ორბელიანის მიმართ, 21 აგვისტ. 1843 წ.	
	ტფილისით	97
VIII.	თ. ზაქარია ორბელიანის მიმართ, 15 აპრილს 1844 წ.	
	ტფილისით.	100
IX.	მის მიმართვე, 10 მაისს 1844 წ. ტფილისით	102
X.	თ. გრიგოლ ორბელიანის მიმართ, 23 მაისს 1844 წ.	
	ტფილისით	104
XI.	თ. ზაქარია ორბელიანის მიმართ, (უნდა იყვეს მარიაშობ. 1844 წ. ტფილისით).	105
XII.	კნ. მაიკო ორბელიანის მიმართ, 9 თებერვ. 1845 წ.	
	ნახჩევნით.	108
VIII.	მის მიმართვე, (უნდა იყვეს ნახჩევნით 1845 წ.)	111
XIV.	მის მიმართვე, 10 აგვისტ. 1845 წ. მუსსუტით	112

შენიშვნები დ. კარიკაშვილისა I—XIV



„ცოდნას“-ს წიგნის

მალაზიაში ისეიდება უოკელ გვარი ქართული წიგნები და თხუზულებანი ჩვენ მკოსანთა და მწერალთა, აგრეთვე სკოლებში სასმარებელი ქართულ-რუსული უოკელ გვარი სახელმძღვანელოები.

აქვე ისეიდება: დარბაზის კეკლუცად მოსართავი, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები **30** კ.-დგან **50** კანეიკამდე.

მსურველთ დაუყონებლივ გაეგზავნება ფას დადებითაც.

მისამართი: ტფილისი წიგნის მალაზია „ცოდნა“.

მალაზიის პატრონი **სოსიკო შერკვილაძე**.

